

ჯუვეინის ცნობები
საქართველოს
შესახებ

მეცნიერება

1 9 7 4

უცხოური წყაროები საქართველოს შესახებ

წ ი გ ნ ი XXXIII

ჯუვეინი

АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР
КОМИССИЯ ПО ПУБЛИКАЦИИ ИНОСТРАННЫХ ИСТОЧНИКОВ
О ГРУЗИИ
FONTES PEREGRINI AD GEORGIAM PERTINENTES

СВЕДЕНИЯ ДЖУВЕЙНИ О ГРУЗИИ

Персидский текст с грузинским переводом издал, введением
и примечаниями снабдил
Р. К. КИКНАДZE

EXCERPTA HISTORIAE DJUVAINI AD
GEORGIAM PERTINENTIA

Textum persicum cum versione georgica edidit,
introduction et commentariis instruxit
R. KIKNADZE

ИЗДАТЕЛЬСТВО «МЕЦНИЕРЕБА»
Sumptibus Academiae Scientiarum Georgiae
ТБИЛИСИ – 1974 – TIBILISUS

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
საქართველოს შესახებ არსებული უცხოური წყაროების კომისია

ჯუვეინის ცნობები საქართველოს შესახებ

სპარსულ ტექსტს შესავალი წაუმძღვრა, ქართული თარგმანი
და შენიშვნები დაურთო *რევაზ კიკნაძემ*

გამომცემლობა „მეცნიერება“
თბილისი
1974

XIII საუკუნის ირანელი ისტორიკოსის ალა ად-დინ ათა მალიქ ჯუვეინის „ქვეყნის დამპყრობის ისტორია“ მონღოლური ხანის სპარსული ისტორიო-გრაფიის თვალსაჩინო ნაწარმოებია. ჯუვეინის თხზულება საუკეთესო პირველწყაროა ამიერკავკასიის ქვეყნებში მონღოლებისა და ჯალალ ად-დინის შემოსევების ისტორიის შესასწავლად.


წიგნში ქვეყნდება სპარსული ტექსტი და კომენტარებული ქართული თარგმანი ჯუვეინის ცნობების საქართველოს შესახებ.

მთავარი რედაქცია: რ. კიკნაძე, ს. ყაუხჩიშვილი,
(მთ. რედაქტორი), ლ. ჯანაშია, ს. ჯიქია

გ. წერეთელი

სპარსული წყაროების სერიის რედაქტორი
რ ე ვ ა ზ კ ი კ ნ ა ძ ე

შ ი ნ ა ა რ ს ი

ალა ად-დინ ათა მალიქ ჯუვეინი და მისი „თარიხ-ე ჯაჰანგოშად“	7
ალა ად-დინ ათა მალიქ ჯუვეინი, თარიხე ჯაჰანგოშად. ცნობები საქარ- თველოს შესახებ (ქართული თარგმანი)	20
თხრობა იემესა და სუბუდაის წასვლისა სულთან მოჰამედის კვალდაკვალ	20
თხრობა გულიუქ-ხანის ხანობის ტახტზე ასვლისა	21
თხრობა სულთან ჯალალ ად-დინის ბადდადისკენ წასვლისა	25
თხრობა სულთნის, ქართველებისა და მათი დარბევის შესახებ	28
თხრობა სულთან ჯალალ ად-დინის საქართველოში დაბრუნებისა	35
თხრობა სულთნის ხლათს წასვლისა დამისი ადების შესახებ	38
თხრობა სულთნის წასვლისა რუმის სულთანთან საბრძოლველად	40
თხრობა ამირ არღუნის შესახებ	44
თხრობა ამირ არღუნის წასვლისა დიდ ყურულთაიზე	46
თხრობა შვიდი სამეფოს ფადიშაჰისა და სამართლიანობისგამავრცელებელი შაჰანშაჰის მანგუ ყაენის ხანობის ტახტზე ასვლისა	52
თხრობა ქვეყნიერების უფლისწულის ჰულაგუს დასავლეთის ქვეყნებში ლაშქრობის შესახებ	55
შენიშვნები ქართული თარგმანისათვის	60
სადიებლები	89
სპარსული ტექსტი	

ალა ად-დინ ათა მალიქ ჯუვეინი და მისი
„თარიხ-ე ჯაჰანგოშაჲ“

მსოფლიო ისტორიის ყოველ მნიშვნელოვან მოვლენას შესაბამისი თანადროული საისტორიო წყაროები აქვს. თვითმხილველი და თანადამხდური მემატრიანენი თუ მათი უახლოესი შთამომავალნი აკვირდებოდნენ მომხდარ ამბებსა და მოვლენებს და მეტნაკლები სიზუსტითა და სისრულით, შესამდლისი ობიექტურობით აღწერდნენ მათ თავიანთ საისტორიო ნაწარმოებებში.

თანამედროვე ისტორიოგრაფიაში აღიარებულია, რომ არცერთ მოვლენას არ მოუხდენია ისეთი დიდი გავლენა შუა საუკუნეთა აზიის. მეტადრე მისი დასავლეთი ნაწილის ცხოვრებაზე, როგორც მონღოლების საზარელმა შემოსევებმა მოახდინა XIII საუკუნის პირველ ნახევარში. ცენტრალური აზიის ტრამალებიდან გამოსული მონღოლთა ურდოები რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში სპობდნენ და ანადგურებდნენ ადგილობრივ კულტურულ ხალხთა საუკუნეობრივ მონაპოვარს. მონღოლთა შემოსევების შედეგად განსაკუთრებით დაზარალდა ირანი, სადაც მრავალი ქალაქი და სოფელი გაპარტახდა და აღიგავა პირისაგან მიწისა, მოსახლეობა კი ნაწილობრივ გაწყდა, ხოლო ნაწილობრივ ტყვედ ჩაცვივდა; კულტურისა და მეცნიერების მნიშვნელოვანი კერები განადგურდა, სწავლულნი დახოცეს ან დაატყვევეს. მონღოლ-თათართა ურდოების თარეშმა მძლავრი ლახვარი ჩასცა ირანში მეცნიერებისა და კულტურის განვითარებას.

ცნობილი საბჭოთა ორიენტალისტი ა. იაკუბოვსკი შენიშნავდა: მონღოლთა შემოსევებმა XIII საუკუნის დამდეგს იმდენად ძლიერი თაბეჭდილება მოახდინეს თანამედროვეთა და მათ უახლოეს შთამომავალთა შეგნებაზე, რომ მონღოლების შესწავლა თითქმის მათ შემოსევებთან ერთად დაიწყო. აზიისა და ევროპის ხალხებმა, რომელთაც მოულოდნელად დაატყდათ თავს კატასტროფა, მრავალენაზე – არაბულად, ტაჯიკურად, სპარსულად, რუსულად, სომხუ-

7

რად, ქართულად, ლათინურად, პოლონურად, ჩინურად უნგრულად, გერმანულად – დაწვრილებით აღწერეს მონღოლთა შემოსევები, მათი ბრძოლის წესები, ლაშქრის წყობა, მათი სიმკაცრე და დაპყრობილი ქვეყნების მოსახლეობის მასიური ჟლეტა, ქალაქებისა და სოფლების, სარწყავი არხების ნგრევა-განადგურება, ბალ-ვენახები სა და სახელოსნოების გაპარტახება, მონღოლური მართვა-გამგებლობის წესები, დამპყრობელთა ადათ-ჩვეულებანი და სხვ.¹

ამასთან ერთად, უნდა აღინიშნოს, რომ არამარტო მონღოლთა მიმართ აშკარად მტრულად განწყობილი ავტორები, არამედ მათ სამსახურში მყოფი ისტორიკოსებიც შეძლებისდაგვარად პირუთვნელად აღწერდნენ თათართა ურდოების შემოსევების საშინელებას და ძირითადად სწორად აფასებდნენ ამ შემოსევების დამღუპველ შედეგებს დაპყრობილი ქვეყნებისათვის².

როგორც ითქვა, მონღოლთა შემოსევებმა დიდად შეაფერხა მეცნიერებისა და კულტურის განვითარება ირანსა და მიმდგომ ქვეყ-

ნებში. ამ მხრივ გამონაკლისს შეადგენს მხოლოდ საისტორიო მწერლობა, რომელიც დიდ აღმავლობას განიცდის მონღოლთა ბატონობის ხანაში. პირდაპირ შეიძლება ითქვას, რომ არც მონღოლებამდე და არც მათ შემდეგ სპარსულ ენაზე არ შექმნილა იმდენი შესანიშნავი საისტორიო ნაწარმოები, რამდენიც XIII საუკუნის მეორე ნახევარსა და XIV საუკუნის პირველ ნახევარში დაიწერა სხვადასხვა ქვეყნებში. საკმარისია გავიხსენოთ ჯუვეინის, ჯუზჯანის, რაშიდ ად-დინის, ვასაფის, ჰამდალაჰ ყაზვინის შებანგარაის, იბნ ბიბის, ალ-აჰრის, აყსარაის საისტორიო თხზულებები.

მონღოლთა ბატონობის ხანაში შექმნილ ამ საისტორიო ნაწარმოებთა შორის ათა მალიქ ჯუვეინის „თარიხ-ე ჯაჰან-გოშა“ („ქვეყნის დამპყრობის ისტორია“) ყველაზე ადრინდელი და, ამდენად, ყველაზე ორიგინალურიც არის. ჯუვეინის მისი მაღალი სამსახურებრივი მდგომარეობის წყალობით ხელი მიუწვდებოდა ბევრ ისეთ წყაროზე, რომლებიც შემდეგ დაიკარგა. ამიტომ მის თხზულებაში დიდძალი პირველხარისხოვანი მასალა არის მოტანილი როგორც საკუთრივ მონღოლთა ისტორიის, ისე მახლობელი აღმოსავ-

¹ А. Ю. Якубовский, Из истории изучения монголов периода XI – XIII вв., сб. «Очерки по истории русского востоковедения», 1, М., 1953, гл. 31.

² შტრ. И. П. Петрушевский, Рашид-ад-дин и его исторический труд. წიგნში: Рашид-ад-дин, Сборник летописей, т. 1, кн.1, М.– Л., 1952, гл. 32.

8

ლეთის ქვეყნებში მათი შემოსევებისა და ბატონობის პირველი პერიოდის ისტორიისათვის.

* * *

ჯუვეინიების გვარი ერთ-ერთი ცნობილი და წარჩინებული გვარი იყო ირანში³. მათი გენეალოგია მოცემული აქვს სირიელ ისტორიკოსს აზ-ზაჰაბის, რომელიც ათა მალიქ ჯუვეინის ბიოგრაფის აზულ-ფაზლ აბდ არ-რაზაყ ალ-ღუთის ცნობებს ემყარება. ამ გენეალოგიის მიხედვით, ჯუვეინიების გვარი დაკავშირებული ყოფილა ფადლ ბ. არ-რაბისთან, რომელიც ჰარუნ არ-რაშიდის (786 – 809) ვაზირი იყო, ჩვენი ავტორი კი მის მეთორმეტე თაობას ეკუთვნოდა. ათა მალიქის წინაპრები აბასელი ხალიფების ვაზირები იყვნენ, უფრო ახლო წინაპრები კი დიდი სელჩუკიანებისა და ხორეზმშაჰების სამსახურში იმყოფებოდნენ. ათა მალიქის პაპა, შამს ად-დინი ხორეზმშაჰ მოჰამედის ერთ-ერთი კარისკაცი და საფინანსო მოხელე იყო. თავისი სიცოცხლის უკანასკნელ დღეებში ხორეზმშაჰმა ის საჰებ-დივანად (ფინანსთა მინისტრად) დანიშნა. იგი თან ახლდა მონღოლების შიშით ბალხიდან ნიშაბურს გაქცეულ მოჰამედ ხორეზმშაჰს, მისი სიკვდილის შემდეგ კი ემსახურებოდა მისსავე ვაჟსა და მემკვიდრეს სულთან ჯალალ ად-დინს რომელმაც ასევე საჰებ-დივანის თანამდებობაზე დაამტკიცა შამს ად-დინი. იგი გარდაიცვალა

1230 წელს ხლათის მახლობლად, ჯალალ ად-დინის მიერ ქალაქის გარემოცვის დროს.

ჩვენი ავტორის მამა ბეჰა ად-დინი 630 (1232/3) წლიდან დასავლეთის ქვეყნების გამგებელ მონღოლ მოხელეთა სამსახურში იმყოფებოდა. ჩინ-თემურის დროს იგი ხორასნისა და მაზანდარანის საჰებ-დივანად დაინიშნა, ხოლო ერთი-ორი წლის შემდეგ ეახლა უგედეი ყაენს (1229 – 1241), რომელმაც პატივით მიიღო ბეჰა ად-დინი და საჰებ-დივანის თანამდებობაზე დაამტკიცა იგი.

დასავლეთის სამფლობელოთა გამგებლებს ხშირად უხდებოდათ დიდი ყაენის კარზე მოგზაურობა, ყურულთაიზე დასასწრებლად, ან-გარიშის ჩასაბარებლად ან მათ წინააღმდეგ წამოყენებულ ბრალდე-

³ ცნობები ათა მალიქისა და ჯუვეინების ოჯახის წევრთა შესახებ სხვადასხვა წყაროებშია გაბნეული. ჩვენ ვსარგებლობთ მისივე საისტორიო ნაწარმოებით, რაშიდ ად-დინის „ისტორიათა კრებულით“, „თარხ-ე ჯაჰანგომას“ სპარსულ ენაზე გამომცემლის მოჰამედ ყაზვინის და თხზულების ინგლისურ ენაზე მთარგმნელის ჯ. ბოილის შესავალი წერილებით, აგრეთვე ზოგიერთი სპეციალური გამოკვლევით, სადაც მრავალი წყაროს ცნობა და მონაცემია თავმოყრილი.

ბებზე პასუხის გასაცემად. ასეთ შემთხვევებში ბეჰა ად-დინი ან თანახლდა მათ, ანდა მათი მოვალეობის დროებით აღმსრულებლად რჩებოდა ირანსა და მეზობელ ქვეყნებში.

მონღოლთა სამსახურში იმყოფებოდა აგრეთვე ათა მალიქის უფროსი ძმა, დიდად განათლებული ადამიანი და თავისი დროის უდიდესი ფინანსისტი, შამს ად-დინ მოჰამედი, რომელიც ჰულაგუ-ხანის, აბალა-ხანისა და აჰმედ-თეგუდარის ვაზირი იყო⁴.

ალა ად-დინ ათა მალიქ ჯუვეინი დაბადებულია 623 (1226) წელს ჯუვეინის ოლქის მთავარ ქალაქ აზადვარში (ხორასანში). თხუთმეტი წლის ასაკიდან იგი მონღოლთა სამსახურში იმყოფებოდა და გურგუზის შემდეგ დასავლეთის სამფლობელოთა გამგებლად დანიშნული არღუნ ამირის ერთ-ერთი მდივანი იყო. თავისი გამგებლობის ცამეტი წლის მანძილზე (1243 – 1256) არღუნს ხუთ-ექვსჯერ მოუხდა მოგზაურობა დიდი ყაენის კარზე. მას მეტწილად თან ახლდა ხოლმე ათა მალიქიც, რომელმაც ამის გამო ათიოდე წელი გაატარა მოგზაურობაში.

649 (1251) წელს, ზაფხულის მიწურულს, არღუნ ამირი გაემგზავრა, რათა დასწრებოდა დიდი ყაენის ასარჩევად მოწვეულ ყურულთაის. მან თან იახლა ათა მალიქ ჯუვეინიც. სანამ ისინი ყარა-ყორუმს მიაღწევდნენ, ყურულთაი დამთავრდა და მონღოლთა სახელმწიფოს უხენაესი მბრძანებლის ტახტზე დაჯდა მანგუ ყაენი, ჩინგიზ-ხანის უმცროსი ვაჟის თულის შვილი. ამასობაში თოვლმაც მოუსწრო მოგზაურთ და მალიან გაუჭირდათ სიარული. არღუნ ამირმა და მისმა მხლებლებმა მხოლოდ 650 წლის საფარის 20-ს (1252 წ. 2 მაისს), ე. ი. მანგუს ყაენად არჩევიდან თითქმის ერთი წლის შემდეგ მიაღწიეს ყარაყორუმს.

არღუნმა მოახსენა მანგუს დასავლეთის ქვეყნების ეკონომიური მდგომარეობის ამბავი. რასაც მოჰყვა ყაენის მიერ გატარებული საგადასახადო რეფორმები. ამის გამო არღუნ ამირს 651 წლის რა-

⁴ ჯუვენიების გვარის წარმომადგენლები საერთოდ კარგი ფინანსისტები იყვნენ და ხშირად ასრულებდნენ საჰებ-დივანის ანუ ფინანსთა მინისტრის მოვალეობას. ამის გამო ამ თანამდებობის სახელწოდება მათი ერთგვარი ზედწოდებაც კი გამხდარა. მაგალითად, შამს ად-დინი საჰებ-დივანის სახელით იყო ცნობილი, თუმცა იგი ილხანთა პირველი ვაზირიც იყო. ამავე ზედსახელს ატარებდა ათა მალიქიც, რომელსაც საერთოდ არ სჭერია საჰებ-დივანის თანამდებობა.

⁵ გუიუქ ყაენი 1249 წელს გარდაიცვალა სამარყანდის მახლობლად. მისი სიკვდილის შემდეგ ერთხანს სახელმწიფოს განაგებდა მისივე მეუღლე ოღულყაიმში, ფაქტიურად კი უმეფობა იყო.

10

ჯაბის თვემდე (1253 წლის სექტემბრამდე) მოუხდა ყარაყორუმს დარჩენას. მონღოლთა სახელმწიფოს დედაქალაქში ხანგრძლივად ყოფნის დროს⁶ მეგობრებმა ურჩიეს თურმე ჯუვეინის, დაეწყო შედგენა საისტორიო თხზულებისა, რომელშიც აღწერილი იქნებოდა მონღოლი ყაენების დიდი საქმეები და მათი დაპყრობითი ომები. ათა მალიქს ჯერ უარი უთქვამს, რადგან ფიქრობდა, რომ არ გააჩნდა საამისო ცოდნა. მაგრამ მახლობლებმა დაარწმუნეს ის, რომ საფუძვლიანად იყო მომზადებული ამ საქმისათვის: კარგად იცნობდა მონღოლთა სახელმწიფოს და მის გამგებლებს, თავისი თანამდებობის გამო ხელი მიუწვდებოდა სანდო წყაროებზე და, რაც მთავარია, თვითმხილველი იყო მრავალი მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენისა.

ბოლოს ათა მალიქი დათანხმდა ხელი მოეკიდა ამ საქმისათვის. თავისი საისტორიო ნაწარმოების წერას, რომელსაც „ქვეყნის დამპყრობის⁷ ისტორია“ უწოდა, იგი შეუდგა 650 (1252/3) წელს და დაამთავრა 658 (1260) წელს.

ყარაყორუმს უკანასკნელი მოგზაურობიდან 1253 წელს დაბრუნებულმა ჯუვეინიმ განაგრძო არღუნ ამირთან თავის სამსახურებრივ მოვალეობათა შესრულება. ამ თანამდებობაზე იმყოფებოდა ის ირანში მანგუ ყაენის უმცროსი ძმის ჰულაგუ-ხანის მოსვლამდე 654 (1256) წელს. არღუნ ამირი შაბურდანის ველზე შეეგება ჰულაგუს და, მისი ბრძანებით, დიდი ყაენის კარზე გაემგზავრა ყარაყორუმს, რათა თავი დაეცვა მის წინააღმდეგ წამოყენებული ახალი ბრალდებისაგან წასვლის წინ მან ჰულაგუ-ხანის სამსახურში გაამწესა თავისი ვაჟი გერაი მალიქი, ამირ აჰმედ ბითიქჩი და ათა მალიქ ჯუვეინი. ამის შემდეგ სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე ჯუვეინი ჰულაგუ-ხანსა და მის მემკვიდრეებს ემსახურებოდა.

ჰულაგუ-ხანის მეთაურობით დასავლეთისაკენ გამოგზავნილი ლაშქრის პირველი მიზანი იყო ისმაილიანთა განადგურება. 1256 წლის გვიან შემოდგომაზე მონღოლებმა ყოველი მხრიდან ალყა შემოარტყეს ისმაილიანთა მთავარ სიმაგრეს ალამუთის ციხეს. იმავე წლის ნოემბრის შუა რიცხვებში ისმაილიანთა ორდენის მეთაურმა როქნ ად-დინმა გადაწყვიტა, დანებებოდა მონღოლებს და ითხოვა დაცვის სიგელი, რომელიც ჯუვეინის შეუდგენია. მასვე მონაწილეობა მიუღია აგრეთვე გამართულ მოლაპარაკებაში და დაუწერია

⁶ 1252 წლის 2 მაისიდან 1253 წლის სექტემბრამდე, ე.ი. ერთი წლისა და

ისმაილიანთა საბოლოოდ დამარცხებისა და განადგურების მაუწყებელი ფათჰ-ნამეს („ძღვევის წიგნის“) ტექსტი. ჰულაგუ-ხანის ნებართვით ათა მალიქმა გადასინჯა ალამუთის მდიდარი ბიბლიოთეკა, ბევრი ძვირფასი წიგნი გადაარჩია და გადაარჩინა დაწვას.

ალამუთისა და ისმაილიანთა ორდენის სხვა სიმაგრეების აღების შემდეგ ჰულაგუ-ხანმა ბაღდადისაკენ დაძრა ლაშქარი. 1258 წლის თებერვალში მან აიღო ბაღდადი, მოაკვლევინა ხალიფა ალ-მუსთასიმი და ბოლო მოუღო აბასელთა სახალიფოს. მომდევნო, 1259 წელს ჰულაგუ-ხანმა ათა მალიქ ჯუვეინი დანიშნა ბაღდადისა და არაბეთის ერაყის გამგებლად. ჰულაგუს გარდაცვალების შემდეგაც (1265 წ.) ამავე მოვალეობას ასრულებდა ის, თუმცა აბალა-ხანმა (1265 – 1282) ბაღდადის გამგებლად მონღოლი ამირი სულუფჩაყი გაამწესა. ხოლო ათა მალიქი მის ნაიბად დანიშნა.

ჯუვეინიების ოჯახს ბევრი მტერი ჰყავდა და ილხანთა კარზე მათი ხანგრძლივი სამსახურის მანძილზე არაერთხელ უცდიათ ძმების დაღუპვა, მაგრამ შამს ად-დინი და ათა მალიქი ყოველთვის ახერხებდნენ უვნებლად გადარჩენას. აბალა-ხანის ილხანობის ბოლო წლებში ვინმე მაჯდ ალ-მულქმა, რომელიც თავის დროზე ჯუვეინიების მიერ იყო დაწინაურებული სახელმწიფო სამსახურში, რამდენიმეჯერ დააბეზლა ათა მალიქი და მიაღწია იმას, რომ მას სახელმწიფო თანხის – 2.500.000 დინარის მითვისება დაბრალდა. ათა მალიქმა ბაღდადში მიიყვანა ილხანის მიერ გაგზავნილი ამირი და უკლებლივ გადასცა ყველაფერი, რაც კი გააჩნდა სახლში: ოქროვერცხლი, ძვირფასი ქვები, ჭურჭლეული, ტანსაცმელი... მისმა ძმამ, საჰებ-დივანმა შამს ად-დინმაც ასევე შეაგროვა თავისი საკუთარი, შვილების და მახლობელთა ქონება და აბალა-ხანს მიართვა⁸. მაგრამ მაინც ვერას გახდა, ვერ გაათავისუფლებინა დაპატიმრებული ათა მალიქი, სანამ თვითონ მონღოლი დიდებულები და აბალას საყვარელი ცოლი არ გამოესარჩლნენ მას. მაგრამ მაჯდ ალ-მულქმა მაინც არ მოისვენა და ახლა ილხანთა ყველაზე საშინელ მტერთან, ეგვიპტის მამლუქებთან მიწერ-მოწერაში დასდო ბრალი ათა მალიქს. 1282 წლის მარტში ათა მალიქ ჯუვეინი ამ ბრალდებაზე პასუხის გასაცემად ბაღდადიდან ჰამადანს გაემგზავრა. მაგრამ სანამ ადგილზე მივიდოდა, აბალა-ხანის სიკვდილის ამბავი შეიტყო. იმავე

⁸ შამს ად-დინი თავისი დროის ერთ-ერთი უმდიდრესი ადამიანი იყო. მისი ყოველდღიური შემოსავალი ერთ თუმანს ანუ ათი ათას დინარს უდრიდა (ილხანთა სახელმწიფო შემოსავალი ყაზან-ხანის საფინანსო რეფორმამდე 1700 თუმანს შეადგენდა).

წელს ილხანის ტახტზე დაჯდა აბალას ძმა აჰმედ-თეგუდარი, რომელმაც დაუყოვნებლივ მოხსნა ჯუვეინის ბრალდება. აჰმედის წინააღმდეგ ენერგიული ბრძოლა გააჩადა აბალას უფროსმა ვაჟმა არლუნმა,

რომელიც ჯუვენიების მიმართაც მტრულად იყო განწყობილი. მას სჯეროდა ფართოდ გავრცელებული ხმები, თითქოს შამს ად-დინმა მოწამლა მამამისი და ყოველნაირად ცდილობდა ძმების დაღუპვას, არღუნ ბაღდადს მივიდა, კვლავ წაუყენა ათა მალიქს ბრალდება სახელმწიფო თანხების მითვისებაში და მისი მომხრეების დაპატიმრებასა და დასჯას შეუდგა. ათა მალიქმა რომ ეს ამბავი შეიტყო, რაშიდ ად-დინის მიხედვით ძლიერი თავის ტკივილი დაეწყო და მალე მოკვდა (არსებობს მოსაზრება, რომ სისხლი ჩაექცა ტვინში). აზ-ზაჰაბის სიტყვით კი იგი ცხენიდან გადმოვარდნილა და ისე მოკვდა. ეს ამბავი არანში მოხდა 681 წლის ზულ-ჰიჯჯეს თვის 4-ში (1283 წლის 5 მარტს).

1284 წელს არღუნმა ტახტიდან ჩამოაგდო თავისი ბიძა აჰმედი და თვითონ დაჯდა ილხანად. მან სიკვდილით დაასჯევინა ვაზირი შამს ად-დინი და მისი ვაჟები და მალე ჯუვენიების ერთ დროს მრავალრიცხოვანი და ძლიერი ოჯახი თითქმის მთლიანად ამოწყდა⁹.

* * *

თავის ძირითადი თხზულების „თარიხ-ე ჯაჰანგოშაჰ-ს წერა ალა ად-დინ ათა მალიქ ჯუვეინიმ 1252 ან 1253 წელს დაიწყო და 1260 წელს, უკვე ბაღდადის გამგებლობის დროს დაამთავრა. ეს თხზულება ჩინგიზ-ხანის, მის მიერ შექმნილი სახელმწიფოსა და მისი მემკვიდრე-შთამომავლების ისტორიას ეძღვნება. გარდა ამისა, ავტორი დაწვრილებით გადმოგვცემს ხორეზმშაჰებისა და ისმაილიანთა ისტორიასაც. რომლებთანაც შეტაკება მოუხდათ მონღოლებს დასავლეთში ლაშქრობისას.

„თარიხ-ე ჯაჰანგოშაჰ“ სამი ტომისაგან შედგება, ყოველი ტომი კი თავის მხრით თავებად არის დაყოფილი. პირველ ტომში (در تاریخ چنگیز خان و اعقاب او تا کیوک خان) გადმოცემულია ჩინგიზ-ხანის მისი სახელმწიფოს წარმოქმნისა და დაპყრობითი ომების ისტორია. აქვეა მოთხრობილი უგედეი ყაენისა და გუიუქ ყაენის მეფობის ამბები. მეორე ტომში (در تاریخ خوارزمشاهیان)

⁹ სიკვდილს გადაურჩა მხოლოდ შამს ად-დინისა და ავაგ ათაბაგის ასულის, ხვამაქის ვაჟი, ზაქარია, რომელმაც საქართველოს შეაფარა თავი.

გადმოცემულია ხორეზმშაჰების დინასტიის ისტორია (განსაკუთრებით ვრცლად არის აღწერილი მოჰამედისა და ჯალალ ად-დინის ამბები) და ხორასნისა და მაზანდარანის მონღოლ გამგებელთა თავგადასავალი. მესამე ტომში (در تاریخ منگو قآن و ملاحدہ) მოთხრობილია მანგუ ყაენის ამბები და გადმოცემულია ილხანთა სახელმწიფოს წარმოქმნის ისტორია. აქვეა აღწერილი ირანელ ისმაილიანთა ისტორია, ჰულაგუ-ხანის მიერ ამ ორდენის დამარცხება და მათი მთავარი რეზიდენციის – ალამუთის ციხის აღება¹⁰.

ათა მალიქ ჯუვეინის „თარიხე ჯაჰანგოშაჰ“ ძირითადად ეძღვნება იმ პოლიტიკური მოვლენების აღწერას, რომელთა დიდი ნაწილი თვით ავტორის სიცოცხლეში მოხდა. იგი პირადად იყო მონა-

წილე მის მიერ გადმოცემული ბევრი ამბისა. გარდა ამისა, ჯუვეინის საშუალება ჰქონდა მოესმინა თავის უფროს თანამედროვეთა, მონღოლთა პირველი შემოსევების თვითმხილველთა და თანადამხდურთა მონათხრობი. კერძოდ, მას გამოუყენებია მოგონებანი მამამისის, ბეჰა ად-დინისა, რომელიც მონღოლთა დასავლეთის სამფლობელოების საჭებ-დივანი იყო. გამორიცხული არ არის, რომ ზეპირ ნაამბობთან ერთად ჯუვეინის წერილობითი წყაროებიც გამოეყენებინა¹¹.

ყოველივე ამის გამო ათა მალიქ ჯუვეინის თხზულებამ სწრაფად მოიპოვა პოპულარობა როგორც სანდო საისტორიო წყარომ. მისი მონაცემებით ფართოდ სარგებლობდნენ მონღოლთა ბატონობის ხანისა თუ მომდევნო საუკუნეების ისტორიკოსები. მაგალითად, XIV საუკუნის ცნობილი სახელმწიფო მოღვაწე და მეცნიერი რაშიდ ად-დინი ზოგჯერ სიტყვასიტყვით იწერს მთელ ადგილებს „ქვეყნის დამპყრობის ისტორიიდან“.

ჯუვეინის საისტორიო ნაწარმოებში დიდი ადგილი აქვს დათმობილი მონღოლთა დაპყრობითი ომების აღწერას. ამიტომ მას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მონღოლთა შემოსევების ისტორიის კვლევისათვის¹². ავტორი ვრცლად გადმოგვცემს მონღოლების ლაშქრობებს მავერანნაჰრსა და ხორასანში, ხორეზმშაჰ მო-

¹⁰ თხზულების ზოგიერთ ნუსხას დართული აქვს დამატება – მონღოლთა მიერ ქალაქ ბადდადის აღების აღწერა, რომელიც XIII საუკუნის ცნობილ მეცნიერს ნასირ ად-დინ ტუსის მიეწერება.

¹¹ В. В. Бартольд, Туркестан в эпоху монгольского нашествия, Соч., т. I, М., 1963, გვ. 88.

¹² В. В. Бартольд, Иран. Исторический обзор, Соч., т. VII, М., 1971, გვ. 290 – 29.

14

ჰამედისა და სულთან ჯალალ ად-დინის ბრძოლას მათთან და ა. შ. მაგრამ ჯუვეინის შედარებით უფრო მოკლედ და ზოგ შემთხვევაში არაზუსტად აქვს მოთხრობილი ამიერკავკასიის ქვეყნებში მონღოლთა ლაშქრობების ამბები. საქართველოში, აზერბაიჯანსა და სომხეთში მონღოლების შემოსევებთან დაკავშირებული ცნობები ჯუვეინისა აშკარად ნაკლები და ნაკლებად ზუსტია¹³. მაგალითად, იგი საერთოდ არაფერს ამბობს ჯებესა და სუბუდაის რაზმების მიერ ქართველთა ლაშქრის დამარცხების შესახებ და სხვ. ასევე სრული არ არის ათა მალიქის მოთხრობა სულთან ჯალალ ად-დინის ამიერკავკასიის ქვეყნებში ყოფნის შესახებ.

მიუხედავად ამისა, ათა მალიქ ჯუვეინის ცნობებს ამიერკავკასიის შესახებ დიდი მნიშვნელობა აქვს ამ ქვეყნების XIII საუკუნის პირველი ნახევრის ისტორიის საკითხების დასამუშავებლად. ჯუვეინის ცნობების სხვა წყაროების მონაცემებთან შეჯერება და ურთიერთშევესება საშუალებას იძლევა წარმოვიდგინოთ ამიერკავკასიის ქვეყნებში მონღოლებისა და ხორეზმელების შემოსევებისა და უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ ამიერკავკასიის ხალხთა გამირული ბრძოლის ისტორიის რამდენადმე სრული სურათი.

ათა მალიქ ჯუვეინის, როგორც აღვნიშნეთ, ხშირად უხდებოდა

მოგზაურობა არღუნ ამირთან ერთად, რომლის პირადი მდივნის მოვალეობას იგი ასრულებდა 1256 წლამდე. ასეთ მძიმე პირობებში იწერებოდა მისი საისტორიო ნაწარმოები და ამ მნიშვნელოვანმა გარემოებამ შესამჩნევი კვალი დაამჩნია „ქვეყნის დამპყრობის ისტორიის“ ტექსტს. ზოგჯერ ესა თუ ის მოვლენა ჯუვეინის არასწორად აქვს დათარიღებული ან სულაც არ მოეპოვება თარიღი. ავტორი ზოგჯერ ერთმანეთის საწინააღმდეგო ცნობებს იძლევა თხზულებაში. ერთ-ერთ უძველეს ხელნაწერში დატოვებულია სუფთა, ადგილები რომელთა შევსებას ავტორი, როგორც ჩანს, მერე აპირებდა, მაგრამ ვეღარ განახორციელა ეს. ჯუვეინი რამდენიმეჯერ იმოწმებს თავისი ნაშრომის არარსებულ თავებს და ა.შ. ყველაფერი ეს მოწმობს, რომ „თარიხ-ე ჯაჰანგოშაჲ“ არ ყოფილა საბოლოოდ დამუშავებული ან, იქნებ, სულაც დაუმთავრებელი დარჩა. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სახელმწიფო სამსახურის საქმეებით დატვირთულმა ჯუვეინიმ ვეღარ შეძლო გაეგრძელებინა მუშაობა თავის საისტორიო თხზულებაზე და საბოლოოდ დაესრულებინა ის.

¹³ А. А. Али-заде, Социально-экономическая и политическая история Азербайджана XIII – XIV вв., Баку, 1957, გვ. 14.

ათა მალიქ ჯუვეინი, ისევე როგორც რაშიდ ად-დინი ვასაფი, ჰამდალაჰ ყაზვინი, მონღოლ ილხანთა ოფიციალური ისტორიოგრაფიის წარმომადგენელია. ამ ისტორიკოსებს ამავე დროს მაღალი ადმინისტრაციული თანამდებობები ეჭირათ ილხანთა სახელმწიფოში და თავიანთი კეთილდღეობით მთლიანად დამოკიდებული იყვნენ მონღოლებზე. მათ როგორც კარის ისტორიკოსებს თავიანთ ნაწარმოებებში უნდა შეექოთ ჩინგიზ-ხანი და მისი მემკვიდრენი. ამ ისტორიკოსებმა შეასრულეს მბრძანებელთა დაკვეთა – ხოტბა შეასხეს მონღოლებს, მაგრამ, როგორც ი. პეტრუშევსკი შენიშნავს, საკმაოდ უხალისოდ გააკეთეს ეს. „ოფიციალური ისტორიკოსების მდგომარეობამ ხელი არ შეუშალა ჯუვეინისა და რაშიდ ად-დინს დაეხატათ მონღოლთა შემოსევების სამინელებანი, ეჩვენებინათ მჭიდროდ დასახლებული ქალაქების დაღუპვის, საყოველთაო ხოცვა-ჟლეტის, მთელი ოლქების განადგურების სურათი თითქმის ისეთივე გულახდილობით, როგორც ამას აკეთებდნენ მონღოლთა მიმართ მტრულად განწყობილი ისტორიკოსები (იბნ ალ-ასირი, ნესავი, ჯუზჯანი)“¹⁴.

ცნობილი რუსი აღმოსავლეთმცოდნე ვ. ბარტოლდი, თავის კლასიკურ ნაშრომში „თურქესტანი მონღოლთა შემოსევების ხანაში“ (1900 წ.) გულისტკივილით შენიშნავდა, ჯუვეინის თხზულება აქამდე არ ყოფილაო სათანადოდ დაფასებული¹⁵. ახლა უკვე თამამად შეიძლება ითქვას, რომ ათა მალიქ ჯუვეინის „თარიხ-ე ჯაჰანგოშაჲ“ საბოლოოდ მოიპოვა სპეციალისტთა საყოველთაო აღიარება. საკმარისია აღინიშნოს, რომ ვ. ბარტოლდის ზემოთ მოტანილი სიტყვების შემდეგ ჯუვეინის თხზულების სპარსული ტექსტი

¹⁴ И. П. Петрушевский, Исторический труд Рашид-ад-Дина. გვ. 32. ამიტომ სრულიად შეუწყნარებლად გვეჩვენება ქართულს ისტორიოგრა-

ფიაში ამ რამდენიმე წლის წინ გამოთქმული შეხედულება, რომ „სრულიად უმართებულოდ არის მიჩნეული ჯუვეინი თუ სხვა რეტროგრადები ცივილიზაციის „მფარველებად“. ამ მოსაზრების ავტორი ფიქრობს, რომ „თათართა ის ვანდალიზმი, რომელსაც ილხანთა სამსახურში მყოფი ისტორიკოსები აღნიშნავენ, მათ რენეგატობის მძიმე დადს ვერ მოაცილებს“. თურმე ნუ იტყვი, „როცა ჯუვეინი ჰულაუს თუ მის წინამორბედთა სისხლიან თარეშს და ნგრევას აღწერდა, მას აკეთებდა არა პროგრესისადმი ერთგულებით, არამედ ოფიციალურ თვალსაზრისთან სრული თანხმობით, ილხანი ამით თავს შეურაცხყოფილად კი არ გრძობდა, პირიქით, ამყობდა კიდევ“. (ი. ს. ი. ხ. ა. რ. უ. ლ. ი. მ. ე. ქართველი ხალხის ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის XII – XIV საუკუნეებში, თბ., 1967, გვ. 8.).

¹⁵ В. В. Бартольд, Туркестан в эпоху мингольского нашествия, гв. 87.

16

მთლიანად¹⁶ გამოიცა სამჯერ¹⁷ და ასევე მთლიანად ითარგმნა ინგლისურ და იტალიურ ენებზე¹⁸.

საქართველოში ჯუვეინის თხზულება მონღოლთა ბატონობის ხანაშივე გაიცნეს. კერძოდ, გამორკვეულია, რომ XIV საუკუნის შესანიშნავი ქართველი ისტორიკოსი ჟამთააღმწერელი იცნობდა „თარიხ-ე ჯაჰანგოშად“-ს და იყენებდა მას თავისი საისტორიო ნაწარმოების შედგენის დროს. აქედან ამოუკრებია ჟამთააღმწერელს ცნობები ჩინგიზ-ხანის პერიოდის მონღოლთა შესახებ¹⁹.

შემდგომ მეცნიერი ისტორიკოსები იყენებდნენ ჯუვეინის მონაცემებს საქართველოში მონღოლთა თუ ჯალალ ად-დინის შემოსევების ისტორიის ცალკეული საკითხების კვლევის დროს, მაგრამ მთლიანად „თარიხ-ე ჯაჰანგოშად“-ს ცნობები საქართველოს შესახებ პირველად ითარგმნა. ამასთან ერთად, ჩვენ ვცადეთ, რომ გამოთვტანა არა მარტო ის ცნობები, სადაც საქართველო იხსენიება, არა-

¹⁶ ცალკე ნაწილების გამოცემების შესახებ იხ. Ч. А. Стори, Персидская литература, Био-библиографический обзор, Переработал и дополнил Ю. Э. Брагель, II. М., გვ. 763 – 764.

¹⁷ 1912, 1916 და 1937 წლებში ირანელმა მეცნიერმა მირზა მოჰამედ ყაზვინიმ გამოსცა „თარიხ-ე ჯაჰანგოშად“-ს სამივე ტომი სამეცნიერო აპარატითა და ვრცელი შესავალი წერილით სპარსულ და იხგლისურ ენებზე (ინგლისური თარგმანი ედ. ბროუნისა): The Tarikh-i-Jahan-gusha of 'Ala ud-din 'Ata Malik-j-Juwaini, ed. By Mirza Muhammad Qazwini. GMS, XVI 1,2,3, Leyden-London, 1912, 1916, 1937. იგივე ტომები ხელმეორედ დაიბეჭდა 1952, 1953 და 1958 წლებში ბრადფორდსა (I, II) და ლონდონში (III).

1932-33 წლებში სეიდ ჯალალ ად-დინ თეჰრანში დაბეჭდა თხზულების სამივე ტომი თეირანში. პირველი ორი ტომი მ. ყაზვინის გამოცემას იმეორებს ხოლო მესამე ტომი დემოუკიდებელი გამოცემაა:

کتاب تاریخ جهانگشای تالیف
عطا ملک بن بهادر بن محمد بن محمد الجوینی ، سعی سید
جلال الدین طهرانی طبع گردید ، طهران ، ۱۳۴۱-۱۳۵۳
1958 წელს მოჰანედ ოაა-დაისი თეირანში ერთ წიგნად გამოსცა თხზულების
სამივე ტომი მ. ყაზვინის მიხედვით: کتاب تاریخ جهانگشای تالیف علا الدین
عطا ملک بن بهادر بن محمد بن محمد الجوینی ، بهمت محمد
رمضانی ، تهران ، ۱۳۳۷

¹⁸ 'A t a M a l i k J u w a i n i, The History of the World-Con queror. translated from the Persian by J.A. Boyle vol. I – II, Manchester, 1958: 'A l a - a - d - D i n ' A t a M a l i k J u w a i n i, Genghis Khan il conquistatore del mondo. Trad. di G. Scarcia, vol. I – II [Milano, 1962].

¹⁹ რ. კ ი ვ ნ ა მ ე, ჟამთააღმწერლის სპარსული წყაროები, „კავკასიურ-ახლო-აღმოსავლური კრებული“, II, თბ., 1962.

მედ უფრო ფართოდ წარმოგვეჩინა ჯუვეინის მასალა და ამასთან, მთელი ამიერკავკასიის ვითარებაც გაგვეთვალისწინებინა. ამავე დროს, საჭიროდ ვცანით, გვეთარგმნა ჯუვეინის მოთხრობა მანგუ ყაენის საგადასახადო რეფორმის შესახებ, რადგან ამ რეფორმის ტალღა საქართველოსაც მოსწვდა. მართალია, ჩვენი ავტორი რამდენადმე გადაჭარბებით აფასებს მანგუს ამ ღონისძიების მნიშვნელობას და შედეგებს, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ სამეურნეო ცხოვრების ერთგვარი გამოცოცხლება ამ რეფორმას მაინც მოჰყვა.

* * *

სპარსული ტექსტი გადმოვწერეთ მირზა მოჰამედ ყაზვინის ცნობილი გამოცემიდან და აშიებზეც ამავე გამოცემის გვერდებია ნაჩვენები.

ენა ჯუვეინის თხზულებისა სავსაოდ მაღალფარდოვანი და ღვარჭნილია, თუმცა დიდად არ განსხვავდება კლასიკური სპარსული პროზის ენისაგან. ჯუვეინის თხზულების სინტაქსიც სავსაოდ თავისებურია, რაც იმით აიხსნება, რომ ავტორმა მთელი სიცოცხლე მონღოლთა შორის გაატარა²⁰. ჯუვეინი ხშირად მიმართავს სიტყვათა თამაშს და დიდ ოსტატობასაც იჩენს ამ საქმეში (საამისო მაგალითები მითითებული გვაქვს შენიშვნებში). თარგმნის დროს ჩვენ ვეცადეთ, თანამედროვე სალიტერატურო ქართულის ფარგლებში, შეძლებისდაგვარად, ორიგინალის ენის ელფერიც შეგვენარჩუნებინა.

ათა მალიქ ჯუვეინის უხვად აქვს ჩართული თავის თხზულებაში სხვადასხვა ავტორთა სპარსული თუ არაბული ლექსები. ეს ლექსები, ისევე როგორც არაბული საღვთისმეტყველო გამოთქმებიც, რომელთაც კავშირი არ ჰქონდათ საისტორიო თხრობასთან, მეტწილად გამოვტოვეთ.

საქართველოს ისტორიის სპარსული წყაროების შესწავლა-გამომზეურებას დიდი ამაგი დასდო გამოჩენილმა ქართველმა ირანისტმა, აწ განსვენებულმა ვლადიმერ ფუთურიძემ. მან X – XIX სს. არაერთი სპარსული ძეგლი შეისწავლა, გამოკრიბა ცნობები საქართველოს შესახებ, თარგმნა ქართულად და გამოაქვეყნა სათანადო შენიშვნებით. ამ წყაროების მონაცემებს ახლა ფართოდ იყენებენ ქართველი ისტორიკოსები ჩვენი ქვეყნის წარსულის მრავალი სა-

²⁰ Н. В. Пигулевская, А. Ю. Якубовский, И. П. Петрушевский, Л. В. Строева, А. М. Беленицкий, История Ирана. Л., 1957. გვ. 157.

ყურადღებო საკითხის გასარკვევად. მეცნიერს ათა მალიქ ჯუვეინის ცნობების თარგმნაც თვითონ ჰქონდა დაწყებული²¹, მაგრამ სხვა სამუშაოთი დატვირთულმა (იმხანად იგი სპარსულ ისტორიულ სა-

ბუთებს ამზადებდა გამოსაცემად) ეს საქმე ჩვენ დაგვავალა და ყურადღებაც არ მოგვაკლო. ეს წიგნიც დაუვიწყარი ვლადიმერ ფუთურიძის ხსოვნას ეძღვნება.

²¹ იხ. ვ. ფუთურიძის გამოქვეყნებულ და გამოუქვეყნებელ ნაშრომთა სია, შეადგინა ა. ჭეიშვილმა, „აღმოსავლური ფილოლოგია“, თბ., 1972, გვ. 33, № 41.

ალა ადდინ ათა მალიქ ჯუვეინი

თარიხ-ე ჯაჰანგოშაი

ცნობები საქართველოს შესახებ

ქართული თარგმანი

ტომი პირველი

**თბროზა იემესა და სუზუდაის წასვლისა
სულთან მოჰამედის კვალდაკვალ**

ჩინგიზ-ხანი რომ სამარყანდს მიადგა¹ და ალყა შემოარტყა მას, ამბავი გაიგო, სულთანმა მოჰამედმა² თერმეზის წყალი გადალახა, თავისი ლაშქრის, დიდებულებისა და მხლებელთა დიდი ნაწილი ციხეებსა და სოფლებში დაქსაქსა, მასთან ცოტა ხალხი და დარჩა და შეშინებული, გულდამძიმებული გადავიდა მდინარეზეო.

ჩინგიზ-ხანმა თქვა: „მანამდე, სანამ მის გარშემო ჯამაათი შეიკრიბებოდეს და სხვადასხვა მხრიდან დიდებულნი შეუერთდებოდნენ და შეეწოდნენ, მისი საქმე უნდა მოვათავოთ და გული გავისუფთავოთ მისგან“. თავის გამოჩენილ ამირთაგან იემე³ და სუზუდაი აარჩია, რათა მას დადევნებოდნენ. მთელი ლაშქრიდან, რომელიც თან ახლდა, შეფარდებით ოცდაათი ათასი კაცი გამოჰყო, რომ თითოეული მათგანი და სულთნის ლაშქრის ათასი კაცი ისე იყვნენ [ერთმანეთის მიმართ], ვით მგელი და ცხვრის ფარა, ანდა როგორც გავარვარებული ნაკვერჩხალი და ხმელი ლერწმიანი.

მონღოლებმა [ირანის] ერაყის ოლქებისა და ქალაქების მეტი წილი აიკლეს და დაარბიეს და იქიდან არდებილს წავიდნენ, გარემოცვით აიღეს ქალაქი, ხოლო [მცხოვრებნი] გაჟლიტეს და გამარცხეს.

რაკი ზამთარი იდგა, იქიდან მულანს⁴ მოვიდნენ და ზამთარი იქ გაატარეს. იმ წელს დიდი თოვლი მოვიდა და გზები შეკრული იყო.

ჯემალ ად-დინ აი-აბემ⁵ ერთ ჯგუფთან ერთად ერწყმი კვლავ შფოთი და არეულობა წამოიწყო და აჯანყდა. მათ ჰამადანში მყოფი შეჰნე⁶ მოკლეს, ალა ად-დოვლე⁷ შეიპყრეს და გერთის ციხეში⁸ ჩააგდეს [მონღოლებისათვის] მორჩილების გამოცხადების გამო.

როცა გამოზაფხულდა, იემე შეჰნეს მოკვლის გამო შურის საძიებლად ერას მოვიდა. ჯემალ ად-დინ აი-აბე თუმცა მორჩილებით გამოეცხადა, მაგრამ ამან არ უშველა და ისიც სხვებთან ერთად მოკლეს.

იქიდან გაემართნენ და თავრიზი დაიმორჩილეს, მარადის, ნახჭევნისა და იმ ვილაიეთების [მოსახლეობა] ერთიანად გაჟლიტეს. ათაბეგი ხამუში⁹ მორჩილების გამოცხადებით ეახლა [იემეს] და მას სიგელი და ბეჭედი უბოძეს.

იქიდან არანს მოვიდნენ და ბაილაყანი აიღეს, მერე კი შირვანის გზას გაჰყვნენ¹⁰ და დარუბანდს გავიდნენ. არავის ახსოვდა, რომ ოდესმე რომელსამე ლაშქარს გაევიდა იქ ან საომრად მოსულიყო. [მონღოლებმა] ეშმაკობა იხმარეს¹¹ და ისე გაიარეს იქ.

თუში¹² ლაშქარი ყივჩაყთა ველზე და იმ მიდამოებში იდგა. [იემესა და სუბუდაის რაზმები] იმათ შეუერთდნენ, იქიდან კი ჩინგიზ-ხანს ეახლნენ¹³.

თხრობა გუიუქ-ხანის ხანობის ტახტზე ასვლისა

იმ წელიწადს, როცა [უგედეი] ყაენი გამოეთხოვა სიცოცხლის სიმყუდროვეს და უარი თქვა ამ საზიზღარი ქვეყნის სიამოვნებებზე, მან ელჩები გაგზავნა გუიუქის სახმობლად¹⁴, რათა მას დაბრუნების სადავე მოეწია და თავისი განზრახვა და სურვილი [მამასთან] სასწრაფოდ ხლებისაკენ მიემართა. მიღებული ბრძანების შესაბამისად [გუიუქი] სიჩქარის უზანგს დააწვა და სისწრაფის აღვირი მიუშვა. როცა მოახლოვდა [დრო], ოდეს შეხება უბედურებისა, მანძილის სიშორის გამო რომ წარმოიქმნება, ახლოს ყოფნით უნდა განდევენილიყო, და უთანხმოებისა და განშორების საფარველი ჩამოხსნილიყო, განგების გარდაუვალი მაღალი ბრძანება აღსრულდა და აღარ აცალა, რომ განშორების უდაბნოში მყოფი მწყურვალნი შეერთების ანკარა ცივი წყლის ერთი წვეთით გამძლარიყვნენ და მამასა და შვილს ერთმანეთის მშვენების ხილვით დაეტკბოთ მზერა. როცა ამ უსაშველო შემთხვევის ამბავი გუიუქს შეატყობინეს, აუცილებლად მიიჩნია, უფრო აჩქარებულიყო. მომხდარი ამბის

მწუხარებამ ის [ცხენიდან] მიწაზე არ ჩამოუშვა, სანამ ემელს¹⁵ არ მიაღწია. იქაც არ შეჩერებულა, რადგან ხმა დაირხა ოთეგინის¹⁶ მოსვლის შესახებ, და მამის ურდოს მიაშურა. მისი მოსვლით დაიმსხვრა [ხელისუფლებას] დახარბებულთა იმედები. [გუიუქი] იქვე მახლობლად დაბინავდა.

სახელმწიფოს მმართველობა კვლავ დედამისს, თურაქინა-ხა-

თუნს ებარა და საქმეების გამგებლობაც მის ხელთ იყო. გუიუქი იასას¹⁷ და ადათის მიხედვით სახელმწიფო საქმეებში არ ერეოდა და არც ედავებოდა.

რაკი ელჩები გაგზავნეს ქვეყნის შორეულ თუ მახლობელ მხარეებში უფლისწულების და ნოინთა მოსაწვევად და სულთნების, მალიქებისა და მდივანთა სახმობლად, ბრძანების შესაბამისად ყველა დაიძრა თავისი საცხოვრისიდან და სამყოფელიდან.

[როცა გაზაფხული მოვიდა და ფარვარდინის თვე დადგა¹⁸], უფლისწულები თითოეული თავისი მხედრებით, მსახურებით, ლაშქრითა და ამალით მოვიდნენ. ადამიანის თვალი გაოცდა მათი წყობით და მტრის სიამოვნების წყარო აიძვრა მათი ურთიერთთანხმობით. ჯერ სორყოთანი ბიქი და მისი ვაჟები მოვიდნენ ისე აღჭურვილ-შეიარაღებული, რომ არც თვალს ენახა და არც ყურს სმენოდა. აღმოსავლეთიდან მოვიდნენ ქუთანი¹⁹ თავისი შვილებით, ოთეგინი ვაჟებით, ელჩითაი და სხვა ბიძები და ბიძაშვილები, ვინც იმ მხარეში ბინადრობდა. ჩალათაის ურდოდან მოვიდნენ ყარა, იესუ, ბური, ბაიდარი, იესუნ-ბოლა და სხვა შვილიშვილები და შვილთა შვილები²⁰. საყსინისა და ბოლღარის მხარიდან, რაკი ბათო პირადად არ მოვიდა, თავისი უფროსი ძმა ჰორდუ და უმცროსი ძმები – შიბანი, ბერქე, ბერქეჩარი და თოლა-თემური გამოგზავნა. საპატიო ნოინები და წინამძღოლი ამირები, რომლებიც სხვადასხვა დაჯგუფებას ეკუთვნოდნენ, უფლისწულებს ეახლნენ. ხატაეთიდან²¹ მოვიდნენ ამირები და დიდი მოხელენი; მავერანნაჰრიდან და თურქესტანიდან – ამირ მას'უდ-ბეგი და მასთან ერთად იმ მხარეთა დიდებულნი; ამირ არღუნთან ერთად – ხორასნის, ერაცის, ლურის, აზერბაიჯანისა და შირვანის სახელმთხოვეჭილი და დიდებული პირნი. რუმიდან მოვიდა სულთანნი როქნ ად-დინი²² და თავგავორის სულთანნი²³; საქართველოდან – ორივე დავითი²⁴; ალეპოდან – ალეპოს პატრონის²⁵ ძმა; მოსულიდან სულთან ბედრ ად-დინ ლუ'ლუს²⁶ ელჩი; მშვიდობის ქალაქ ბაღდადიდან-მთავარი ყადი ფახრ ად-დინი; აგრეთვე [მოვიდნენ] არზრუმის სულთანნი²⁷, ფრანკთა ელჩები და, ასევე, ქერმანიდან და ფარსიდან; ალამუთის [მბრძანებლის]

22

ალა ად-დინისაგან²⁸ ყოჰესთანის საპატიო კაცნი – შეჰაბ ად-დინი და შამს ად-დინი.

ეს ხალხი თითოეული იმოდენა ბარგით გამოცხადდა, ასეთ სამეფო კარს რომ შეეფერებოდა. სხვა მხარეებიდან იმდენი ელჩი და დესპანი იყო, რომ დაახლოებით ორი ათასი ხარგა მოამზადეს მათთვის. [მოვიდნენ აგრეთვე] ვაჭრები მაშრიყისა და მალრიბის ძვირფასი და იშვიათი საქონლით. როცა შეიკრიბა ეს თავყრილობა, რომლის მსგავსი არც ენახა ვინმეს და არც მატიანეებში წაეკითხა, ხალხის სიმრავლისაგან ფართო ველი ვიწრო შეიქნა და ურდოს მიდამოებში ცხენიდან ჩამოსახდომი და ფეხის დასადგმელი ადგილის შოვნაც გაჭირდა... საჭმელ-სასმელი ძალიან გამძვირდა და ბალახიც კი აღარ დარჩა ცხენებისა და სასაპალნე პირუტყვისათვის.

მთავარი უფლისწულები შეთანხმდნენ, რომ ყენის ერთ-ერთი შვილისთვის ჩაეზარებინათ სახანოს საქმეები და გადაეცათ სახელ-

მწიფოს გასაღებები. ქუთანი ილტვოდა ამ პატივისკენ იმ მიზეზით, რომ პაპამისმა ერთხელ რაღაც ანიშნა. სხვები იმ აზრისა იყვნენ, რომ სირამუნი²⁹ როცა გაიზრდებოდა, შესაფერისი იქნებოდა იმისათვის, რათა სახელმწიფო საქმეებით აღეჭურვათ. [უგედეი ყაენის] ვაჟებს შორის გუიუქი განთქმული და ცნობილი იყო სიძლიერით, უღმობლობით, სიმამაცითა და მბრძანებლობით. ის ძმებზე უფროსი იყო, ძნელი საქმეების მოგვარების დიდი გამოცდილება ჰქონდა. ლხინიც ენახა და ჭირიც. ქუთანი ცოტათი ავადმყოფობდა, სირამუნი კი ჯერ ბავშვი იყო. ამასთან, თურაქინა-ხათუნი გუიუქის მხარეს იჭერდა, ბიქიც თავისი ვაეიშვილებით მასთან იყო, ნოინები-სა და დიდებულთა უმეტესობაც მათ ემხრობოდა ამ საქმეში. ამგვარად, შეთანხმდნენ, რომ ხანობა გუიუქისთვის მიეცათ და სახელმწიფოს ტახტზე აეყვანათ იგი. გუიუქი წესისამებრ უარზე იდგა და ხან ამას ასახელებდა, ხან იმას. ბოლოს მისანთა მიერ შერჩეულ დღეს, ყველა უფლისწული შეიკრიბა, ქუდები მოიხადეს, ქამრები შეიხსნეს, იესუმ ურთი ხელი დაუჭირა, ჰორდუმ – მეორე და მბრძანებლობის ტახტზე და ფადიშაჰობის სასთაულზე დასვეს და თასები ასწიეს. მერე იქ მყოფმა და სამეფო კარავს გარეთ შეკრებილმა ხალხმა სამგზის მოიყარა მუხლი და გუიუქ-ხანი უწოდეს მას. თავისი ადათისამებრ წერილობითი პირობა მისცეს, რომ მის სიტყვას და ბრძანებას არ გადავიდოდნენ. მერე ლოცვა წარმოთქვეს, ამის შემდეგ სამეფო კარვიდან გარეთ გავიდნენ და სამგზის თაყვანი სცეს მზეს. როდესაც [გუიუქ-ხანი] კვლავ დიდების ტახტზე დაბრძანდა, უფლისწულები მის ხელმარჯვნივ დასხდნენ სკამებზე, ხო-

23

ლო ხათუნები – ხელმარცხნივ, ყოველი მათგანი მომეტებულად სანდომიანი, ვითარცა ძვირფასი მარგალიტი...

დროს ტარებას რომ მორჩნენ, [ყაენმა] ბრძანა გაეხსნათ ძველი და ახალი ხაზინა და გაემზადებინათ ძვირფასეულობა, ნაღდი ფული და ტანსაცმელი. ამ მნიშვნელოვანი საქმის განბჭობა და იმ საქონლის დარიგება ჩააბარა სორყოთანი ბიქის საზრიანობასა და კეთილგონიერებას, რომელიც იმ ყურულთაიზე ყველაზე უფრო დიდი ხელისუფალი იყო. პირველ რიგში გასცეს წილი ქვეყნის დამპყრობი ჩინგიზ-ხანის მოდგმისა და ტომის იქ მყოფი უფლისწული ვაჟების და ქალებისა; ყოველმა კაცმა, ვინც მათ ემსახურებოდა და ახლდა, დიდებულმა თუ მდაბიომ, დიდმა თუ პატარამ, ყველამ ასევე მიიღო საჩუქარი. შემდეგ რიგით მიიღეს ნოინებმა, დუმნის, ათასეულის, ასეულისა და ათეულის ამირებმა, აგრეთვე რაოდენობის მიხედვით, თითოეული მათგანის თანაშემწეებმა და დამხმარებებმა. ასევე მიიღეს სულთნებმა, მალიქებმა, მდივნებმა, დიდმა მოხელეებმა და მათმა ხელქვეითებმა. ვინც კი იყო სხვა ვინმე ყაენის კარზე, თავისი წილის გარეშე არავინ დარჩა და ყველამ მიიღო შესაფერისი სარგო და სრული წილი. ამას რომ მორჩნენ, მნიშვნელოვანი სახელმწიფო საქმეების განხილვას შეუდგნენ...

ამის შემდეგ ლაშქრის საქმეზე და ქვეყნის სხვადასხვა მხარეს მის დაგზავნაზე მოითათბირეს. რაკი გამოირკვა, რომ ხატაეთის სარტყელში მდებარე მანზი³⁰, რომელიც იმ მხარის უშორესი ნაწი-

ლია, მორჩილებიდან გამოსულიყო და გამგონობის საზღვარს გადასცდენოდა, სუბუდაი ბაჰადური და ჯალან ნოინი დანიშნა დიდი ლაშქრითა და მრავალრიცხოვანი სპით იმ მხარეს წასასვლელად; ასევე თანგუთისა და სოლანგაის მხარეშიც; დასავლეთისაკენ გაგზავნა ელჩიგთაი და დიდი ლაშქარი. [ყაენმა] ბრძანა, რომ თითოეული უფლისწულის ლაშქრის ათი კაციდან ორი მას (ელჩიგთაის) შეერთებოდა და, ვინც კი იმ საზღვრებში იყო, ყველა ცხენზე შემჯდგარიყო, ათი თაზიქიდან³¹ ორი გაჰყოლოდა და თავდაპირველად მულჰიდებიდან³² დაეწყით. შეთანხმდნენ, რომ თვითონ ყაენიც კვალდაკვალ გაჰყვებოდა. თუმცა მთელი ლაშქარი და ხალხი ელჩიგთაის დაუმორჩილა, მაბრამ საგანგებოდ ჩააბარა მას რუმის, საქართველოს, ალეპოს, მოსულისა და დიარბექრის³³ საქმეები, რათა სხვა არავინ ჩარეულიყო და იმ ადგილების სულთნებსა და ჰაქიმებს მის წინაშე ეგოთ პასუხი იქაურ გადასახადებზე. ხატაეთის ქვეყანა მან დიდ საჰებს იალავაჩს [ჩააბარა]. ხოლო მავერანნაჰრი, თურქესტანი და სხვა ქვეყნები, რომლებიც ამირ მას'უდ-ბეგის³⁴ მფლობელობაში იყო, მასვე უბოძა. ერაცი, აზერბაიჯანი, შირვანი, ლური, ქერმანი,

24

ფარსი და ინდოსტანის მხარე ამირ არღუნს ჩააბარა. ყოველ ამირსა და მალიქს, რომლებიც თითოეულ მათგანს ემორჩილებოდნენ, იარლიყი და ფაიზა³⁵ უბოძა მაშინ; მნიშვნელოვანი საქმეები ჩააბარა მათ და ვეფხვისთავიანი ფაიზებისა და იარლიყების ბოძებით გამოარჩია. რუმის სასულთნო სულთან რუქნ ად-დინს გადასცა იმის გამო, რომ ის მორჩილებით ეახლა. მისი უფროსი ძმა³⁶ კი გადააყენა. ყიზ-მალიქის³⁷ ძე დავითი მეორე დავითის ბრძანებას დაუმორჩილა. თავაგორისა და ალეპოს სულთნებს და აგრეთვე ელჩებს, იარლიყები მიეცათ. ბაღდადის ელჩს ჩამოართვეს იარლიყი, რომელიც პატივით გადაეცათ მისთვის, და [ყაენმა] რისხვით აღსავსე ეპისტოლე გაუგზავნა მართლმორწმუნეთა მეთაურს იმ საჩივრის გამო, ჩორმალუნის ვაჟმა სირამუნმა რომ შეიტანა. ალამუთის ელჩები დამცირებით და აგდებულად გაისტუმრა და მათ მოტანილ წერილზე საკადრისი უხეში პასუხი მისწერეს.

რაკი ამ მნიშვნელოვან და დიდ საქმეებს მორჩნენ, ნებართვისმიდებისა და პატივისცემის წესების შესრულების შემდეგ, უფლისწულები წავიდ-წამოვიდნენ და გუიუქ-ხანის ნაბრძანებისა და ნათქვამის შესაბამისად ლაშქართა გაგზავნის საქმის მოწესრიგებასა და ამირების დანიშვნას შეუდგნენ.

ტომი მეორე

თხრობა სულთან ჯალალ ად-დინის ბაღდადისკენ წასვლისა

621 წლის დამდეგს³⁸ [ჯალალ ად-დინმა] გადაწყვიტა თუშთარს წასულიყო და ზამთარი იქ გაეტარებინა. ელჩი ფაჰლავანი ორი ათასი კაცით მეწინავედ გაგზავნა მზვერავად. თვითონ კი უკან მიჰყვა. გზაში სოლეიმან-შაჰი³⁹ ეახლა და თავისი და მიათხოვა. როცა სულთანმა მიაღწია შაბურ-ხასთს⁴⁰ (შაბურ-ხასთი დიდი, ცნობილი და სა-

ხელგანთქმული ქალაქი იყო და იხსენიება მატიანეებში, [თუმცა] მხოლოდ ნანგრევები იყო მისგან დარჩენილი), ერთ თვეს დარჩა იქ და ლურის ამირები ეახლნენ. როცა ცხენები მოლონიერდნენ, ბაღდადის გზით დაიძრა იმ იმედით, რომ მართლმორწმუნეთა მბრძანებელი ან-ნასირ ლი-დინ ალაჰი⁴¹ დახმარებას გაუწევდა და მას ზღუდედ აღმართავდა მტრის წინაღმდეგ [ჯალალ ად-დინმა] შიკრიკი. გაგზავნა, რათა თავისი მისვლა და ჩანაფიქრი ეუწყებინა [ხალიფას-თვის]. მართლმორწმუნეთა მბრძანებელმა ამ სიტყვებს ყურადღება არ მიაქცია, რადგან ჯერაც გულში ედო შურისძიების გრძნობა იმის გამო, რაც მისი მამისა და პაპისაგან ეწვნია წარსულში. მან ამირო-

25

ბის ხარისხამდე მიღწეულ ნასყიდ მონათაგან ყოშ-თემური დანიშნა ოცი ათასი გულადი ადამიანითა და მამაცი გმირით, რათა სულთანს ჯალალ ად-დინს მისი ქვეყნიდან გაედევნათ. [ამავე დროს] საფოსტო მტრედები აფრინეს ირბილისკენ, რათა მოზაფარ ად-დინსაც⁴², ათი ათასი კაცი გამოეგზავნა, რომ სულთანი შუაში მოექციათ.

ყოშ-თემური, მანამდე სანამ ირბილის ლაშქრის მოსვლის დრო მოაწევდა, თავისი [ჯარის] რაოდენობის სიმრავლითა და სულთნის შემწე [ლაშქრის] მცირერიცხოვნებით გათამამებული ადგილიდან დაიძრა. როცა სულთანი მოახლოვდა, კაცი გაუგზავნა ყოშ-თემურს: „ჩვენი ამ მხარეს წამოსვლის მიზანი მართლმორწმუნეთა მბრძანებლის ფართო ჩრდილის ქვეშ თავშესაფრის ძიება არის, რადგან ძლიერმა მტერმა გაიმარჯვა და გაბატონდა [ისლამის] ქვეყნებსა და ღვთისმოსავ ადამიანებზე; ვერცერთმა ლაშქარმა ვერ გაუწია მათ წინააღმდეგობა. თუ ხალიფასაგან შემწეობას მივიღებ და მისი მხარდაჭერა მექნება, იმ ჯამათის დამარცხება ჩემი საქმეა“.

ყოშ-თემურმა ამ რჩევას წაუყრუა და ლაშქრის რიგები [საბრძოლველად] გააწყო. სულთანსაც სხვა გზა არა ჰქონდა, ბრძოლისა და წინააღმდეგობისათვის უნდა მომზადებულიყო. რაკი მისი ხალხი [ყოშ-თემურის] ლაშქრის მეათედსაც არ შეადგენდა, ერთი რაზმი ჩასაფრებული ჰყავდა, თვითონ კი ხუთასი მხედრით იდგა. ორ-სამჯერ მათ ცენტრსა და ფრთებზე იერიში მიიტანა და [ისევ] ზურგი აქცია. ყოშ-თემურის ლაშქარს ეგონა, [ჯალალ ად-დინის] ჯარი გაიქცაო და გამოედევნენ. საფარში ჩამჯდარი ხალხი მათ ზურგში აღმოჩნდა; სულთანიც შემობრუნდა, თავს დაესხა მათ და გააქცია. სულთანი მათ დევნაში ბაღდადის სანახებამდე მივიდა, იქიდან გამობრუნდა და დაყუყისკენ წავიდა და ძარცვა-გლეჯის ცეცხლი დაანთო იმ ოლქში.

იქ რომ ჩაიარა, მსტოვრები მიუვიდნენ: მოზაფარ ად-დინი ახლოედებაო ირბილის ლაშქრით, წინ ბარგი გამოუგზავნია და უნდა, რომ მოემზადოს და სულთანს საფრიდან შეუტოსო. სულთანმა თავის ადალს უბრძანა, გზა განეგრძო, თვითონ კი გულოვან მხედართა თანხლებით მთას დაუარა. როგორც კი შეიტყო, [მტრის] ლაშქარმა ჩაიარაო, მაშინვე ვეშაპის მსგავსი მამაცებით შეუტია და მოულოდნელად თავს დაესხა მოზაფარ ად-დინს როცა ეს უკანასკნელი მის ხელთ აღმოჩნდა, სულთანმა სავალდებულოდ მიიჩნია ხელმწიფეთათვის საპატიო და სასახელო წესი შეწყალებისა და პატიებისა,

ოღონდ ნება არ მისცა გზა განეგრძო იქით, საითაც მიდიოდა. მოზაფარ ად-დინი დარცხვენილი იყო თავისი ნამოქმედარის გამო და პატიებას ითხოვდა, თან სინანულს გამოსთქვამდა, რომ დღემდე

26

სულთნის შუქმფინარი აზრების შესახებ არაფერი გამეგო და არც მისი უწყინარობისა და სიმტკიცის ამბავი ვიცოდით. სულთანმა ამის საპასუხოდ ფადიშაჰური სიტყვები წარმოსთქვა და, რაკი მოზაფარ ად-დინის [გამგებლობის] დროს, მიუხედავად ლური და ქურთი ქვეშევრდომებისა, რომელთაც მლოცველთა სისხლის დაღვრა ალალ საქმედ მიაჩნდათ, გზები მაინც უშიშარი იყო და შფოთიც დაცხრა, აქო და ადიდა იგი, მრავალი საჩუქარი უბოძა და წყალობა უყო. მოზაფარ ად-დინი სულთნის მითითებითა და ნებართვით [თავის ქალაქში] დაბრუნდა და სხვადასხვაგვარი სამსახურის გაწევით ყოველნაირად ცდილობდა მისი კეთილგანწყობილება მოეპოვებინა.

იმ მხარიდან სულთანი არანისა და აზერბაიჯანისკენ დაიძრა. იმ დროს ათაბეგი უზბეგი⁴³ იყო [იქაურობის] გამგებელი. მას შებრძოლების ძალა არა ჰქონდა, მარტო გაიქცა თავრიზიდან და თავისი მეუღლე მალიქა, სულთან თოღრულის⁴⁴ ასული, ქალაქში დასტოვა.

ერთი სიტყვით, [ჯალალ ად-დინი] რომ თავრიზის კარს მიადგა და ალყა შემოარტყა, ათაბეგის დიდებულნი და ამაღა იქ იმყოფებოდნენ და სასტიკ წინააღმდეგობას უწევდნენ. როცა მალიქამ დაატყო, რომ სულთნის მოგერიება შეუძლებელი იყო, და თან რაკი გულში ათაბეგისაგან შეურაცხყოფილი იყო, სულთანს საიდუმლოდ კაცი გაუგზავნა და აცნობა ის სიძულვილი, რაც თავისი ქმრის, ათაბეგის მიმართ ჰქონდა. მანვე გაუგზავნა ბაღდადისა და შამის იმამთა ფეთვები⁴⁵ იმის თაობაზე, რომ სამგზის განქორწინება, რაც [აქამდე] პირობითი იყო, ნებადართულიაო. თან სულთანთან დაზავების ვადა დათქვეს, რათა მალიქა თავისი ავლა-დიდებით ნახჭევანს წასულიყო. ამის შემდეგ სულთანიც ნახჭევანს მივიდოდა და შეირთავდა. მან ბეჭედი გაუგზავნა მალიქას ნიშნად.

ორი დღის შემდეგ მალიქამ ქალაქის ამირებსა და დიდებულთ უხმო და უთხრა: „დიდი სულთანი ჩამოხდა ჩვენი ქალაქის მახლობლად. ათაბეგს მისი მოგერიებისა და განდევნის ძალა არა ჰქონდა. მაგრამ, თუ მასთან ზავი და მშვიდობა არ დაიდო და ქალაქი ბრძოლით აიღო, იმასვე გვიზამს რაც მამამისმა ქალაქ სამარყანდში მოიმოქმედა. თუ მიზანშეწონილად მივიჩნევთ, ყადიები და გამოჩენილი პირები გავუგზავნოთ და შეთანხმება დავდოთ, რომ ზიანს არ მიაყენებს ათაბეგის ჰარამხანას და მის ქვეშევრდომთ და ხელს არ შეუშლის, რომ სადაც უნდათ, წავიდნენ. ქალაქი კი მას გადავცეთ. რაც ჩემმა გონებამ საჭიროდ სცნ, ეს არის. თქვენ ათაბეგის დიდი მოხელენი ხართ, რაც სასარგებლოდ მიგაჩნიათ, უნდა სთქვათ“. ყველამ ერთხმად განაცხადა, მალიქას აზრი მეფური აზრია და ბრძნუ-

27

ლი ჩანაფიქრიაო. მთავარი ყადი იზ ად-დინ ყაზვინი, რომელიც თავ-

ვისი დროის მეცნიერ და სწავლულ კაცთა შორის უწარჩინებულესი იყო, კარისკაცთა ჯგუფთან ერთად სულთანს აახლეს დასა პატიებას და შეწყალებას ეაჯნენ იმ პირობით, რომ მალიქას და ათაბეგის ჯალაბობას წინააღმდეგობას არ გაუწევდნენ, რომ სადაც უნდოდათ, წასულიყვნენ. სულთანმა მათი თხოვნა დააკმაყოფილა და ნება დართო, თუკი სურდათ, წასულიყვნენ.

მეორე დღეს, როცა ზეცის ხელმა მზის მახვილი ჰორიზონტის ქარქაშიდან ამოიღო, ათაბეგის დიდებულნი და ამირები და ქალაქის წარჩინებული პირები ერთად ეახლნენ სულთანს მისაღებ კარავში და სხვადასხვანაირი საჩუქრები და მოსაკითხი მიაართვეს. ისინი ეამბორნენ ხალიჩას, რომლის თავზე ზეცა ქოლგად იყო გადაშლილი, და სულთნის შუბლზე მხიარულების, სიმხნევისა და კეთილშობილი თვისებების კვალი იხილეს.

მალიქამ თავისი განწყობილების შესაბამისად ხოის გამგზავრება ინება⁴⁶; სულთანიც 622 წელს⁴⁷ დიდებით შევიდა ქალაქში და მცხოვრებნი მის მისვლას მიესალმნენ. სულთანი რამდენიმე დღე დარჩა იქ, მერე კი ნახჭევანს მივიდა, იმამთა ფეთვეების თანახმად მალიქას დაეუფლა და ათაბეგის სავალ ბილიკზე შედგა⁴⁸.

ათაბეგი იმ დროს ალინჯის ციხეში⁴⁹ იმყოფებოდა. სულთნის ნახჭევანს მისვლის ამბავი რომ შეიტყო, მიხვდა, რაც ჰქონდა განზრახული, შინაგანი განუკურნავი დარდი ამ გარეგანი მიზეზით გამოაჩნდა და იმავე დღეს სევდისა და მწუხარებისაგან სულიც განუტევა.

გულახდილად რომ ითქვას, უწესო საქციელი, განსაკუთრებით, რაც ოჯახსა და ჰარამხანას ეხება, ყველა ადათის მიხედვით დასაგმობია. ამ სამაგელი მოქმედების და გასაკიცხი საქმეების მსგავსი ქცევა მხოლოდ ზიზღს იწვევს.

თხოვრა სულთნის, ქართველებისა და მათი დარბევის შესახებ

როცა განგებამ, როგორც მისი ადათი და წესია, ათაბეგის სახელმწიფო გაანადგურა და მისი სამფლობელო სულთან ჯალალ ადდინს გადასცა, ხოლო მახლობლებმა და მსახურებმა ყოველი მხრიდან მისკენ იბრუნეს პირი, უგვანო და ურწმუნო ქართველებმა განიმტკიცეს ხარბი სურვილი ვილაიეთის დასაკუთრებისა, რათა პირველ რიგში სულთანი განედევნათ და თავრიზის მხარე დაეპყროთ, შემდეგ ბაღდადს წასულიყვნენ, კათალიკოსი დაესვათ ხალიფას ად-

გილზე, მეჩეთები ეკლესიებით და ჭემმარიტება სიცრუით შეეცვალათ. ამ პატივმოყვარე სურვილისა და ამპარტავანი უგუნურების გამო, თავისი ხალხის სიმამაცისა და ბასრი შუბებისა და მახვილების იმედით ჯარი შეკრიბეს, ოცდაათ ათასზე მეტი კაცი გაამზადეს და დაიძრნენ.

სულთანს რომ ეს ამბავი მიუვიდა, თუმცა მისი რაზმი ჯერ მრავალრიცხოვანი არ იყო და მისი აწეწილი საქმეებიც ჯერ არ იყო გამოსწორებული, იმ რაზმით, რაც ჰყავდა, ბევრი ფიქრისა და ყოყ-

მანის გარეშე ქართველებისკენ დაიდრა. იმ დროს, როცა განთიადის შუქი ღამის წყვდიადს სდევნიდა, [ჯალალ ად-დინმა] ქართველთა ბანაკს⁵⁰ მიაღწია გარნისის⁵¹ ხეობაში, სადაც ისინი ღვინით მთვრალეები და გაღვინებულები იყვნენ.

სანამ ქართველები ხელს აღმართავდნენ საომრად, სულთანი თავს დაესხა და კარგი გამარჯვება მოიპოვა მათზე. გარნისის ვიწრო ხეობაში ერთი გამოქვაბული იყო, ბრძენის ფიქრებით ღრმა ქართველები როგორც იყვნენ, ისევე ცხენდაცხენ გარბოდნენ და იმ გამოქვაბულს აფარებდნენ თავს.

ეპოქის ყოველგვარი არეულობისა და შფოთვის ამტეხთა მეთაურები შალვა და ივანე სხვა ქართველ დიდებულებთან ერთად შეიპყრეს, ბორკილებში ჩასვეს და სულთანს მიჰგვარეს. შალვა ადის [ტომის]⁵² მამაკაცს ჰგავდა ტანის სიდიდითა და წარმოსადეგობით, კეთილშობილი ღირსებითა და ძლიერებით. სულთნის წინაშე რომ წარდგნენ, ჰკითხა: „რა იქნა შენი მძვინვარება, რომ გაიძახოდი, სად არის ზულ-ფაყარის⁵³ პატრონი, რომ [ჩემი] ბასრი ხმლის დარტყმა იხილოსო?“. შალვამ მიუგო, ეს საქმე სულთნის კეთილმა ბედმა ჰქმნათ. ამის შემდეგ ისლამის მიღება შესთავაზეს. მან უპასუხა: „დეჰყანებს ასეთი წესი აქვთ, რომ ბოსტნებში ავი თვალის წინააღმდეგ სახედრის თავს ჰკიდებენ. შალვაც ვირის თავი იქნება ისლამის ბაღის მწვანეში“. მაგრამ თვითონ კი, უკაცრავად პასუხია, ნამდვილი უკანალი იყო ვირისა.

ერთი სიტყვით, როცა გამარჯვებულმა და ძლევამოსილმა სულთანმა დედაქალაქ თავრიზს მიაღწია, მისი შიშით იმ ოლქებში გულები ძრწოლამ, ხოლო მტრები ელდამ მოიცვა. მისი ლაშქარი წინანდელთან შედარებით გაიზარდა. შალვასა და ივანეს პატივით მოეპყრა და, იმ განზრახვით რომ, საქართველოს დაპყრობაში დამეხმარებინათ, დამატებითი წყალობის სახით მარანდი, სალმასი, ურმია და უშნუ⁵⁴ უბოძა.

[ჯალალ ად-დინმა] ქვეითებისა და მხედართაგან შემდგარი დიდი ლაშქარი გაამზადა და შალვა და ივანე მასთან ერთად გაგზავ-

29

ნა⁵⁵. ისინი მისი განწყობილების შესაფერ სიტყვებს ეუბნებოდნენ, ყოველგვარ ვალდებულებას და მოვალეობას კისრულობდნენ და ცრუ დაპირებებით აქეზებდნენ სულთანს; უნდოდათ მუხანათობის თოკით სიკვდილის ჭაში ჩაეჩეხათ იგი და მელისებური მოქმედებით ის ავჯახს ბუნების ლომი [თავიანთი] მზაკვრობის ბორკილით შეებოჭათ.

სულთანმა გადაწყვიტა მარტო შეხვედროდა თავის ქალს, არა ფულით ნასყიდ მხევალს⁵⁶, და ხოისკენ დაიდრა. იქიდან საქართველოსკენ წავიდა და დვინში, რომელიც საქართველოს საზღვარია, ერთმანეთს შეუერთდნენ. სულთანმა უპირველეს ყოვლისა მალექ თაშთდარი დესპანად გაგზავნა ყიზ-მალიქთან. ეს ყიზ-მალიქი ქალი იყო და მთელი საქართველოს ფადიშაჰი გახლდათ. მართლმორწმუნეთა მბრძანებელ აბუ ბაქრის⁵⁷ შესახებ, – ღმერთი იყოს მისი მწყალობელი, – არსებობს თქმულება, რომ, როდესაც ამზავი მიუვიდა. ირანის შაჰი ქალიაო, უთქვამს: „მდაბალია ის, რომ თავისი საქმე-

ები ქალისათვის ჩაუბარებია“.

ერთ დღეს მალექ თაშთდარი მდინარე მტკვრის ნაპირას იდგა. შალვასგან მომავალი ერთი მთვრალი მღვდელი, რომელსაც ქეშიშს უწოდებენ, მალექ თაშთდარს მიეჭრა და უთხრა: „მალე მალიქი⁵³ ლაშქარს დაძრავს, რათა მარქაბის ველზე შემოვერტყათ სულთანს ლაშქრიანად და სამაგიერო შურისგება მივუზღოთ მას“. მალექ თაშთდარმა ის მღვდელი მაშინვე მოჰკლა და სწრაფმფრენი ჩიტით გაეჩქარა სულთანთან. დილა ადრიან, როცა მუეძინების ხმამ მართლმორწმუნენი გააღვიძა, სულთანთან მიაღწია და საქმის ნამდვილი მდგომარეობა და ჭეშმარიტების გზას აცდენილი ხალხის მზაკვრობის ამბავი აუწყა. [ჯალალ ად-დინი] ბრძანა, იმისათვის რომ გამოეცადოთ და შევამოწმოთ, შალვა და ივანე აქ მომგვარეთო და სხვა ორმოცი [ქართველი] ამირიც მოიყვანეთო მათთან ერთად. [როცა მოიყვანეს] უთხრო „მინდა რჩევა გკითხოთ, რომელი გზა უკეთესია, ყარსისა თუ მარქაბის ხეობის?“ შალვამ და ამირებმა მიუგეს: „ყარსის გზაზე გამაგრებული ქალაქებია, იქ გავლა გაძნელებდა. მარქაბის გზა კი შუალა გზაა და უფრო ახლოა თბილისთან⁵⁹. როცა იქ მივალთ, სულთნის [გამოჩენის] ხმაზე იმათი ლაშქარი გაიფანტება და თბილისის ვილაიეთს დავიკავებთ და დავიპყრობთ“.

რაკი სულთნისთვის ამ თვალთმაქცი ადამიანების უხამსი მრწამსის ნამდვილი ამბავი ცნობილი შეიქნა, წამოდგა, ხელში ნაჭერი ხმალი წელზე შემოჰკრა შალვას, შუაზე გაკვეთა და ხმალი შეღება მისი სისხლით. თანაც ბრძანა ყველა დანარჩენიც ჯოჯოხეთში გაგზავნე-

30

თო⁶⁰. მერე თავის ამირებს რჩევა ჰკითხა, რომელი გზით წავიდეთო. ყველამ თავისი შეხედულება თქვა. ბოლოს სულთანმა ბრძანა, ჩემი აზრი ასეთია, რომ რაკი იმათ შალვასა და ივანეს შესახებ არაფერი იციან და მათგან ამბავს ელოდებიან, მოულოდნელად უნდა დავესხათო თავს. მისი აზრის თანახმად, ათი ათასი გულოვანი კაცი სასწრაფოდ დაიძრა და იარეს ბანდ-ე ფამბას⁶¹ ხეობის კალთამდე, რომელზე გადაფრენა მხოლოდ არწივს შეეძლო. [ჯალალ ად-დინი] ცხენიდან ჩამოხდა და ლაშქარიც ფეხდაფეხ მიჰყვა. მთის თხები მის სვლას რომ ხედავდნენ, ქვეითად სიარულის გამო დარცხვენილნი და შეშინებულნი თავდაყირა ცვიოდნენ მთიდან. როდესაც განთიადის ნაკადულები აჩუხჩუხდა, იმ გარყვნილებამდე მიაღწიეს. ორივე მხრით სასტიკი ბრძოლა გაიმართა და ისარსა და ხმალზე იტაცეს ხელი, სანამ ბოლოს და ბოლოს ჭეშმარიტებამ არ სძლია სიცრუეს, წარმართთა სექტის დიდი ნაწილი მოსპობის მახეში მოხვდა და ცდომილი ხალხი დამლუპველმა გველებმა დაკბინეს. სულთნის მომხრეებმა გაიმარჯვეს, ხოლო ეშმაკის მეგობრები იძლივნენ.

იმ დღეს დაღამებისთანავე იქვე დაიბანაკეს. მეორე დღეს... ლორეს ველზე მივიდნენ. ისეთი მტვერი დადგა, რომ კაცი ვეღარ ცნობდა ერთმანეთს. როცა მტვერი ჩადგა და მზე ამოვიდა, დაინახეს ქართველები, რომლებიც მახეში გაბმული ნადირივით ხუთ-ხუთ და ათ-ათ კაციან ჯგუფებად შეგროვილიყვნენ. ვინც კი დაინახავდა ქართველს იქვე ჰკლავდა, სანამ ამრიგად ბევრი არ გაწყდა და თავი-

სიანებს არ მიჰყვა. ლორეს ამანი უბოძა [ჯალალ ად-დინმა]. იქიდან ალიაზადის⁶² ციხისკენ გაემართა. [მეციხოვნეებმა] შეწყალება ითხოვეს და მათთვისაც არ მიუყენებიათ ზიანი. მოჰარამისა და საფარის თვეების განმავლობაში [სულთან] ლაშქართან იმყოფებოდა, მაგრამ როგორც კი რაბი ალ-ავალის ახალი-მთვარე იხილეს⁶³, სულთანმა ნადირობა ისურვა და მარტო გაემართა რამდენიმე მხედრის თანხლებით. ქართველებმა რომ ეს შეიტყვეს, ხუთასი კაცი, ნაცადი ვაჟკაცები, გაგზავნეს, იქნებ სულთანი მოულოდნელად დავიჭიროთ ეშმაკობის ქამანდით და ისლამის ცეცხლი ჩავაქროთო.

სულთანმა რომ შორიდან დაინახა ისინი, მიხვდა, დიდი წარღვნა მოდისო. მაგრამ იმ იმედით, რომ ბედის ქართა მხრიდან, ძლევა მოსილი და დიდებული ღვთის შეწევნით, ნიავი დაბერავს და უბედურების მტვერს შეაყრის თვალებში ამ უმსგავსოებსო, ბრძოლაში ჩაება. იგი პირადად ესხმოდა თავს ისე, რომ ერთი კაცი ხუთას-ერთეკებოდა და ყოველ ჯერზე რამდენიმე მათგანს ანარცხებდა ძირს. სულთნის ლაშქარმა რომ ეს ამბავი შეიტყო, ერთი რაზმი მოვიდა მის დასახმარებლად. იმ სამაგლებს ყოველ წამს მოსდიოდათ ხალხი,

31

სანამ ათი ათას კაცზე მეტი არ შეიყარა. ორხანმა⁶⁴ თბილისის მახლობლად შეაფარა თავი და იქაურ ლაშქარს აკავებდა; ამასობაში სულთანი თავისიანების ერთი რაზმით თაქბირის მახილით თავს დაესხა იმ უგვანოებს და ხმლისა და შუბის მარჯვნივ თუ მარცხნივ ძვერებით ბევრი მათგანი მიწას დაანარცხეს.

ქართველებმა რომ მისი გურჯის ცემა იხილეს, გაიქცნენ. რაკი ქალაქის მისასვლელები მეომრებით სავსე დახვდათ, სადავე მდინარისკენ⁶⁵ შეაბრუნეს და ის მდაბალი ადამიანები შიშისა და ძრწოლვისაგან იარაღითა და ცხენებიანად წყალში ცვიოდნენ და ჯოჯოხეთის ცეცხლში მიემგზავრებოდნენ.

ციხეში მყოფთ რომ ეს ამბავი ნახეს, ხელები საბრძოლველად გაიწვდინეს. მაგრამ როცა ლაშქარი წინ წადგა და ვარსკვლავთა გამგმირავი ისრებისა და ჯიგრის მწველ ბოძალთა ტყორცნით შეაწუხეს და შეავიწროვეს ისინი, ყიზ-მალიქის ხაზინა წყალში ჩაყარეს და მეორე დღეს პატიება ითხოვეს. სულთანმა მათი თხოვნა დააკმაყოფილა და პირადად იდგა, სანამ ის ხალხი მის საგუშაგოებს ჩაუვლიდა და აფხაზის საზღვარს⁶⁶ მიაღწევდა. ყოველი სოფელი თუ ციხე თბილისის მიდამოებში, რომლებიც ეშმაკის მიმდევრებით იყო სავსე, ერთიანად მოსთხარა და მის ამაღლას უსაზღვრო და უზომო ნადავლი ერგო. თბილისის ეკლესიები⁶⁷, რომელთა აშენებაზე ძველთაგან ძვირფასი საუნჯე იყო დახარჯული, დააქცია, მათ ადგილზე კი ისლამის სამლოცველოები დააარსა.

მოულოდნელად მსტოვრები მოვიდნენ, ბარაყმა ერთგულების უღელი გადმოიგდო კისრიდან და ქერმანიდან ერაცის დასაპყრობად დაიძრაო. ბარაყის მოსაგერიებლად სულთანმა ბურაყის მსგავსი ბედაურები დასძრა და ელვისებურად⁶⁸ გაექანა. ლაშქრიდან, რაც შესძლო, თან წაიყვანა და ქარივით მიწის ზედაპირს ძლივს ეხებოდა, ცეცხლის ალივით მაღლა-მაღლა მიიწევდა. სადგომებსა და გადასასვლელელებზე ლაშქარი უკან ჩამორჩა. ჩვიდმეტ დღეში თბილისი-

დან ქერმანის მიდამოებში მივიდა. ლაშქრიდან სამას მხედარზე მეტი არ ახლდა თან. ბარაყ ჰაჯიბმა რომ სულთნის მისვლა შეიტყო, მრავალი საჩუქარი მიართვა და პატიება ითხოვა.

ცხენების დასვენების მიზნით სულთანი რამდენიმე დღით ისფაჰანს მივიდა და ერაყის დიდებულნი ეახლნენ⁶⁹.

ამასობაში კვლავ მოვიდა ამბავი, ქართველები ისევ შეიკრიბნენო. ვაზირი იულდუზჩი⁷⁰, რომელიც სულთანს თავის მოადგილედ დაეტოვებინა თბილისში, იძულებული იყო თავრიზს მოსულიყო, ხოლო მალიქ აშრაფს⁷¹ შამიდან ჰაჯიბ ალი ხლათში გაეგზავნა და ყოველ რამდენიმე დღეში არბევდა იქაურობას. მალიქა ხოიდან

32

ხლათს წასულიყო და ჰაჯიბ ალის დანებებოდ. ქართველები თბილისში დაბრუნებულიყვნენ, მეჩეთებს ანგრევდნენ და მუსლიმებს აწამებდნენ. ამ საშინელი ამბების გამო სულთანი შეშფოთდა და შეწუხდა და მაშინვე აზერბაიჯანისკენ გაემშურა.

სულთანმა რომ ხლათის მიდამოებს მიაღწია, ვისაც კი მოახელებდა მისი ლაშქარი, იქვე ხოცავდნენ და, რასაც თვალს მოჰკრავდნენ, მიჰქონდათ. ასე მიაღწიეს ხლათის კარამდე. მოლაშქრენი ქალაქში შეიჭრნენ და მარცვასა და ხოცვა-ჟლეტას მიჰყვეს ხელი, ყვირილი და კვნესა აღმოხდათ კაცებსა და ქალებს. სულთანმა თავისიანები გაგზავნა, რათა ის ხალხი ქალაქიდან გარეთ გაეყვანათ. მდაბიო ხალხმაც ამბოხება მოაწყო⁷², მოლაშქრეთა ერთი ჯგუფი დახოცეს, დანარჩენები კი გარეკეს ქალაქიდან. საქმე ველარ გამოკეთდა და სულთნის ამაღამ რამდენიც არ სცადა, [მცხოვრებლებმა] გზა არ მისცეს, რომ ქალაქში შესულიყვნენ.

რაკი თაიმასისა და თაინალის⁷³ ერაყს მისვლის ამბავი შეეტყო და იქ გაჩერებაც შეუძლებელი იყო, იქიდან ერაყს მიმავალმა [სულთანმა] თავრიზს მიატანა, ხოლო მერე ისფაჰანში ჩავიდა. საცა კი იყო გაბნეული ლაშქარი ან ცალკე მეომრები, ყველამ სულთანს მიაშურა. ამასობაში მონღოლთა ლაშქარმა რეის მიაღწია. სულთანი ბრძოლისა და შეტაკებისათვის გაემზადა, ყველა დიდებული და ხანი გამოიძახა.

კეთილშობილებს უხმო ლაშქრიდან

და ასე უთხრა: „მნიშვნელოვანი საქმეა, წინ რომ გვიდევს და დიდი უბედურება მოგვადგა კარს. თუ სისუსტესა და ჯაბნობას მივეცით თავი, ჩვენი არსებობა შეუძლებელია. ერთი სიტყვით, უმჯობესია წინააღმდეგობა გავუწიოთ და მოვითმინოთ. თუ მაღალი ღმერთი შეგვეწია, ჩვენცა და თქვენც გადავრჩებით. ხოლო თუ საქმე სხვაგვარად მოეწყო, ჩვენ მოკლებული არ ვიქნებით წამებულთა ღირსებას და [საუკუნო] ნეტარების პატივს“... ყველა ერთგულად და ერთხმად დაეთანხმა სულთანს. იმანაც ლაშქარი მოამზადა და ცენტრი და ფრთები გააწყო. ლაშქრის მარჯვენა ფრთა მან თავის ვერაგ ძმასა და სწორს, უღმობელ ყიას ად-დინს ჩააბარა, ხოლო მარცხენა ფრთა...⁷⁴ გაამაგრა. თვითონ ცენტრში დადგა და რიგები გააწყო. უნდოდა მარჯვენა და მარცხენა ფრთებისთვის მბრძანებინა, მასთან ერთად მიეტანათ იერიში მტრის ცენტრსა და რიგებზე, [მაგრამ ამ დროს] მისმა ძმამ ყიას ად-დინმა ელჩი ფაჰლავა-

ნის. თავისი ამაღლისა და მეომართა ერთი ჯგუფის თანხლებით სა-
დავე შეაბრუნა.

33

სულთანნი ჯალალ ად-დინი ამის გამო შემფოთდა და ზიზღით აივსო ლაშქრის მიმართ. მიუხედავად ყველაფერი ამისა, მან პირი არ იბრუნა და [მოწინააღმდეგის] ლაშქრის ცენტრს შეუტია. მონ-
ლოლთა ლაშქრის მარჯვენა ფრთა სულთნის მარცხენა ფრთას უწევ-
და, ხოლო სულთნის მარჯვენა ფრთა – მონლოლთა მარცხენა
ფრთას. ორივე ლაშქარი ერთმანეთში აირია. მონლოლთა ლაშქარი
სულთნის [ჯარის] ცენტრის ზურგში აღმოჩნდა; სულთნის ალამი
ადგილიდან დაიძრა, ხოლო [მონლოლთა] მარჯვენა ფრთა მისი მარ-
ცხენა ფრთის დევნას განაგრძობდა; ასე რომ, არავინ იცოდა ერთ-
მანეთის ამბავი. სულთანნი [ლაშქრის] ცენტრში იყო და ჯილავდრის
მეტი მასთან კაცი არ დარჩენილიყო. მას ყოველი მხრით გარს შე-
მორტყმოდნენ და სულთანნი წრეხაზის ცენტრით იყო შუაში.
ერთს რომ ცხენიდან გადმოაგდებდა, მეორეს ხელ-ფეხს მოკვეთდა,
სანამ თავი არ დააღწია ალყას და ლურისთანს არ მიაშურა. [იქ] ერთ
ხეობაში დაიდო ბინა და ლტოლვილები თითო-თითოდ თუ ორ-
ორნი მოულოდნელად მოდიოდნენ მასთან და მის სამსახურში რჩე-
ბოდნენ. ისფაჰანის მცხოვრებთაგან და ლაშქრიდან არავინ იცოდა
მისი ამბავი. ზოგს ეგონა, ბრძოლაში მოკლესო, ზოგიც ფიქრობდა
ტყვედ ჩავარდაო.

მონლოლთა ლაშქარი ისფაჰანის კარს მიადგა, მაგრამ შეყო-
ნებისა და შეჩერების გარეშე სასწრაფოდ გააჭენეს ცხენები და სამ
დღე-ღამეში რეის მიაღწიეს. იქიდან ნიშაბურისკენ გაემართნენ და
უკანვე დაბრუნდნენ.

სულთანმა ისფაჰანს მიაშურა; მაცნეები წინ გაგზავნა, თვითონ
კი კვალდაკვალ მიჰყვა. ყველა კაცი და ქალი მის შესახვედრად გა-
მოვიდა და მისი მობრძანება სიხარულის მოსვლად და უბედურების
წასვლად მიიჩნიეს.

სულთანნი გულმოსული იყო თავისი ამაღლის დიდებულთა უმე-
ტესობაზე. მან ბრძანა, მოეგვარათ ის ხანები და მეთაურები, ვინც
ხელმწიფის მახლობლები და მისი სამეფო კარის სახელმძღვანელო
ადამიანები იყვნენ, მაგრამ ბრძოლის დღეს არაფერი გაუკეთებიათ.
მათ ქალის ლეჩაქები დაახურეს თავზე და ქალაქის უბნები შემოატა-
რეს. იმ ხალხს, ვისაც ამირობის ხარისხი არა ჰქონდა, მაგრამ იმ
დღეს, რომელიც განკითხვის დღე იყო, ბრძოლის ველზე დაწინაურ-
და, მაგრად გაიდგა ფეხი და ერთგულად იდგა, ზოგს ხანობის წო-
დება უბოძა. ზოგსაც – მალიქობისა და [საპატიო] ხალათები და
სხვა საჩუქრები, აღაზევა ისინი და განადიდა.

34

**თხრობა სულთან ჯალალ ად-დინის საქართველოში
დაბრუნებისა**

625 წელს⁷⁵ იქიდან საქართველოში წავიდა. რაკი რუმის, შა-

მის, სომხეთისა და იმ მხარეთა სულთნებს ეშინოდათ მისი სიმკაცრის და შურისძიების, მძვინვარე იერიშისა და გაბედული თავდასხმის, ერთმანეთს შეუთანხმდნენ და მის განსაღებნად გაერთიანდნენ. ქართველთა, ალანთა, სომეხთა, სარირების, ლეკების, ყივჩაყთა, სვანების, აფხაზთა, ჭანების, სირიელების და ურუმთა ლაშქარი გაერთიანდა იმ ხალხთან ერთად, ვინც განგების ცეცხლზე იყო ნაწრთობი და მეზრძოლთა შორის რჩეული.

სულთანი მათს სიახლოვეს მივიდა მინდორზე⁷⁶ და ჩამოხდა. იგი შეშფოთებული იყო შეიარაღების ნაკლებობით და მახვილოსნებისა და შუბოსნების უყოლობით, აგრეთვე მტრის მომრავლებით და თავისი ბედის ცვალებადობით.

[ჯალალ ად-დინმა] რჩევა ჰკითხა ვაზირ იულდუზჩისა და სხვა დიდებულებს. იულდუზჩიმ მოახსენა: „რაკი ჩვენი ხალხის რაოდენობა იმათ მეასედსაც არ შეადგენს, მინდორიდან წავიდეთ და იმათ გზა მოვუჭრათ წყლისა და საწვავისაკენ, რათა სიცხისაგან თვითონაც დასუსტდნენ და ცხენებიც დაუმჭლევდეთ. [ჩვენი] სხვა რაზმებიც, რომლებიც სხვადასხვა მხარეს არიან, [ამასობაში] მოაღწევენ. მაშინ სრული ძალითა და გამჭრიახობით შევუდგებით საქმეს და ომზე ვიფიქრებთ“.

სულთანი უზომოდ განრისხდა ამაზე და, წინ რომ სამელნე ედგა, ვაზირს თავში სთხლიშა. თან ბრძანა, „ეგენი ცხვრის ფარას წარმოადგენენ და ლომს რა აქვს საწუწუნო არვეს სიმრავლის გამო?“.

იულდუზჩიმ თავისი უხეირო ნათქვამი მოინანია და ჯარიმად ორმოცდაათი ათასი დინარი გადაიხადა.

სულთანმა ბრძანა: „თუმცა მძიმე და ძნელი საქმეა, მაგრამ ერთადერთი საშველი ბრძოლა და ღვთის წყალობაზე მინდობაა. არავინ იცის ვინ გაიმარჯვებს“.

ხაზინის კარი გახსნეს და ცხენის ჯოგები მორეკეს; ამირებმა და დიდებულებმა, საშუალო და მდაბიო [მეომრებთან] ერთად, რაც კი შეეძლოთ, აიღეს და მოემზადნენ.

როცა [მოწინააღმდეგის] რაზმებმა მოაწიეს დაფითა და ბუკით, მამალი და დედალი აქლემებით, და ერთმანეთის მიყოლებით დაეწყვიტნენ მწკრივებად ომისთვის მომზადებულნი, სულთნის ლაშქარ-

რი თავის თავთან შედარებით ზღვის მცირე ნაკადულად და თავის მოედანზე ბურთად ეჩვენათ...

როცა ქართველთა ლაშქარი მოვიდა, სულთნის ჯარმაც იარაღი აისხა. სულთანი მათ დასათვალიერებლად ერთ მაღალ გორაკზე ავიდა. მარჯვნივ ყივჩაყთა დროშები და აღმები და ოცი ათასი რჩეული კაცი დაინახა. სულთანმა ყოშყარს უხმო, ერთი პური და ცოტაოდენი მარილი მისცა და ყივჩაყებთან გაგზავნა. მან მოაგონა ის ამბავი, რომ მამამისის მეფობაში, იმ დროს, როცა ისინი დამონებული და დამცირებული იყვნენ, სულთანმა თავისი ეშმაკური მახვილსიტყვაობით დაიხსნა ისინი ამისგან და მამასთან უშუამდგომლა. თან დასძინა: „ნუთუ ახლა იმ ამბის სამაგიეროდ მახვილს იშიშვლებთ ჩემს წინააღმდეგ?“.

ამ მიზეზით ყივჩაყთა ლაშქარმა უკან დაიხია, თავის ადგილს მოშორდა მაშინვე და განზე გადავა.

როცა ქართველთა ლაშქარმა რიგები განაწყო, სულთანმა მოციქული გაუგზავნა ივანეს⁷⁷, რომელიც მათი მეთაური იყო, [და შეუთვალა]: „თქვენ დღეს შორიდან მოხვედით, ცხენებიც დაღლილია და ხალხიც დაქანცული. დღეს ასევე ვიდგეთ და ორივე მხრით ბრძოლას მოწყურებული ახალგაზრდები გამოვიდნენ თითო-თითოდ მოედანზე და თავდასხმისა და მოგერიების გზით შეებან ერთმანეთს, რათა ჩვენ დღეს მათ ვუცქიროთ, საქმე კი ხვალისათვის გადავდოთ“. ივანეს ეს სიტყვები მოეწონა და მამაც ახალგაზრდათა და გულოვან ვაჟკაცთაგან ასპარეზზე გამოვიდა ერთი რაინდი, რომელიც მთას ეჯიბრებოდა ახოვნებით; ამ მხრიდან კი სულთანი, მსგავსად მუნქარისა⁷⁸.

ლომივით გაქანდა ლაშქრიდან
და ჰუჯირის⁷⁹ წინ გამოცხადდა მამაცურად.

ხალხი ორივე მხრიდან შესცქეროდა მათს სულთანმა გაჭენებულ ცხენზე თავბირი⁸⁰ დასძახა და

შუბი ატაკა სარტყელში,
ისე რომ ხიფთანიც გაუგლიჯა და ქამარიც.

ის წყეული ცხენიდან ძირს გადმოვარდა და სული ამოხდა. მას სამი ვაჟი ჰყავდა. ისინი რიგრიგად გამოდიოდნენ ცალ-ცალკე; სულთანი მაღალი და დიადი ღმერთის ძლევამოსილებითა და ძლიერებით თითო დარტყმით ჯოჯოხეთში აგზავნიდა მათ მამის კვალდაკვალ.

სხვა აზნაურმა, რომელიც ტანით ბისუთუნის მთას ჰგავდა და ბოდის სიმსხო შუბი ეჭირა ხელში, გამოაჭენა სპილოსოდენა ცხენ-

36

ნი... სულთნის ცხენს მეტიმეტი დაღლილობისაგან მოძრაობა აღარ შეეძლო და ის-ის იყო უკანდახვევის ხუნდებშიც მოხვდებოდა. აზნაური ყოველ წამს თავს ესხმოდა, სულთანი კი მკვირცხლად იგერიებდა. ამგვარად [აზნაური] განუწყვეტლივ უტევედა და უშენდა სულთანს, მაგრამ უშედეგოდ. საქმე გაძნელდა და იქამდე მივიდა, რომ წყეული შაითანი სძლევდა მოწყალე სულთანს და შაჰი შავ დევს ჩაუვარდებოდა ხელში. ბოლოს, როცა ერთ-ერთი შეტევის დროს [აზნაური] მიუახლოვდა, სულთანი გაჭენებული ცხენიდან ჩამოხტა და

ერთი შუბი ატაკა თავში აშქაბუსს⁸¹,
მაშინ ზეცა ხელზე ეამბორა მას.

ამ დროს მიწიერ ანგელოზთა მოწონების ხმა მაღალ ზეცას მისწვდა და ავი სულებისა და ადამიანთა ყურს ჩაესმა შეძახილი: „დიდება ალაჰს, რომელმაც გამარჯვება მიანიჭა თავის მსახურს“. ორივე მხარე გაოცებული იყო ამ ამბით, რომლის მსგავსი როსტომ ზაალის ძესაც კი არ შეეძლო გაეკეთებინა, და ყოველი კაცი ამბობდა, ეს როსტომი არის, ან არადა ამომავალი მზეაო.

რაკი ის რამდენიმე კაცი, რომელთაგან თითოეული მამაცი გმირი და ლაშქრის საყრდენი იყო, ერთ წამში, ერთი მხედრის მსხვერპლი შეიქნა და ძაღლებისა და აფთართა ლუკმა გახდა. ის უბედურნი სასოწარკვეთილებამ და ძრწოლამ მოიცვა, ისლამის ლაშქარს კი გაუქრა შიში და კრთომა.

სულთანმა იმ ადგილიდან თავისი მათრახის ბოლოთი ნიშანი მისცა, მებრძოლი ვაჟკაცები დაიდრნენ და ქართველთა ლაშქარმა პირი იბრუნა. გამარჯვების პირველი ნიშნები გამოჩნდა და ძლევის მშვენიერმა შუქმა გაანათა მათი სახეები. ერთ წამში გაშლილი ველი დახოცილთა სიმრავლისაგან უსწორმასწორო ბორცვად იქცა და მიწის პირი ატლასისფრად შეღება დაღვრილმა სისხლმა.

რაკი იმ უბედურთა საქმეს ვერაფერი უშველიდა, ხოლო მატყუარებს სიცრუე აღარ გამოადგებოდათ, დროულად გაქცევისა და ღამის კალთებისათვის ხელის ჩაჭიდებით და წყვდიადის ფარდისთვის თავის შეფარების გარდა (ღმერთი არ არის უსამართლო!) სხვა გზა ვერ ნახეს, ველისა და მთების ყოველი მხარე და კუთხე მღელვარებდა მათი კვნესა-ყვირილისგან და მიწა ზანზარებდა მათი გახელებული ცხოველების ჭიხვინისა და ყროყინისაგან.

იმოდენა ნადავლი დარჩათ, რომ წვრილფეხა პირუტყვს ყურადღებას აღარ აქცევდნენ და სიმდიდრე იმდენად ჩვეულებრივი რამ

37

გახდა, რომ მსხვილფეხა საქონელსაც არაფრად აგდებდნენ.

როცა წინასწარმეტყველის სარწმუნოება კვლავ მომძლავრდა, სულთნის ღირსების და სიმკაცრის ამბავი დედამიწის მხარეებს მოედო და ეს სასიხარულო ცნობა სხვადასხვა კუთხეში დაგზავნეს, მალიქებმა და დიდებულებმა ისევ დაუწყეს ანგარიშის გაწევა. იქიდან სულთანი ხლათისკენ დაიდრა.

თხრობა სულთნის ხლათს წასვლისა და მისი ადების შესახებ

როდესაც სულთანი პირველად გამობრუნდა ხლათიდან, რათა ერაყს წასულიყო, ხლათის გამგებლებმა იქაური ციხე აღადგინეს და გალავანი გაამაგრეს. ამჯერად, როცა სულთანი იქაურობას მიუახლოვდა, შიკრიკები გაგზავნა, თავისი მისვლის ამბავი აცნობა და მისასვლელად მოუწოდა.

ქალაქში მყოფმა უცხოელებმა, მათი გამგებლები რომ იყვნენ, უარი თქვეს ამ წინადადების მიღებაზე და წინააღმდეგობის კარს დაუწყეს კაკუნი. მათ ჩაკეტეს ქალაქის კარნი და არ უწყოდნენ, რომ წიხლს კრავდნენ საკუთარ ბედს და ქეჩის საწოლს იმზადებდნენ ნარცეცხლას ეკლებისაგან.

რაკი სულთანმა იმედი დაკარგა, რომ მიიღებდნენ მის რჩევას, ლაშქარს უბრძანა, ალყა შემოერტყათ ქალაქისათვის, კოშკები აეგოთ, გაემართათ ლოდსატყორცნები და სხვა იარაღი – ისრებისა და ცეცხლის სატყორცნი ჩარხები. ქალაქის შიგნითაც გამეზადნენ საომრად. ორივე მხრიდან ამოქმედდა ლოდსატყორცნები, სეტყვასავით წამოვიდა ისრები და ბოძალნი. ომის ცეცხლის დამნ-

თები მეომრები დღისით და ღამით ესხმოდნენ თავს ქალაქის კარებს. ქალაქელებიც იგერიებდნენ მათ და უძალიანდებოდნენ.

ამასობაში დღეები და თვეები გავიდა და ქალაქში შიმშილმა და სიძვირემ იჩინა თავი. იმათ (ხლათელებმა) უჩუმრად მალე-მსრბოლები გაგზავნეს ბაღდადში, რუმსა და შამში, სულთანთან გვიშუამდგომლეთო. მართლმორწმუნეთა მბრძანებელმა ალ-მუს-თანსირ ბილაჰმა⁸² და რუმისა და შამის სულთნებმა რამდენიმეჯერ გაგზავნეს ელჩები ხლათელებისათვის დანაშაულის პატიების შუამდგომლობით. მაგრამ რაკი მცხოვრებნი დამორჩილებაზე არ ყაბულდებოდნენ, ხლათელ უგუნურებს ზნეობის გახრწნამ ტვინი აურიო, პირი გახსნეს აშკარა ლანძღვა-გინებისათვის, ენა დაიგრძელეს საზიზღარი ბოდვით და ცთუნების ეშმაკი ერთბაშად შეუძვრაო

38

მარღვებსა და გონებაში, მათ დარიგებას წაუყრუეს და ბრძოლაში შეუპოვრები გახდნენ. ამასობაში დაახლოებით ათი თვე გავიდა. ბოლოს ქალაქის მცხოვრებნი უკიდურესობამდე მივიდნენ შიმშილისაგან. სულთანმა ლაშქარს უბრძანა, სხვადასხვა მხრიდან მიეტანათ იერიში და ქალაქში შეჭრილიყვნენ. სულთანი და მისი ამირები ძალიან იყვნენ განრისხებული და გულნატკენი მათი მეთაურების ლანძღვა-გინებით. [სულთანმა] ბრძანა, დილიდან შუადღემდე ექლიტათ. მანამდე, როცა მისი რისხვის ცეცხლი შენელდა, შეიწყალა ის საცოდავები და ბრძანა მათთვის სიცოცხლის შენარჩუნება.

სულთანი მალიქ აშრაფის სასახლეში ჩამოხდა. მალიქ აშრაფის ძმა მუჯირ ად-დინი და მისი ნასყიდი მონა იზ ად-დინ აი-ბეგი⁸³ შიდაციხეში შევიდნენ წყლისა და სანოვავის გარეშე. მუჯირ ად-დინი გარეთ გამოვიდა, სულთანს ეახლა და წყალობითა და პატივისცემით იქნა მიღებული. მან გადასცა იზ ად-დინის მიმართვა, სიცოცხლის შენარჩუნების თხოვნითა და კავშირის წინადადებით. სულთანი მუჯირ ად-დინს მიუბრუნდა და უთხრა: „სულთნის სახელი რომ გერქვას, ცვედანი ნასყიდი მონისაგან ელჩობის მიღებას როგორ აიტანდა შენი თავმოყვარეობა? იმას რა მოეთხოვება. როგორც უნდა, ისე მოიქცევა, თვითონ იცის“.

რაკი დაინახეს, რომ სულთანი მათ მიმართ კეთილგანწყობილი არ იყო, დაატყვეს, ახლა ჯიუტობის დრო არ არისო. აი-ბეგი გარეთ გამოვიდა, თავისიანებს ტანსაცმლის ქვეშ ჯავშანი ჩააცვა და ხელშუბები დააჭერინა რომ შესვლის დროს არეულობა აეტეხა და სულთანს მოუნელებლად დასხმოდა თავს. მცველებმა თვალი ჰკრეს ნათ ტანსაცმელს. მიხვდნენ, რომ ქვეშ ბოროტება იმალებოდა, ხელი შეუშალეს მათს შესვლას და აი-ბეგი მარტო მიჰგვარეს სულთანს. მან ყურადღებაც არ მიაქცია და იმ ჯგუფის დაპატიმრების ბრძანება გასცა.

ბოლოს, როცა ზეცის ჯემშიდმა შამისკენ გამგზავრება განიზრახა, მეფეთა მზემ ვახშმის სუფრაზე გაშლილ ტკბილეულს მიაშურა, აივანზე ავიდა და ივანეს ქალიშვილოთან⁸⁴, რომელიც მალიქ აშრაფის მეუღლე იყო, გაატარა ღამე და დაიცხრო მალიქს გაქცევით გამოწვეული გულისწყრომა.

გამჭრიახი ადამიანი სრული ნდობით მოეკიდება ამ ამბავს. იმ

დროს როცა სულთანმა თავისთვის აიყვანა მალიქა, სხვამაც⁸⁵ აიყვანა მალიქა თავისთვის; ერთი წელიც არ გასულა და მალიქ აშრა – ფის მეუღლე სულთანს ჩაუვარდა ხელში.

ნუ მოუწონებ სხვას იმას, რაც შენთვის არ მოგწონს.

39

აუარებელი ქონება და სიმდიდრე წამოიღეს მალიქ აშრაფის ხაზინიდან და ორი იმდენი ქალაქის შეძლებულ მოსახლეობაში იშოვეს. სულთნის ხაზინა კვლავ გაიფურჩქნა ფულისა და ძვირფასეულობის სიმრავლით. ლაშქარმაც შემწეობა მიიღო მარცვითა და გლეჯით.

თხოვნი სულთნის წასვლისა რუმის სულთანთან საბრძოლველად

რაკი სულთანმა შესძლო გაემარჯვა ქართველებზე, ისინი კი ისეთი ხალხი იყო, ვინც მათი მხარის მიუვალობისა და სიმაგრეების მიუდგომლობის, დიდი სიმდიდრისა და მეომართა სიძლიერის ბამო დაცული იყო ჟამის ცვალებადობისა და ბედის ტრიალისაგან, შამისა და რუმის სახელგანთქმული ბატონები და მამაცნი თანასწორობაზე შეთანხმებოდნენ ბრძოლაში მათი გულოვნების შიშით და პირიც კი იბრუნეს მათგან სუსტად და უღირსად, – [ეს ხალხი ახლა] ქედს იხრიდა ერთგულებით მის (ჯალალ ად-დინის) წინაშე, ხლათის ალებაც დაემატა ამ გამარჯვებას და საღამოს სმა დილის სმად გადაიქცა. სულთნის შიში იმ ქვეყნებს მოედო. მისი სიმკაცრისა და შეუმთვრობის ამბავი საყოველთაოდ გავრცელდა.

რუმისა და შამის გამგებლებმა მშვიდობის ქალაქის⁸⁵ მიბაძვით სასწრაფოდ საჩუქრები და მოსაკითხი გაუგზავნეს ბატონს სულთანს მის დიდებულსა და მშვენიერ სამეფო კარავში. მისი ბანაკი კვლავ გახდა კეთილშობილთა და დიდებულთა თავშესაფარი, ამაღა გაიზარდა, საქმეები გამოკეთდა, საგანძური მომრავლდა, ხოლო იქაურობა კეთილმოეწყო მისი სამართლიანობით.

ხლათიდან სულთანი მანასკერტისკენ წავიდა, იქიდან კი ხართაბირთს მივიდა⁸⁷ თავს სუსტად გრძნობდა. სწორედ იმ დროს არზრუმის სულთანი⁸⁸ სხვადასხვა წყალობითა და გულუხვობით გამოარჩია იმ დახმარების გამო, რაც ხლათის გარემოცვის დროს გაუწია სანოვაგითა და საკლავით. იმან მოახსენა: „სულთანი ალა ად-დინი⁸⁹ და ალეპოსა და შამის მალიქები დაზავდნენ, სულთნის წინააღმდეგ გაერთიანდნენ და ჯარების შეკრებით არიან დაკავებული. თან სულ მსაყვედურობენ: – სულთანს რომ ხლათის კართან არზრუმის სანოვაგე არ მისვლოდა, იმას იქ დადგომის შეძლება და საშუალება არ ექნებოდაო“.

მიუხედავად სენის ძლიერებისა და ძალთა სისუსტისა [სულთანი ჯალალ ად-დინი] მაშინვე დაიძრა იქიდან. მუშის ველს⁹⁰ რომ მიატანა ლაშქარმა, ექვსი ათასი კაცი შემოხვდათ, რომლებიც სი-

რიელთა დასახმარებლად მიეშურებოდნენ. გარს შემოერთყენნ მათ და ერთ წამში ყველა გაჟლიტეს.

რამდენიმე დღის შემდეგ, როცა ჯარები ერთმანეთს დაუახლოვდნენ, რუმის სულთანი, მალიქ აშრაფი და იმ ქვეყნების სულთნები და გამგებლები შეერთდნენ და იმდენი იარაღი, საომარი მოწყობილობა და საჭურველი დააგროვეს და იმდენი კაცი გაამზადეს, რომ ვერც კი დაითვლებოდა. ერთი გორაკის წვერზე გააწყვეს რიგები; ცხენოსანი და ქვეითი ცეცხლმტყორცნელები და მშვილდოსნები წინ წადგნენ ხარის ტყავის ფარებით.

როდესაც ბრძოლის ცეცხლი დაიწყო და იქამდე მივიდა საქმე, რომ იღბლის ნიავს უნდა დაეებრა და იმედის კოკორიც უნდა გაფურჩქნილიყო, სულთანმა საკაციდან გადმოსვლა და უნაგირზე შეჯდომა მოინდომა მაგრამ იმდენი ძალა არა ჰქონდა, რომ სადავის დასაჭერად საკმარისი ყოფილიყო. სადავე ხელიდან გაუვარდა გამარჯვებასავით, ცხენი მისი ნების გარეშე უკან გაბრუნდა და რამდენიმე ნაბიჯი გადადგა. მისმა მახლობლებმა თქვეს, ერთი საათით უნდა დავასვენოთ სულთანი, რათა ღონე მოემატოსო ამის გამო მისი პირადი აღმებიც შეაბრუნეს. მარჯვენა და მარცხენა ფრთამ რომ ეს დაინახეს. იფიქრეს, სულთანი გარბისო, და თვითონაც გამობრუნდნენ. მოწინააღმდეგეს ეგონა, ეს სულთნის ეშმაკობაა, რათა გაშლილ ველზე გაგვიყვანონო, იმათ ლაშქარში მაცნე გადმოდგა და გამოაცხადა, კაცი არ დაიდრას ადგილიდან და უკან არავინ დაედევნოსო. რაკი სულთნის ლაშქარი დაიშალა და სხვადასხვა მხარეს გაიფანტა, ვეღარ მოხერხდა სადგომის მოწყობა. გაოგნებული სულთანი იძულებული შმიქნა გამობრუნებულები და ხლათისკენ წავიდა, იქაურობის დასაცავად დატოვებული რაზმი გამოიძახა და ხოის მიაშურა,

სულთანი ჯერაც ვერ მოსულიყო გონს ბედისწერისაგან გარტყმული სილის გამო, რომ ამბავი მოუვიდა, ჩორმალუნ ნოინმა მდინარე ამუდარია გადმოლახაო. [ჯალალ ად-დინმა] ვაზირი შამს ად-დინ იულდუზჩი გირანის⁹¹ ციხის დასაცავად დანიშნა და იქ მყოფი ჰარამხანაც მასვე ჩააბარა. სულთანი თავრიზს მივიდა და, მიუხედავად იმისა, რომ მართლმორწმუნეთა მბრძანებელსა და შამისა და რუმის სულთნებთან უთანხმოება ჰქონდა, მოციქულები გაუგზავნა და ფადიშაჰის⁹² ლაშქრის [მდინარეზე] გადმოსვლა აუწყა. თან შეუთვალა: „თათართა ჯარის მრავალრიცხოვანი ლაშქარი სიმრავლითა და სიძლიერით ჭიანჭველისა და გველების მსგავსი არის. ვერც ციხეები გადაურჩება მათ და ვერც ქალაქები. ამ მხარის ადამიანთა გულებში შიშმა და ძრწოლამ დაისადგურა. მე თუ დავილუპე, თქვენ

მას წინააღმდეგობას ვერ გაუწევთ. მე თქვენთვის ალექსანდრეს კედლად ვარ აღმართული. ყოველმა თქვენგანმა თითო აღმიანი რაზმი მომაშველოს, რათა ამ შეთანხმებისა და პირის შეკვრის ამბავს რომ შეიტყობენ, კბილები მოეკვეთოთ, ჩვენს ლაშქარი კი გამხნევდეს და ჩვენ გადავწყვიტოთ, რა მოვიმოქმედოთ. და თუ ამ საქმეში უყურადღებობას გამოიჩინოთ. თვითონვე ნახავთ, რასაც ნა-

ხავთ⁹³.

ქვეყნის ფადიშაჰის ჩინგიზ-ხანის⁹⁴ მძლავრმა ბედმა და სასიკეთო ჰოროსკოპმა წინააღმდეგობა ჩამოაგდო მათს მოლაპარაკებაში და სულთანს იმედი გულგატეხილობითა და სასოწარკვეთილებით შეეცვალა. უცებ ამბავი მოუვიდა, მონღოლთა ლაშქარმა სარაბს მიაღწიაო. სულთანიც სწრაფად ბიშქინის ნაპიისკენ წავიდა. სასახლეში, სადაც მისვლის ღამეს დადგა, სახურავი ჩამოიქცა. სულთანმა ცუდ ნიშნად მიიჩნია და მიხვდა, ეს იმის მომასწავებელი იყო, რომ მისი დიდება ეცემოდა. ხოლო იმედს, რომლითაც ფეხმძიმედ იყო, მუცელი მოსწყდა.

ერთი სიტყვით, მეორე დღეს [ჯალალ ად-დინი] მულანს წავიდა. ხუთი დღის იქ ყოფნის შემდეგ მონღოლთა მადევარი ლაშქარი მოახლოვდა, სულთანმა თავისი კარავი აშალა და ერთი დღე ადგილზე დარჩა, მერე ყაზანის მთიანეთს მიაშურა. მონღოლებმა რომ სულთნის ბანაკი ცარიელი ნახეს, მაშინვე სადავეები შეაბრუნეს.

628 წლის ზამთარი⁹⁵ [ჯალალ ად-დინმა] ურმიასა და უშნუში გაატარა...

ვაზირ შარაფ ალ-მულქ იულდუზჩის ბრალი დასდეს, ჯალალ ად-დინის არყოფნაში მის ხაზინას და ჰარამხანას დაადგაო თვალი. როცა სულთანი იმ მხარეში მივიდა, ვაზირს შეეშინდა გირანის ციხიდან გამოსვლა და უვნებლობა ითხოვა. ჯალალ ად-დინმა ხელთ იგდო იულდუზჩი და იმავე ციხეში ჩასვა ის, სადაც მალე გარდაიცვალა.

სულთანი დიარბექრისკენ დაიძრა. როცა მონღოლთა რაზმი ჩორმალუნთან მივიდა, დიდად დატუქსა უკან მობრუნებისა და სულთნის გულმოდგინე და ზედმიწევნით ძიების მიტოვების გამო: „ასეთი მტერი რომ დასუსტდება და დაბნეულობისა და შიშის ფარდა ჩამოეფარება, ამისთანა დროს როგორ შეიძლება მისთვის ვადის მიცემა და ძებნაში უდარდელობის გამოჩენა“. [ჩორმალუნმა] თაიმასი და დიდებული ამირები ელვასავით დაადევნა გურგინზე აფრასიაბის⁹⁶ შურისმაძიებელთა მსგავსი მოსისხლე თურქების რაზმით.

42

სულთანმა ბუყუ-ხანი უკან გაგზავნა მსტოვრად, რათა მონღოლთა ლაშქრის წასვლა თუ მოსვლა დაეზვერა. აზერბაიჯანს რომ მივიდა, ამბავი მიუტანეს, ერაყიდან წასვლის დაფდაფსაც დაჰკრეს, ამ მიდამოებში მათი კვალი არ დარჩა და არც ხმა ისმისო. ბუყუ-ხანმა გადაუხვია სიფრთხილის გზას, რომელიც აუცილებელი და სავალდებულოა სასახლის მოხელეთა, განსაკუთრებით სახელმწიფოს ამირებისათვის, უკან დაბრუნდა და სულთანს მათი წასვლის სასიხარულო ამბავი აუწყა.

ამ სასიამოვნო ამბების გამო ჯალალ ად-დინი, მისი სარდლები და მეომრები რამდენიმე დღის განმავლობაში დროს ტარებასა და განცხრომაში იყვნენ. მოულოდნელად, შუალამისას, მათ მონღოლთა ლაშქარი წაადგა თავს. მთვრალი ჯალალ ად-დინი დიდი გაჭირვებით გამოაფხიზლეს და გააგებინეს, რაშიც იყო საქმე.

როდესაც სულთანს მცირერიცხოვანი რაზმით დაიდრა, ორხანს უბრძანა, სანამ თვითონ წინ არ წავიდოდა, ალამი ადგილიდან არ დაეძრა და წინააღმდეგობა გაეწია. ამ ბრძანების შესაბამისად [ორხანმა] ერთ წამს სუსტად გაიბრძოლა. მონღოლთა ლაშქარს ეგონა, სულთანიაო, და ზურგი რომ შეაქცია და გაიქცა, არწივივით კვალდაკვალ მიჰყვნენ. როცა მიხვდნენ, რომ „ფეხი ხელიდან გაუშვეს და ნაფეხურს გამოეკიდნენ“ (ე. ი. სულთნის ნაცვლად მის ამირს დაედევნენ), უკან დაბრუნდნენ და ბანაკში მოვიდნენ. აქ მათ ხმლით აკუწეს სახელმწიფოს დიდებულნი, მოლაშქრენი და წარჩინებულნი და ბუზების ლუკმად და მგლებს კერძად აქციეს ისინი.

მისი აღსასრულის შესახებ [ნაამბობში] წინააღმდეგობაა. ზოგნი ამბობენ, რომ ამიდის მთიანეთში⁹⁷ მივიდა და ღამით ერთ ადგილას დაიბანაკა. ქურთებს მისი ტანსაცმლის გამარცვის სიხარბემ სძლია და გული გაუგმირეს ისე, რომ არ იცოდნენ, რა საქმე ჩაიდინეს და რა ნადირი მოინადირეს. გასაკვირი არაფერია. თუ ფასკუნჯი ჩაუვარდა ბუს კლანჭებში, ის საზიზღარია. მაგრამ, თუ ლომი ჩაება ძაღლთან ბრძოლაში, ის გამომცდელია.

ამ ამბის შედეგი ასეთია: იმ ხალხმა სულთნის ტანსაცმელი ჩაიცვა და ქალაქში მივიდნენ. ზოგიერთმა მახლობელმა იცნო მისი სამოსი და იარაღი. ამიდის პატრონმა ვითარების გარკვევის შემდეგ ის ხალხი დაახოცვინა. მან ბრძანა, აეგოთ აკლდამა და იქ დაემარხათ მოკლული კაცი, სულთანს რომ ეგონათ.

მეორენი ამბობენ: ეგ სხვა ტანსაცმელი იყო, რომელიც მის მხლებლებს ჰქონდათ, თვითონ კი ფალასის სამოსი გადაიცვა, სულ-

43

ფიობა დაიწყო და [სხვადასხვა] ქვეყნებსა და ისლამის ხალხში დაიარებაო.

ერთი სიტყვით, როგორც არ უნდა ყოფილიყო, საქმე მოუთავდა და ამ უღმობელი და წინდაუხედავი ქვეყნისაგან დარტყმა მიიღო⁹⁸.

თხრობა ამირ არღუნის შესახებ

იგი ოირათის ტომისა არის. მამამისი თაიჯუ ათასეულის ამირი იყო. ოირათის ტომი მონღოლთა შორის ერთ-ერთი ცნობილი ტომია. ჩინგიზ-ხანის შვილებისა და შვილიშვილთა დედით ბიძების უმეტესობა ამ ტომს ეკუთვნის. ამის მიზეზი ის არის, რომ მისი (ჩინგიზ-ხანის) აღზევების ჟამს ისინი წინ წამოდგნენ, რათა მხარი დაეჭირათ და დახმარებოდნენ მას, ერთმანეთს ექიშპებოდნენ და ასწრებდნენ ერთგულების გამოჩენას. ამ ტომის დამსახურების სანუქფოდ გამოიცა ბრძანება, რათა მათი ამირების ქალიშვილები ჩინგიზ-ხანის შთამომავალთა ვაჟებს გაჰყოლოდნენ ცოლად. ამავე დროს, თავისი ქალიშვილი, სახელად ჩეჩექენ ბიქი, ამ ტომის მეთაურს მისცა. ამიტომაც არის, რომ ყველა უფლისწული ოირათის ტომის ქალს ირთავს.

მას შემდეგ, რაც ამირ არღუნი უიღურული წერა-კითხვის

სწავლას მორჩა და ბავშვობის ასაკიდან გამოვიდა, ერთბაშად და-
ატყდა თავს სხვადასხვაგვარი სვე და ბედნიერება. მიუხედავად ასა-
კით უმცროსობისა, იგი ყაენის კარზე მივიდა და ბითიქჩიების⁹⁹ რი-
გებში ჩაირიცხა. ყაენი დღითიდღე სულ უფრო მეტი წყალობის
თვალთ უცქეროდა მას და, ჯერაც მეტად ახალგაზრდა იყო, რომ
ყაზანთან ერთად ხატაეთს გაგზავნა მნიშვნელოვანი დავალებით.
ერთ ხანს იქ იმყოფებოდა და, როცა ისევ ყაენს ეახლა, ედგუ-თემუ-
რისა და გურგუზის¹⁰⁰ საქმის გამოსაძიებლად დანიშნეს, რადგან
სრული ნდობით სარგებლობდა. მასთან ერთად იყვნენ ყურბალა და
შამს ად-დინ ქამარგარი. არღუნ ამირი ხორასანს მივიდა და გამო-
ძიება დაიწყო, ამის შემდეგ, ბრძანების თანახმად, მთელი ჯგუფი
ყაენის კარზე გაგზავნა და თვითონაც იქით გაემართა. მისი უდიდე-
ბულესობის კარზე იგი მხარს უჭერდა გურგუზს და ეხმარებოდა
მას. როდესაც ხორასანისა და ერაყის ქვეყნების საქმეები გურგუზს
ჩააბარეს, არღუნ ამირს მისი ბასკაკობა¹⁰¹ უბრძანეს და საქმეების
გამგებლობაში მის ამხანაგად და ნუქერად¹⁰² დანიშნეს, რათა ყოვე-
ლი საკითხი მისი რჩევით და მოსაზრების შეტყობით გადაეწყვიტა
და მის გარეშე არაფერში გარეუღლიყო.

44

გურგუზი რომ ისევ ხორასანს მივიდა და ამ ქვეყნების ერთ-
პიროვნულად და დამოუკიდებლად მართვას შეუდგა, არღუნ ამირი
უკან გაბრუნდა. ულულ-ეფის¹⁰³ ურდოს რომ მიაღწია, არღუნ ამი-
რი უკან გამოგზავნეს გურგუზის წასაყვანად და გამოსაძახებლად
და ყურბალა და რამდენიმე შიკრიკი გამოატანეს თან. მათ შეიპყრეს
გურგუზი და პატიმრობიდან გაათავისუფლეს შარაფ ად-დინი¹⁰⁴,
როგორც ეს ამბავი შესავალში იყო აღნიშნული. თურაქინა-ხათუნის
ურდოს რომ მიაღწიეს, გურგუზი პატიმრად დასტოვეს მის მიერ
წარმოთქმული სიტყვების გამო. თურაქინა-ხათუნმა გურგუზის
მფლობელობაში მყოფი ქვეყნები ამუ-დარიიდან ფარსამდე, საქარ-
თველომდე, რუმსა და მოსულამდე არღუნ ამირს უბოძა საგამგებ-
ლოდ და ზედამხედველობისათვის, ხოლო შარაფ ად-დინი მის სამ-
სახურში დანიშნა როგორც ულულ – ბითიქჩი. დივანთა სხვა მოხე-
ლეები თავთავის ადგილებზე დაამტკიცა.

641 წელს¹⁰⁵ [არღუნ ამირი] ხორასანს მივიდა, იარლიყები
წაიკითხა და იქაური საქმეები განამტკიცა. სირაყჩინ ელჩი და თუ-
რაქინა-ხათუნის ურდოდან გადასახადთა ნარჩენების¹⁰⁶ ასაკრეფად
მოსული სხვა შიკრიკები მან ხორასანში დატოვა. ნეზამ ად-დინ
შაჰიც მასთან დაარჩინა. თვითონ არღუნ ამირი ერაყისა და აზერბაი-
ჯანისაკენ გაემართა. დეჰისტანს რომ მიაღწიეს, შარაფ ად-დინს
ამბავი მოუვიდა, რომ ბათოს კარზე ერთ ჯგუფს მისი საწინააღმდე-
გო რაღაც წამოეწყო. შარაფ ად-დინი იქით გაეშურა, არღუნ ამი-
რი კი თავრიზისკენ წავიდა და ამირ ჰოსეინი, ხოჯა ფაზრ ად-დინი
და მდივნების ერთი ჯგუფი თავის ნაიბებად დატოვა ხორასანსა და
მაზანდარანში. თავრიზს რომ მივიდა, დიდი ამირების – ჩორმალუ-
ნის, ბაიჩუს და სხვათა სიახლოვის გამო, რომელთაც ის ქვეყნები
თავიანთ საკუთრებად მიაჩნდათ, იქაური საქმეები არეული დაუ-
ხვდა და მოაწესრიგა. მან დაიცვა იქაური გადასახადები დაი იმ

ხალხს ხელი დაამოკლებინა. ყველა მცხოვრები, დიდებული თუ მდაბიო, ისინიც, ვინც ეძიებდა იმ ხალხის შემწეობას და ისინიც, ვინც გაურბოდა მათს ძალადობასა და მტარვალობას, ყველა დაიხსნა მათი მფლობელობისაგან და მოაგვარა იმ მხარის საქმეები. მისი თავაზიანი და კეთილი საქციელის პასუხად დიდიცა და პატარაც მზად იყო დამორჩილებოდნენ და გაჰყოლოდნენ მას. ადამიანთა გულები მსხვერპლად ეწირებოდა მისი ხასიათის კარგ თვისებებს და ყველანი მისი გამგებლობის კეთილისმსურველნი შეიქნენ. რუმის, შამისა და ალექოს სულთნები ელჩებს უგზავნიდნენ და მის მფარველობასა და კეთილგანწყობილებას ეძიებდნენ. არღუნ ამირმა შიკრიკები დაგზავნა იმ მხარეებში გადასახადთა ასაღებად.

45

შარაფ ად-დინი რომ ბათოს ურდოდან თავრიზს დაბრუნდა, გადასახადთა ნარჩენის საბაბით დიდი თანხა შეაწერა მოსახლეობას თავრიზშიც და სხვაგანაც. არღუნ ამირი არ ეთანხმებოდა ამას, ის კი უარესს აკეთებდა. ამით არღუნ ამირის სიყვარული და თანაგრძნობა ძალიან განმტკიცდა ხალხის გულში.

როდესაც ელჩები მოვიდნენ მხარეთა მოთასარიფების¹⁰⁷, სულთნების და მალიქების სახმობლად, [არღუნ] დაიძრა და შიკრიკები დაგზავნა ყველა კუთხეში მალიქებისა და ნაჰიების ამილების¹⁰⁸ წამოსაყვანად. მამაჩემი საჰებ-დივანი მან თავის მოადგილედ დატოვა აზერბაიჯანში, საქართველოში, რუმსა და სხვა ქვეყნებში, ბუღა კი ბასაკვად მიუყენა. ტუსს რომ მიატანა, შარაფ ად-დინი გარდაცვლილიყო. არღუნ ამირმა გააუქმა უკანონო გადასახადები, რომლებიც მას ყველაზე გაეწერა, რათა ჯარიმის სახით აეკრიფათ, და ამოკვეთა ეს სიახლენი. უკვე აკრეფილი გადასახადები მან [ხაზინაში] დაგზავნა, თვითონ კი ყაენის სადგომისკენ წავიდა და მალიქები, მდივნები და საქმეთა გამგებლები თან იახლა.

ყაენის გარდაცვალების შემდეგ ყოველი უფლისწული [ცალკე] ნაჰიას თუ ვილაიეთს დაეპატრონა, გადასახადებზე ბარათებსა და ჰვალეებს¹⁰⁹ წერდნენ და ფაიზებსა და იარლიყებს იძლეოდნენ, რაც მათს (მონღოლების) ბრძანებულებებსა და იასას ეწინააღმდეგება. ამიტომ ამირმა არღუნმა ბრძანა, შეეკრიბათ ყველა ფაიზა და იარლიყი, რომელიც ყაენის შემდეგ უფლისწულებს ვინმესთვის მიეცათ.

თხოობა ამირ არღუნის წასვლისა დიდ ყურულთაღაზე

649 წლის ჯუმადა აღ-ასირის თვეში¹¹⁰ [არღუნმა] ყურულთაღაზე დასასწრებლად წასვლა გადაწყვიტა და ფირმანის შესაბამისად ელჩები დაგზავნა ყველა მალიქის, ამირისა და მდივნის სახმობლად. თარაზს¹¹¹ რომ მიაღწიეს. მანგუ ყაენის ხანოხის ტახტზე ასვლის¹¹² სასიხარულო ამბავი შეიტყვეს.

650 წლის საფარის თვის შუა რიცხვებში¹¹³ [არღუნმა] ყაენის კარს მიაღწია. მეორე დღეს მისი მხლებლებიც მოვიდნენ და ფემქაში მიაართვეს იგი სახელმწიფოს დიდებულ პირთა შორის ჩარიცხეს. მათ შემდეგ მალიქ სადრ ად-დინი, ხოჯა ფახრ ად-დინ ბეჰემ-

თი და სხვა სახელოვან და დიდებულ პირთა ჯგუფიც მოვიდა, რომლებიც სიცივისა და თოვლის გამო გზაში ჩარჩენილიყვნენ. მათაც საჩუქრების მირთმევის პატივი მოიპოვეს. როდესაც ყველა მორჩა მღვნის მიტანას, ფადიშაჰმა ვილაიეთებისა და რაითების მდგომა-

46

რეობის გამორკვევა ბრძანა, ამირ ბოლღაიმ და სხვა რამდენიმე ამირმა ყველა მოიყვანეს და მალიქებსა და სადრებსაც მოესაუბრენ ამ საკითხზე. ამის შემდეგ არღუნ ამირმა პირადად მოახსენა დამორჩილებული ქვეყნების საქმეების აწეწილი მდგომარეობა და გადასახადთა ნაკლებობის ვითარება, რაც გამოწვეული იყო უკანონო ასიგნობების სიხშირით და თავაწყვეტილი ელჩებისა და გადასახადთა ამკრეფების მონაცვლეობით. მან აღიარა და სცნო აწეწილ-დაწეწილი საქმეების გამო გამოწვეული დანაშაულობანი, რაც თავის მხრით დროის მოთხოვნილებათა შედეგი იყო. რაკი საქმეებში უთაურობის აღიარებასა და მობოდიშებას აშკარა და ნათელი განმარტებანი ახლდა, ქვეყნის ფადიშაჰმა მოიწონა ეს, მისი წარსული სამსახურიც, რაც გარდასულ დროში შეესრულებინა, დავიწყებული არ ჰქონდა, ამიტომ წყალობისა და პატივის მომატებით განადიდა არღუნ ამირი; პატივსა და დაჯილდოებასთან ერთად ყველა მის ტოლსა და სწორში გამოარჩია.

მანგუ ყაენმა ბრძანა, რათა ყველა იქ მყოფი სადრი შეკრებილიყო და თითოეული მათგანის აზრის გამოკითხვისა და მსჯელობის გზით გაერკვიათ, როგორ იქნებოდა შესაძლებელი რაითების ხვედრის შემსუბუქება და ვილაიეთების ისე მართვა რომ ღარიბები მოსვენებით ყოფილიყვნენ და ქვეყნებიც კეთილმოწყობილიყო. რასაც სრულიად მოეცვა [ყაენის] გონება, ის იყო, რომ სამართლიანობისა და მართლმსაჯულების ნიავს ქვეყნის ყველა მხარისთვის მოეფინა სურნელი, მჩაგვრელებსა და მტარვალებს ხელი შებოჭვოდათ სახელმწიფოს ქვეშევრდომებზე, რომ ძლიერი და მაღალი ღმერთის მონათა კეთილ ლოცვას მოეცვა მისი დღითიდღე მზარდი ბედნიერება, ხოლო ამ ბედის კურთხევა სვეკეთილ ჟამს შეერთებოდა. ექვი და გუმანი არ არის იმაში, რომ ყოველმა ადამიანმა უკეთ იცის თავისი ქვეყნისა და ხალხის სარგებლიანობა, მეტად ესმის მისი ჭირვარამი და, ამის გამო, უკეთ ხედავს როგორ შეიძლება მათი გამოსწორება. ამის შესაბამისად [მანგუ ყაენმა] ბრძანა, რომ მოსაზრებისა და მოფიქრების შემდეგ თითოეულს ცალცალკე დაეწერა ამბავი და განემარტა, რა იყო კარგი და რა იყო ცუდი მის ვილაიეთში, რა იყო მიზეზი ამისა და როგორ შეიძლებოდა გამოსწორება, რათა როგორც მაღალი აზრი მიიჩნევდა საჭიროდ, მითითებები გაეცა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. დაფარული არ არის, რომ გამოცდილი ექიმი, სანამ მკურნალობას შეუდგებოდეს ჯერ ავადმყოფობის ნიშნებს, მის წარმოშობას სიძლიერეს თუ ზომიერებას გამოარკვევს მაჯისცემას და [სხვა] მაჩვენებლებს შეიტყობს რადგან, რაკი ავადმყოფობის მიზეზები და ნიშნები ეცოდინება, მკურნა-

ლობაც გადავიღებ; მერე ჯანმრთელობის მდგომარეობის შესაბამისად წამალს შეამზადებს. ფადიშაჰის სამართლიანობაც გულშემატკივარ ექიმისას ჰგავს, იგი მტარვალობისა და უსამართლობის სენს სასჯელისა და სისასტიკის ერთი შარბათით სდევნის ქვეყნ-ერების სხეულიდან. უფრო მეტიც იგი მესიის სუნთქვას, სამართლიანობისათვის დახოცილებს ერთ წამში რომ აცოცხლებს.

ბრძანების თანახმად, თითოეულმა შეადგინა განმარტება და ქვეყნის გასაჭირი აღწერეს მეორე დღეს გამოვიდა ბრძანება, რომ ყველა ყაენის კარზე გამოცხადებულიყო. ისინი მისაღებ კარავში მიიყვანეს და იმავე სახით დაიწყო საუბარი ოლქებისა და ქვეშევრდომთა კეთილდღეობის თაობაზე. მათი მოსაზრებების არსი და სიტყვების დედააზრი ის იყო, რომ რაიათებზე გაწერილი სხვადასხვა გადასახადები და მრავალგვარი გამოსაღებლები ძალიან ბევრია და მათი (რაიათების) გაფანტვა ამ მიზეზით არის გაპირობებული. გადასახადები უნდა გაწერილიყო] იმ სახით, როგორც საკვებმა იალავაჩმა დააწესა მავერანნაჰრში. მას ყოფიურს¹¹⁴ უწოდებენ. უნდა განისაზღვროს, თითოეულმა კაცმა თავისი შემღებებისა და სიმდიდრის კვალობაზე რამდენი გადაიხადოს წლიურად. ამ განსაზღვრულ გადასახადს თუ გაიღებს, იმავე წელიწადს მას მეორედ აღარ მიადგებიან და იმ კაცს სხვა გამოსაღებს არ მოსთხოვენ. ამგვარად გადაწყდა და [მანგუ ყაენმა] ბრძანება გასცა, რომ შემღებულისათვის ათი დინარი შეეწერათ და ასე, შესაბამისად [გაეწერათ] ღარიბის ერთ დინარამდე. რაც ამ გზით შემოვიდოდა, ჰაშარის, იამის და ელჩების ხარჯებს უნდა მოხმარებოდა¹¹⁵. ამის ზევით [ხალხი] არ უნდა შეეწუხებინათ და ყისმათისა და დასთანდაზის¹¹⁶ სახით არაფერი წაეღოთ და ქრთამიც არ აეღოთ. ყოველი საქმისა და გარემოებისათვის [ყაენმა] იასა გამოსცა, რომელთა ნაწილი მოხსენიებულია მანგუ ყაენის ტახტზე ასვლის შესახებ თხრობაში.

როდესაც ჰოქმები და იასა გამოიცა და იმ ქვეყნების საქმეები არღუნ ამირს დაუმტკიცდა და [იქაური] საკითხების გადაჭრა-გადაწყვეტა და საქმეთა გამგებლობაც მას ჩაბარდა, პირველ რიგში [მანგუ ყაენმა] იარლიყი და ვეფხვისთავიანი ფაიზა უბომა მას და ნაიმათაი და თურუმთაი ნუქერებად დაუნიშნა, ხოლო [ყაენის] ყველა ძმის – ყუბილაის, ჰულაგუს, არიდ-ბუქას და მუგას¹¹⁷ მხრით ამირი [არღუნი] ნუქერად იწოდა. შემდეგ იარლიყი გამოსცა სხვადასხვა იასას თაობაზე, რომელთა მთავარი მიზანი რაიათების მდგომარეობის შემსუბუქება იყო, მის მხლებელ ხალხს კი იარლიყები და ფაიზები უბომა. მალიქებიდან ნასერ ად-დინ ალი მალიქს, რომელიც ბრძანების თანახმად არღუნ ამირის ამხანაგი იყო, მთელი ქვეყნები-

დან განსაკუთრებით ნიშაბურისა და ტუსის თუმანი და ისფაჰანის, ყუმისა და ქაშანის თუმანები ჩააბარა. მალიქ სადრ ად-დინს, რომელიც მთელი არანისა და აზერბაიჯანის გამგებელი იყო, ჰაქიმობა და მალიქობა დაუმტკიცა. ჰერათის, სისთანის, ბალხის და მთელი იმ მხარის მალიქობა ვიდრე ინდოსტანის საზღვრამდე, სადამდეც კი დამორჩილებული იყო, მალიქ შამს ად-დინ მოჰამედ ქართს¹¹⁸ უბომა, ხოლო ამირ მაჰმუდს ქერმანი და სანყურანი მისცა. ყველას მათ

ვეფხვისთავიანი ფაიზები უბოძა, სხვებს კი, თითოეულის მნიშვნელობის შესაბამისად, ოქროსა და ვერცხლის ფაიზები და იარლიყები მისცეს. ამის შემდეგ მათ დაბრუნების უფლება ებოძათ. ვინც კი მათ ახლდა, აღრიცხეს და ყველას ჩინური ტანსაცმელი აჩუქეს, სახედრებისა და აქლემების გამრეკებსაც კი, თან რომ ჰყავდათ. მთელი ჯგუფი დაყვავებით, დიდი წყალობითა და პატივით, მითითები-სამებრ არღუნ ამირის სამსახურში დაბრუნდა. ამ მატყიანის მომთხრობი და სირაჯ ად-დინ შოჯა'ი რამდენიმე დღით დარჩნენ. ამის შემდეგ იარლიყი და ფაიზა მიიღეს საჰებ-დივანის თანამდებობის მამაჩემისათვის დამტკიცების თაობაზე და [აგრეთვე] სირაჯ ად-დინის სახელზე (იგი ბითიქი იყო ბიქის მხრიდან, მის შემდეგ კი ეს სახელო არილ-ბუქას ექვემდებარებოდა), და 651 წლის რაჯაბის თვეში¹¹⁹ იქიდან წამოვიდნენ.

როცა არღუნ ამირი ხორასანს მოვიდა, ყველა დიდებული და სადრი ეახლა; იარლიყები მოასმენინა მათ, ამილებსა და მოთასარიფებს მანგუ ყანის ბრძანებანი განუმარტა და თითოეულ მათგანს წერილობითი პირობა ჩამოართვა, რომ არ დაარღვევდნენ იმ წესებს და იმ საქმეებსაც არ უგულვებელყოფდნენ. ვინც კი ამის წინააღმდეგ წავიდოდა და რაიათებს დაჩაგრავდა, დამნაშავედ იქნებოდა ცნობილი და დაისჯებოდა. ფირმანის შესაბამისად მან დანიშნა ამირები და მდივნები, რომლებიც რამდენიმე დღის განმავლობაში თათბირობდნენ ყოფჩურის გაწერის თაობაზე, როგორც ნაბრძანები იყო. ბოლოს გადაწყვიტეს, რომ როდესაც აღწერას ჩაატარებდნენ, ყოველ ათ კაცზე სამოცდაათი როქნული დინარი¹²⁰ გაეწერათ, რათა ყოველწლიურად გადაეხადათ. შემდეგ, აღწერის ჩასატარებლად და ყოფჩურის გასაწერად ამირები და მდივნები დანიშნა; ხორასანსა და მაზანდარანში დანიშნა ორი თუ სამი მონღოლი ამირი, რომლებიც შაჰზადეების მხრით იყვნენ აქ მოსული, და აგრეთვე ნაყუ, რომელიც არღუნ ამირის მახლობელი იყო, ხოჯა ფახრ ად-დინ ბეჰეშთი, ულულ ბითიქი რომ იყო, და საჰები იზ ად-დინ თაჰერი – სრულუფლებიანი ნაიბი. ერასა და იეზდში მან გაგზავნა ნაიმათაი და მამაჩემი, საჰებ-დივანი, თუმცა ბედისწერის ცერ თითს

49

სამოცი ნასკვი გაეკვანძა მის ასაკში¹²¹ და მომხვეჭელობისა და სურვილის გრძნობაც შეესუსტებინა. იგი დაქანცული იყო, მობეზრებოდა დივანში სამსახური და სინანულის მორევში გადაშვების წინ გადაწყვეტილი ჰქონდა გასცლოდა კმაყოფილების კალთას და დარჩენილი დღენი სიამოვნებასა და უქმად ყოფნაში გაეტარებინა... [მამაჩემი] თავისი სურვილის წინააღმდეგ ერას გაემართა. ისფაჰანის მიდამოებს რომ მიაღწია, სხვადასხვა საპირისპირო სნეულებანი მოერია და სულიც მიაზარა ღმერთს და წარმავალობის სადგომიდან მარადისობის სამყაროში გადასახლდა.

[არღუნ ამირმა] თურუმთაი და სარიყ-ბუღა მალიქ სადრ ად-დინის თანხლებით გაგზავნა, რათა [ხალხის] აღწერა და ათასეულეზად დაყოფა ჩაეტარებინათ და ყოფჩურიც გაეწერათ ხოჯა მაჯდ ად-დინ თაბრიზისთან ერთად.

თვითონ არღუნ ამირი მნიშვნელოვანი საქმეების მოსაგვარებ-

ლად ბათოს სამეფო კარისკენ დაიდრა და ხოჯა ნეჯმ ად-დინიც მასთან ერთად ბათოს ურდოში მივიდა. საქმეები მანგუ ყაენის ფირმანისა და მისი საკუთარი სახელდახელოდ წარმოთქმული სიტყვის შესაბამისად გადაწყდა. შემდეგ დარუბანდით საქართველოს, არანისა და აზერბაიჯანისკენ წამოვიდა და აღწერის, ყოფურისა და გადასახადთა განსაზღვრის საქმე მოათავა¹²². იქიდან კი ერაყისკენ გაემართა.

არღუნ ამირის უმაღლეს კარზე არყოფნაში რამდენიმე კაცი გაერთიანდა მის მიმართ მტრობისა და შუღლის გამო და ჯემალ ად დინ ხას-ჰაჯიბმა იარლიყი მიიღო მის შესამოწმებლად. ხორასანს რომ მიატანა და იქაურობა ხალხისაგან გაცლილი ნახა, საქმის შესწავლას შეუდგა და შემოწმება დაიწყო, თანაც მიტაცებისა და მითვისების ხელი გაიხსნა.

როდესაც არღუნ ამირმა ერაყისა და აზერბაიჯანის მნიშვნელოვანი საქმეები მოათავა, იგი ფადიშაჰ ჰულაგუს შესახვედრად გაემურა და ქეშში¹²³ ეახლა მას.

არღუნ ამირი ხორასანს მივიდა 656 წლის რამაზანის თვეში¹²⁴ და რაკი მოწმე იყო ყაენის კარის მნიშვნელოვანი საქმეებისა, იქაური სინატიფეც ენახა და გამოკითხვა-გამოძიების ვითარებაც ესწავლა, ანგარიშგების დაწვრილებით შემოწმება ბრძანა, რამდენიმე მოთასარიფი დასაჯა და თავის ნაიბად სახელმწიფო და სახასო ქონების საქმეებში დანიშნა ხოჯა იზ ად-დინი, რომლის ხასიათი მისი სახელოვით უმწიკვლო¹²⁵ იყო და ვისი უნარიანობა და გონიერება აშკარა იყო ყოველი არსებისათვის.

50

აღთვალვა და გაწერა ყოფურისა და მალისა¹²⁶ თავდაპირველად ყოველთვის ხორასნიდან იწყებოდა, ამჯერად კი გასაადვილებლად ხორასნის აღწერის საქმე შეაჩერეს.

არღუნ ამირი გაემართა ჰულაგუს შესახვედრად, რომელიც არანის საზღვრებში იმყოფებოდა. როცა ეახლა და მდგომარეობაც მოახსენა, საქართველოს მიაშურა და [ხალხის] აღწერასა და ათასეულეზად დაყოფას შეუდგა¹²⁷. თავდაპირველად ყოფური სამოცდაათი დინარი შეეწერათ ყოველი ათი კაცისთვის. მაგრამ იმის გამო, რომ ჰამარის, იამის, ულაღისა¹²⁸ და ლაშქრის საჭიროების ხარჯები საზღვრებს აჭარბებდა და დაწესებული ყოფური მისთვის საკმარისი არ იყო, გადაწყდა, რომ გადამეტებული მოთხოვნილება ძირითადი გადასახადის შესაბამისად უნდა გაენაწილებინათ. ყოფურის შემოღებამდე მიწათმფლობელებსა და შეძლებულთ, იმათ, ვისაც, მაგალითად, ათ ადგილას ჰქონდათ წილი, ან ცალცალკე გაფანტული ქონება გააჩნდათ, ყოველი ამ წილის შესაბამისად აწერდნენ გადასახადს. ასე რომ, ერთ კაცს ხუთასსა და ათას დინარს ახდევინებდნენ. ამ [ახალი] ნიხრის დროს [გადასახადი] ათი დინარი დაწესდა, რაც კიდევ რომ გაორკვეებულიყო, შეძლებულთ დიდად არ გაუჭირდებოდათ, ღარიბებს კი მძიმე ტვირთად აწვებოდა. არღუნ ამირმა ეს მდგომარეობა მოახსენა [ჰულაგუს] და გამოიცა ფირმანი, რომ ხელახლად გაეწერათ ყოფური – შეძლებულთათვის ხუთასი დინარიდან შესაბამისად ღარიბების ერთ დინარამდე, ისე რომ ხარჯებს

ჰყოფნოდა. ერთი სიტყვით, ეს საქმე მიღებულ იქნა და მის განხორციელებაში სრული გონიერება და საფუძვლიანობა გამოიჩინეს.

არლუნ ამირი [ამის მერე] ჯერ საქართველოში წავიდა, რადგან დავით მეფე, შვილი ყიზ-მალიქისა, აჯანყებულიყო და ჰულაგუს მონღოლებისა და მუსლიმანთა დიდი ლაშქარი გაეგზავნა იქით¹²⁹. არლუნ ამირი თავისი ამალითა და ერთი რაზმით თბილისიდან იმ მხარეს გაემართა: ორი ლაშქარი სხვადასხვა მხრიდან შეხვდა ერთმანეთს და ბევრი ქართველი მოკლეს და დაატყვევეს. არლუნ ამირი გამობრუნდა და 657 წლის რამაზანის დამღვეს¹³⁰, ფადიშაჰის შამისკენ გალაშქრების ჟამს, ჰულაგუს ეახლა თავრიზში და საქართველოს მდგომარეობა მოახსენას [ილხანმა] მონღოლთა ლაშქარი დანიშნა და ერაცისა და საქართველოს დამორჩილებული ნაწილის დუმენების შეკრება დაავალა. მთელი ეს ლაშქარი მან არლუნ ამირს ჩააბარა. როდესაც იგი კვლავ მოვიდა თბილისში, უფროსი დავით მეფეც გამდგარიყო გადასახადთა ნარჩენის მოთხოვნის გამო და ერთგულების უღელი გადაეგდო კისრიდან¹³¹.

51

ტომი მესამე

თბრობა შვიდი სამეფოს ფადიშაჰის და სამართლიანობის გამავრცელებელი შაჰანშაჰის მანგუ ყაენის ხანობის ტახტზე ასვლისა. მის მიერ ნუსირვანისებური სამართლიანობის ნობის გამლა, მბრძანებლობის წესის აღდგენა და ხელმწიფობის რიგის მოწესრიგება

ბათო საყსინისა და ბოლღარის ფარგლებში მდებარე თავისი ურდოდან¹³² გუიუქ-ხანის სადგომისაკენ დაიძრა. ალყამაყს რომ მიაღწია, საიდანაც ქალაქ ყაიალიდამდე¹³³ შვიდი დღის სავალია, გუიუქ-ხანის სიკვდილის ამბავი შეიტყო¹³⁴. იგი იქვე გაჩერდა, ნათესავებსა და თავისიანებს ზედიზედ გაუგზავნა ელჩები სხვადასხვა მხარეს, თავისი მიბრძანება ამცნო და მისასვლელად მოუწოდა. ყარაყორუმის¹³⁵ სანახებიდან მანგუ ყაენი დაიძრა. სირამუნმა და ყაენის სხვა შვილიშვილებმა და ხათუნებმა, რომლებიც იმ მიდამოებში იმყოფებოდნენ, ყარაყორუმის ამირი ყონყურთაყაი ნოინი გაგზავნეს თავიანთ წარმომადგენლად და სიგელი მისცეს: „ბათო ყველა უფლისწულზე უფროსია. მის ჰოქმსა და ფირმანს, რაც არ უნდა ბრძანოს, კანონის ძალა აქეს. ჩვენ ყველანი ვეთანხმებით მას და, რასაც ის ბრძანებს და მართებულად მიიჩნევს, იმაზე უარს არ ვიტყვით“.

1251 წ. ივლისს ყარაყორუმში გამართულ დიდ ყურულთაიზე მონღოლთა სახელმწიფოს ყაენად არჩეულ იქნა თულის უფროსი შვილი მანგუ. ყაენის არჩევის აღსანიშნავი ზეიმი და დროს ტარება ერთ კვირას გაგრძელდა¹³⁶.

როდესაც უფლისწულები უკან გაბრუნდნენ და მათი მნიშვნელოვანი საქმეები მოწესრიგდა, [ყაენი] შეუდგა სახელმწიფო საქმეთა მოგვარებას, მრუდის გასწორებას, გაფუჭებულის გამოკეთებას, მჩაგვრელთა დათრგუნვასა და ბოროტგამზრახველთა დამორჩილე-

ბას. რაკი მისი ხელმწიფური ზრახვა მიმართული იყო მეამბოხეთა შეუპოვრობის დათრგუნვისა და შეშფოთართა კისრების მოდრეკი-საკენ, ხოლო მისი მაღალი ფიქრი ადამიანთა ჯაფის შემსუბუქებით და ქვეშევრდომთა შრომის გაადვილებისაკენ იყო მიპყრობილი, მისი სრულყოფილი გონება ხუმრობას გულმოდგინებას ამჯობინებდა, მიატოვა განუწყვეტელი ლოთობა და სამართლიანობისა და სიკეთის მახითა და სატყუარათი მოინადირა მათი სიყვარული.

თავდაპირველად [ყაენმა] ბრძანა ჯარების დანიშვნა აღმოსავლეთსა და დასავლეთში, არაბთა და არაარაბთა ქვეყნებში სალაშქროდ. აღმოსავლეთის ქვეყნები და ხატაეთის ოლქები მანში სო-

52

ლანგაი და თანგუთი უბომა ყუბილაი-ოღულს, რომელიც გამოირჩეოდა გონიერებით, გამჭირახობით, სიმარჯვითა და საზრიანობით; საპატიო ნიშნები დანიშნა მის სამსახურში და იმ მხარეში მყოფი ყველა ამირი, მარცხენა თუ მარჯვენა ფრთისა, მის ბრძანებას დაუმორჩილა.

დასავლეთის ქვეყნები [მანგუ ყაენმა] ჩააბარა თავის მეორე ძმას ჰულაგუ-ოღულს, რომელიც ცნობილი და განთქმული იყო თავისი სიმტკიცით, სიძინჯით, წინდახედულობით, სიფრთხილით, მფარველობით და პატივისა და ღირსებისადმი გულმოდგინე დამოკიდებულებით. [ყაენმა] გააორკეცა მისი ლაშქარი. ქიდ-ბულა ბაურჩი¹³⁷ 650 წლის ჯულადა აღ-ავალის თვის შუა რიცხვებში¹³⁸ მეწინავედ დასძრა, რათა მულჰიდების საქმით დაეწყოთ.

გადასახადების განსაზღვრისა და ხალხის სახელების ჩასაწერად ჰაქიმები, შეჰნებები და მდივნები დანიშნა ყაენმა. აღმოსავლეთის ქვეყნები, მეხუთე სარტყელის დასაწყისიდან – მუ-დარიის ნაპირებიდან, ვიდრე ხატაეთის დასალიერამდე, რომელიც პირველი სარტყელია¹³⁹, წინანდებურად დიდ საჰებს მაჰმუდ იალავაჩს და მის ღირსეულ მემკვიდრეს მას'უდ-ბეგს დაუმტკიცა. რაც ხატაეთის მხარეს არის, – საჰებ მაჰმუდ იალავაჩს, ვისი ადრინდელი სამსახური კეთილგანწყობილების ნიშნებით იყო აღბეჭდილი და [მანგუ ყაენის] კურთხეულ გამეფებამდე მისულიყო სამეფო კარზე. მავერან-ნაჰრი, თურქესტანი, ოთარარი, უიღურის, ხოთანის, ქაშღარის, ჯენდის, ხორეზმის და ფერღანის ქვეყნები მას'უდ-ბეგს მისცეს. იგი შიშითა და სიფრთხილით მოვიდა და მისი უდიდებულესობის¹⁴⁰ ერთგულებისა და ძველი დამსახურების გამო დიდი ელდა და განსაცდელი ნახა, სანამ ბოლოს გადაურჩა ამ საფრთხეს და გავლენიანი და პატივცემული შეიქნა. რაკი ისინი ყურულთაიზე ადრე მისულიყვნენ სამეფო კარზე [ყაენმა] უფრო ადრე გააბრუნა უკან და ყოველი კაცი, ვინც თან ახლდათ, სხვადასხვაგვარი წყალობით გამოარჩიეს.

მათი [წასვლის] შემდეგ დიდი ამირი არღუნი, რომელსაც საშიშროებითა და საფრთხით აღსავსე შორი გზა გამოევილო, იმის შემდგომ, რაც ყურულთაი დაიშალა და ყველა უფლისწული თავთავის სამშობლოში დაბრუნდა, 650 წლის საფარის თვის 20-ში¹⁴¹ მოვიდა ხელმწიფის კარზე. რამდენადაც მუდმივი გულმოდგინება და მარადიული უნარიანობა ყოველთვის თან ახლდა მას, სახელმწიფოს

სამსახურსა და სამეფო კარის გულწრფელ სიყვარულში მტკიცე ზომებითა და აშკარა საშუალებებით გამოეჩინა თავი, სურვილების აღსრულებითა და მიზნების მიღწევით იქნა გამორჩეული. ხორას-

53

ნის, მაზანდარანის, ინდოსტანის, ერაყის, ფარსის, ქერმანის, ლურის, არანის, აზერბაიჯანის საქართველოს, მოსულისა და ალევოს გამგებლობა ხელთ უდევს მას. ვინც კი მას ახლდა, მალიქები, ამირები და ბითიქიები, მოწონებისა და მათდამი კეთილგანწყობილების მიხედვით იქნენ გამორჩეული და დასაჩუქრებული. ხსენებული წლის რამაზანის 20-ში¹⁴² ისინი [უკან] დაიდრნენ იმ ჯგუფიდან ზოგიერთს სხვადასხვა საქმე დარჩენოდა მოსაგვარებელი; რამდენიმე დღეს კიდევ დარჩნენ და შემდეგ მის კვალს გაჰყვნენ მხიარულნი.

ჰაქიმების ხსენებულ ჯგუფს [ყაენმა] ნუქერები დაუნიშნა და მითითება მისცა, რომ ვილაიეთები აღეწერათ და გადასახადები დაედგინათ. ამას რომ მორჩებოდნენ, დაბრუნების სადავე მიემართათ და კარზე ხლება ეჩქარათ. ყოველ მათგანს ბრძანება მიეცა, აუცილებლად განეხილათ და შეესწავლათ წარსული ვითარება და არავის აერიდებინა თავი [საქმის] სიმძნელებისათვის. ღმერთი შეგვიბრძნობს, რაც წარსულია. რამდენადაც [ყაენს] მხედველობაში ჰქონდა ქვეშევრდომთა მდგომარეობის გაუმჯობესება და არა ხაზინის სიმდიდრის გამრავლება, რაიათების გადასახადთა შესამცირებლად იარლიყი გამოსცა, რომლის პირი სამდივანმწიგნობრობშია დაცული. იქიდან ირკვევა, თუ რაოდენ დიდ ზრუნვასა და ყურადღებას იჩენს ხალხის საქმეებისა და მათ მისწრაფებათა მოსაწესრიგებლად.

გუიუქ-ხანის [სიკვდილის] შემდეგ უფლისწულობმა უამრავი იარლიყი გასცეს; ვაჭრობაშიც მონაწილეობდნენ და ქვეყნის სხვადასხვა მხარეს აგზავნიდნენ შიკრიკებს. დიდებული თუ მდაბიო ორტალობით¹⁴³ [მინიჭებული] მფარველობის საბუთს ეძიებდა, ქვეშევრდომები კი გარბოდნენ მათი სიმრავლის გამო [მანგუ ყაენმა] ბრძანა, რათა თითოეულს, ვისაც კი ჰქონდა თავის კუთვნილ ვილაიეთში ჩინგიზ-ხანის, [უგედეი] ყაენის გუიუქ-ხანისა და სხვა უფლისწულთა დროინდელი იარლიყები და ფაიზები, უკან დაებრუნებინა. ამის შემდეგ უფლისწულებს სამეფო კარის ნაიბების რჩევისა და ნებართვის გარეშე არ უნდა გაეცათ ზეპირი ან წერილობითი განკარგულება იმ საქმეებზე, რაც ამ ვილაიეთების გამგებლობას ეხებოდა. დიდ ელჩებს თოთხმეტზე მეტი ცხენი არ უნდა აეყვანათ და იამიდან იამამდე ემგზავრათ; არ უნდა შესულიყვნენ არცერთ სოფელსა თუ ქალაქში, სადაც გარკვეული საქმე არა ჰქონდათ, და თითოეული ადამიანისათვის საქმელად დაწესებულ ულუფაზე მეტი არ აეღოთ. რამდენადაც ძალადობა და ჩაგვრა ცას მისწვდა, საგანგებო გადასახადებისაგან¹⁴⁴ განსაკუთრებით გლეხობა იყო ილაჯგაწყვეტილი და განადგურებული იქამდე, რომ მოწეული მოსავალი იმ გადასახადების ნახევარსაც არ ჰყოფნიდა, რასაც

54

[გლესს] ართმევდნენ. მან ბრძანა, რომ უკლებლივ ყველა ორტალს

და მოხელეს ზომიერება დაეცვა ქვეშევრდომებთან ურთიერთობაში. თითოეულმა ადამიანმა მისი დოვლათისა და შეძლების მიხედვით უნდა გაიღოს, რაც განაწილებით დაეკისრება, გარდა იმ ხალხის ვინც ჩინგიზ-ხანის და [უგედეი] ყაენის ბრძანებით განთავისუფლებულია გადასახადების სიმძიმისაგან. [ესენი არიან]: მუსლიმთაგან დიდი სეიდები¹⁴⁵ და ღვთისმოსავი იმამები; ქრისტიანთაგან, რომელთაც არქაუნებს უწოდებენ, – ბერები და მღვდელმთავარნი, ცეცხლთაყვანისმცემელთაგან, რომელთა მოძღვართ თოინს ეძახიან, სახელოვანი თოინები¹⁴⁶. ამ ჩამოთვლილ ჯგუფს ეკუთვნის აგრეთვე ის ხალხიც, ვინც ასაკვადაცილებულთა და აღარ შეუძლია შრომა და მუშაობა. ებრაელებმა რომ ეს ბრძანება მოისმინეს და ამ თანრიგსა და რიცხვში თვითონ არ იქნენ შეყვანილი, ძალიან დანაღვლიანდნენ და მოიწყინეს; შემინებულმა და გაოცებულებმა მწუხარების ხელი წვერზე ჩამოიხვეს.

იმისათვის, რომ ყოველ მოხელეს არ შესძლებოდა წილის აღება, წლიური განრიგის შედგენა ბრძანა, რომლის მიხედვით ხატაეთის ქვეყნებში უნდა გამოეღოთ – დიდი შეძლების კაცს თერთმეტი დინარი და ასე შესაბამისად ხელმოკლეს ურთ დინარამდე. მავრანნაჰრშიც ასევე იყო. ხორასანში შეძლებულის ათი დინარიდან ღარიბის ერთ დინარამდე უნდა გადაეხადათ. ჰაქიმებსა და მდივნებს მიკერძოება და პირფერობა არ გამოეჩინათ, ქრთამი არ აეღოთ, ჭემმარიტება არ გაეყალბებინათ და სიცრუე ჭემმარიტებად არ გაერიდებინათ. რაც შეეხება საქონლის საბალახე გადასახადს, რომელსაც ყოფიერს უწოდებენ, ერთი სახის ოთხფეხზე, თუ ვინმეს ასი სული ეყოლებოდა, ერთი სული უნდა მიეცა, ხოლო თუ ნაკლები ჰყავდა, არაფერს იხდიდა. გადასახადის ნარჩენი, საცა არ უნდა ყოფილიყო და ვისაც არ უნდა ჰქონოდა გადასახადელი, ქვეშევრდომთ არ უნდა გადაეხადათ და [მოხედვეს] არ აეღოთ. ვაჭრებისა და ორტალებისთვის, გულიუქ-ხანთან, მის ხათუნსა და ვაჭიშვილებთან რომ აწარმოებდნენ გაცხოველებულ ვაჭრობას. ახალი შემოსავლიდან უნდა გაესწორებინათ ანგარიში.

თხრობა ქვეყნიერების უფლისწულის ჰულაგუს დასავლეთის ქვეყნებში ლაშქრობის შესახებ

დედამიწის პირის ფადიშაჰი მანგუ ყაენი თავისი ძმის ჰულაგუსთვისებებში მბრძანებლობის ღირსებებს ხედავდა და მის ზრახვებში დამპყრობლის ჩვევებს ამჩნევდა. მას შემდეგ, რაც ხანოხის ტახტ-

ზე განმტკიცდა და ანგარებიანი და მოშურნე ხალხის საქმეებს მორჩა, დიდ ყურულთაიზე თავისი მაღალი აზრი მსოფლიოს უკიდურესი აღმოსავლეთისა და დასავლეთის დაპყრობისაკენ მიმართა. თავდაპირველად ყუბილაი გაგზავნა აღმოსავლეთის მხარეს, ხატაეთს რომ შეადგენს. ამის შემდეგ, 650 წელს¹⁴⁷, თავისი მეორე ძმის ჰულაგუს საქმეების მოწესრიგებასა და მოგვარებას შეუდგა და დასავლეთის მხარის დასაპყრობად გააპიროვნა იგი¹⁴⁸. ყუბილაის გაგ-

ზავნის მსგავსად, აღმოსავლეთისა და დასავლეთის ლაშქრის ყოველი ათი კაციდან ორი გამოიყო. უფლისწულთაგან ერთი თავისი უმცროსი ძმა ხუბუათი-ოდული¹⁴⁹ დანიშნა მასთან ერთად. ბათოს მხრით შიბაყანის ვაჟი ბალაღაი, თუთარ-ოდული და ყული გაგზავნა ბათოსეული რაზმებით¹⁵⁰; ჩაღათაის მხრით – თეგუდარ-ოდული, მეჯი-ოდელის ძე, ხოლო ჩეჩექენ ბიჭის მხრით – ბულა-თემური ოირათის ტომის ლაშქრით. ქვედა მხარის სიძეების ამირებისა და ნოინთგან გამოყო ჯგუფი დიდებულებისა, რომელთა სახელების დაწვრილებით ჩამოთვლა ძალიან გაგრძელდება.

ხატაეთს ელჩები გაგზავნეს მანჯანიყების ოსტატებისა და ცეცხლმტყორცნელთა ჩამოსაყვანად. ათასი ოჯახი ჩამოიყვანეს მანჯანიყის ჩინელი ოსტატებისა, რომლებიც ქვის ტყორცნით ნემსის ყუნწს ისე აფართოებდნენ, რომ აქლემი გაძვრებოდა შიგ და ისეთ მაგარ მანჯანიყის ბოდლებს აკეთებდნენ ზამბუკითა და წებოთი, რომ მიწიდან ცაში ნატყორცნი ისრები უკან აღარ ბრუნდებოდა. შიკრიკები გაგზავნეს მეწინავედ, და თიაბის მთიდან¹⁵¹ მოკიდებული, ყარაყორუმსა და ბიშბალილს¹⁵² შუა რომ მდებარეობს, საცა კი ქვეყნიერების ფადიშაჰის ლაშქარს უნდა გაევიღო, მთელ სიგრძე-სიგანეზე სამოვრები და მდებარეობი ყორულად გამოაცხადეს და აიკრძალა იქ ცხოველთა ძოვება, რათა სამოვრები არ წამხდარიყო, ხოლო მდებარეობს ზიანი არ მოსვლოდა¹⁵³. მთელი მთა და ველი ბალ-ბოსტანი ვით დაცულად და ნაკრძალად გამოცხადდა და შინაურ საქონელს აღეკვეთა იქ ძოვა. ყველა ქვეყანაში თურქესტანიდან ხორასნამდე და შორეულ რუმსა და საქართველომდე მცენარეულობაზე გავრცელდა გამოთქმა – „მაგრამ არ მიუახლოვდეთ ამ ხეს“¹⁵⁴ – იქამდე, რომ ვინც კი ერთ ფოთოლს მოაჭმევდა, იმ საქონელს დაკარგავდა. ამგვარად, მცენარეულობა ცოდვად იქცა, ხოლო სიმწვანეს სიმაძღრე მოჰყვა¹⁵⁵. შიკრიკები გაგზავნეს, რათა მთელი ლაშქარი მდებარეობიდან და სამოვრებიდან ისეთ ადგილებში გადაეყვანათ, სადაც ფადიშაჰის ამაღლას არ უნდა გაევიღო. ბაიჩუს და ჩორმალუნის ლაშქარს რუმს წასვლა ებრძანა.

56

ამალისა და ლაშქრის სანოვაგისათვის (ულუფე¹⁵⁶) ბრძანება გაიცა მთელს სახელმწიფოში, რომ თითოეულ სულზე დაემზადებინათ ერთი თალარი ანუ ასი მანი¹⁵⁷ ფქვილი და ერთი ტიკვი, ე. ი. ორმოცდაათი მანი ღვინ. ამირები და მხარეთა გამგებლები ყველანი ულუფეს მომზადებასა და თარღუს და ნუზლის¹⁵⁸ საქმის მოწესრიგებას შეუდგნენ და [გზადაგზა] სადგომებში ათავსებდნენ ნუზლს. მონღოლ და მუსლიმან ამირებს ჭაკი ცხენები მოჰყავდათ თავიანთი ჯოგებიდან და კუმისს ამზადებდნენ რიგრიგობით, სანამ [ჰულაგუს ლაშქარი] სხვა ამირამდე არ მიაღწევდა. იმ ადგილებს, სადაც ქვეყნიერების ფადიშაჰს უნდა გაევიღო, ფარსანგ-ფარსანგ¹⁵⁹ ასუფთავებდნენ ეკლებისა და ქვ'ა-ლორლისაგან, მდინარეებსა და არხებზე ხიდებს აგებდნენ და გადასასვლელებთან ნავებს ამზადებდნენ.

მისი ლაშქრის დამვრის ამბავზე ქვეყანამ სიმშვიდე და მოსვენება დაკარგა. ვინც ურჩი იყო, მისი ძლიერებისა და რისხვის შიში

არ ასვენებდა, მორჩილებს კი ლაშქრის, იარაღისა და სანოვანის მომზადება აწუხებდათ.

როდესაც უფლისწულები და ნოინები დანიშნეს და ლაშქარი ათასეულებად და ასეულებად დაჰყვეს, ქიდ-ბულა, რომელსაც ბაურჩის თანამდებობა ჰქონდა, მეწინავედ გაიგზავნა. 650 წლის გაზაფხული¹⁶⁰ გაიფურჩქნა ზამთრის კოკრისაგან...

დამშვიდობების წესისამებრ [ჰულაგუმ] წვეულებები გამართა და ქვეყნიერების ხელმწიფის ურდოს მიაშურა. მეორე მხრიდან არილ-ბუქაც მოვიდა და უფლისწულები და ნათესავები, ვინც ახლო-მახლო იმყოფებოდა, ყველანი ერთად ხომლის ვარსკვლავებით შეიყარნენ ყარაყორუმის სამეფო კარზე. ყოველი მათგანი ღხინს იხდიდა რიგრიგობით, გართობის მოედანზე ნებივრობდნენ, ჯამებს სცლიდნენ და ერთი ფერის ტანსაცმელს იცვამდნენო¹⁶¹, თან, შუალულებში საქმეებსაც არ უგულებელყოფდნენ.

ერთი კვირის შემდეგ, როცა [ჰულაგუმ] თავის საკუთარ ურდოში წასვლა განიზრახა, ქვეყნის მპყრობელმა ხელმწიფემ ცისოდენა სულგრძელობის შესაბამისად ბრძანა, გაეხსნათ ძვირფასეულობის, ნაღდი ფულისა და ტანსაცმლის ხაზინები, ჯოგებიდან და რემებიდან კი რჩეული ცხენები და აქლემები მოერეკათ. ჰულაგუს, მის ცოლებს და ვაჟიშვილებს, თითოეულს ცალ-ცალკე გაუგზავნა ისეთი წილი, რომ დედამიწა დამძიმდა მისი ტარებისაგან და ქვეყანა ამჩატდა. მასთან მყოფი ამირები და ნოინები, მთელ თან მხლებ ლაშქართან ერთად პატივისცემით განაღვიდა.

57

651 წლის რაბი ალ-ავალის ორ რიცხვში¹⁶², შაბათ დღეს [ჰულაგუმ] დიდებისა და ძლიერების რაშის სადავე დაბრუნებისკენ მიმართა. თავის ურდოში რომ ჩამოხდა, ვითარების მოსაწესრიგებლად და ადამიანთა საქმეების გამოსასწორებლად ერთ ხანს იქ შეჩერდა, სანამ სიცხემ არ იკლო. ამ ხნის განმავლობაში უფლისწულები მოდიოდნენ მასთან დასამშვიდობებლად და ნუზლი მოჰქონდათ. უფლისწული ჰულაგუ თითოეულს მისი ღირსების შესაბამისად საბოძვართა და საჩუქრებით ისტუმრებდა. 651 წლის შა'ბანის თვის 24-ში¹⁶³, ამომავალი ბედნიერების ვარსკვლავზე, ძლიერების სადგომიდან, თავისი ურდოდან კურთხეული მოგზაურობისათვის დაიძრა; გამარჯვება წინ უძლოდა „გზა მიეცით!“ ძახილით, ძლევა მარჯვნივ და მარცხნივ მიჰყვებოდა, ხოლო წარმატება ფეხდაფეხ მისდევდა.

ჯუმადარ-ოღული, რომელსაც მაღალი ხარისხი ჰქონდა იმის გამო, რომ დედამისი სხვა ხათუნებზე უფროსი იყო¹⁶⁴, თავის მოადგილედ დანიშნა ურდოსა და ლაშქარში. უფროსი შვილებიდან აბალა და იაშმუთი¹⁶⁵ აირჩია თან წასაყვანად. საცა კი იდგა ლაშქარი, ყველა დაიძრა თავთავის ადგილიდან. ამ ამბის საშინელებისაგან მთები აზანზარდა, ხოლო ხელმწიფეთა გულები ძრწოლამ მოიცვა. ფადიშაჰი [ჰულაგუ] ნება-ნება მიემართებოდა; უფლისწულები ბალაღი და თუთარი მეწინავედ მიდიოდნენ, სხვები კი მარჯვნივ და მარცხნივ მისწრაფოდნენ. ზაფხულსა და ზამთარში ასე თანდათანობით მიიწევდნენ წინ. აღმალილს¹⁶⁶ რომ მიაღწიეს, ულულ-ეფის ხათუნები და ურყინე-ხათუნი¹⁶⁷ შემოხვდნენ და წვეულებები გაუ-

მართეს.

როდესაც სამეფო დროშებმა იმ მიდამოებს ჩაუარეს, დიდი სა-
ჰები მას'უდ-ბეგი და მავერანნაჰრის ამირები სამსახურად აღსდგნენ.
652 წლის ზაფხული¹⁶⁸ იალალზე გაატარეს. და, როცა მზის მცხუნ-
ვარების ძალამ იკლო, ადგილიდან დაიძრნენ. 653 წლის შა'ბანის
თვეში¹⁶⁹ ქან-ე გელის მდელიოზე ჩამოხდნენ სამარყანდის ჭიშკართან.
საჰებმა მას'უდ-ბეგმა ერთი ნაქსოვი კარავი აღმართა, რომელსაც
თეთრი ქეჩის გარსაცმი ჰქონდა. დაახლოებით ორმოც დღეს იმ
მიდამოებში დარჩნენ და ქეიფსა და დროს ტარებაში იყვნენ.

იქიდან რომ აიყარნენ, ქეშამდე სადავე არ მოუწევიათ. ამ სად-
გომში ამირ არღუნ და ხორასნის დიდებულთა უმრავლესობა
ეახლნენ და საჩუქრები მიართვეს. იმ ადგილას ერთ თვეს იდგნენ,
მერე კი მდინარეზე¹⁷⁰ გადასვლის განზრახვით წასვლის დოღს
დაჰკრეს და ამომრავდნენ. იმ დროს, როცა ბედნიერი ამაღა საზაფ-
ხულო სადგომიდან დაიძრა, ბრძანება გამოვიდა, რომ ყველა ხო-
მალდი შეეჩერებინათ მეზღვაურებიანად, ნავებისგან ხიდი გაემარ-

58

თათ, რათა, როცა ფადიშაჰის ლაშქარი მოაღწევდა, ამაღა დაუბრკო-
ლებლად გადასულიყო წყალზე. ფადიშაჰმა წყალობა გამოიჩინა მათ
მიმართ და გადასასვლელებზე რომ ბაჟს ართმევდნენ ნავებზე, აჰა-
ტია. რაკი ის ბაჟი ამოკვეთილ იქნა, [მდინარეზე] გადამსვლელთა
გულს მძიმე ტვირთი მოსცილდათ...¹⁷⁷

მეორე დღეს იქიდან აიყარნენ და შაბურღანის¹⁷² მდელიოზე ჩა-
მოხდნენ იმ განზრახვით, რომ დიდხანს არ დაყოვნებულიყვნენ იქ.
მსხვერპლის შეწირვის დღესასწაულის¹⁷³ დღეს თოვა დაიწყო და
შვიდი დღეღამის განმავლობაში ღრუბელს არ გადაუყრია იმ მიდა-
მოებში. ზამთარი გაჭიანურდა და ჰაერის სიცივემ და სუსხის სიმ-
კაცრემ იქამდე მიაღწია, რომ მთელი მხარე „თოვლის ქვეყანას“ და-
ემსგავსა და ძლიერი სიცივისაგან დიდძალი პირუტყვი გაწყდა.

ამ სადგურში არღუნ ამირმა ნატიფად მოხატული ტილოს დი-
დი კარავი და მასთან ოქროსა და ვერცხლის ჭურჭლეულით გაწყო-
ბილი მისი შესაფერისი საკრებულო კარავი დაადგმევინა და მრავალგვარად მოემსახურა. იქიდან [არღუნ] ბრძანებისამებრ მანგუ
ყენის კარზე გაეშურა, თავისი შვილი გერაი მალიქი, აჰმედ გითიქ-
ჩი და ამ ამბების აღმწერი ფადიშაჰის¹⁷⁴ სამსახურში დანიშნა ხორას-
ნისა და ერაყის საქმეთა საგამგებლოდ¹⁷⁵.

შენიშვნები ქართული თარგმანისათვის

1. ჩინ-გიზხანის ლაშქარი 1220 მარტში მიაღდა სამარყანდს. მონღოლებმა მოკლე ხანში დაიმორჩილეს ქალაქი, საშინლად გამარცხეს და გადასწვეს ის.

2. სულთანი ალა ად-დინ მოჰამედ ბ. თექეში ხორეზმის სახელმწიფოს მბრძანებელი იყო (1200-1220). მან ვურ გაბედა მონღოლებთან შებრძოლება, თავისი მრავალრიცხოვანი ლაშქარი მცირე რაზმებად დაქსაქსა, თვითონ კი გაიქცა. მალე ხორეზმმაჰს სულ შემოეფანტა მხლებლები და მონღოლთა შიშით აბესქუნის (კასპიის) ზღვის ერთ-ერთ კუნძულზე გადახვეწილმა უსახელოდ დალია სული.

3. იემე (جمعه) თურქული ფორმაა მონღოლური სახელისა-ჯებე. ამავე ფორმას ხმარობენ XIII ს-ის ავტორები ნესავი და ჯუზჯანი. რაშიდ ად-დინს და გვიანდელი ხანის ისტორიკოსებს აქვთ ჯებე (جمعة). ქართველი ჟამთააღმწერელი, რომელსაც, როგორც ცნობილია, ჯუვეინის თხზულება გამოუყენებია, ამ სახელის ორივე ფორმას იცნობს. იგი აღნიშნავს, რომ ჩინგიზ-ხანმა „წარმოავლინა ორნი თავადნი ზემოკსენებულნი, იამა და სალპიანი, რომელთა ქართველნი სება-ჯებობით უწოდიან, რათა მოვლონ ქუეყანა ხუარასნისა და ერაციისა, სადამდის ეძლო სლვად, და განიხილონ ქუეყანა“. (ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი ს მიერ, II, თბ., 1959, გვ. 164). ზოგი ავტორი ჩვენში შეცდომით იამას „სებასთან“ აიგივებს, ხოლო „სალპიანი“ ჯებებს ქართული შესატყვისი ჰგონია (ქართლის ცხოვრება, II, საძიებელი, გვ. 683; ი. ცინცაძე, მონღოლები

60

და მონღოლთა დაპყრობები, თბ., 1960, პირთა საძიებელი, გვ. 199, 201).

4. მუღანის ველი (მდ. არაქსის ქვემო წელში) მონღოლთა საზამთრო სადგური იყო (იხ. მაგ., ჟამთააღმწერელი: ქართლის ცხოვრება II, გვ. 237, 240). აქედან მიიტანეს მონღოლებმა პირველი იერიში საქართველოზე (ბ. ს ი ლ ა გ ა ძ ე, XII – XIII სს. საქართველოს ისტორიის ზოგიერთი საკითხი იბნ ალ-ასირის ცნობათა შუქზე, „კსაქართველო რუსთაველის ხანაში“, თბ., 1966, გვ. 130 – 132).

5. რაშიდ ად-დინის ცნობით, ჯემალ ად-დინ აიბე(!) ხორეზმშაჰის მონა ყოფილა (Р а ш и д-а д-д и н, Сборник летописей, т. I, кн. 2, М – Л., 1952, გვ. 228).

6. შ ე ჰ ნ ე მონღოლთა მიერ დაპყრობილ ქალაქებსა და ოლქებში დანიშნული სამხედრო გამგებელი იყო, რომელსაც მცირე-რიცხოვანი რაზმი ახლდა თან (რ. კ ი კ ნ ა ძ ე, ქალაქები ილხანთა ირანში, „ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან“, თბ., 1957, გვ. 196). ამ მოხელის სახელწოდება მოხსენიებული და

განმარტებული აქვს ჟამთააღმწერელსაც: „მცველნი ქალაქისანი დაუდგინნეს, რომელთა შანად უწოდდეს სიტყვთა მათითა“ (ქართლის ცხოვრება, II, გვ. 190); „მცველნი ქუეყანისანი, რომელ არიან შანანი, დაუდგინნეს“ (გვ. 195). შ ე ჰ ნ ე ს ინსტიტუტი მონღოლთა შემოსევების წინარე ხანაშიც არსებობდა მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნებში (იხ. შ. მ ე ს ხ ი ა, საქალაქო კომუნა შუა საუკუნეების თბილისში, თბ., 1962, გვ. 92 – 94; ვ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, თბილისის მმართველობა X – XI საუკუნეებში, თსუ შრომები, ტ. 108, თბ., 1964, გვ. 340; ო. ც ქ ი ტ ი შ ვ ი ლ ი, სიბტ იზნ ალ-ჯაუზის ცნობა დავით აღმაშენებლის შესახებ, თსუ შრომები, ტ. 118, თბ. 1967, გვ. 209 – 210; გ. ბ ე რ ა ძ ე, XI – XII სს. ირანის ქალაქების ადმინისტრაციული წყობილების ისტორიიდან, საქართველოს მეცნ. აკადემიის „მოამბე“, ტ. 55, 1969, № 1).

7. როდესაც იემეს (ჯებეს) რაზმი პირველად მიადგა ჰამადანს, სადაც მონღოლებს ხორეზმშაჰი მოჰამედი ეგულებოდათ, ქალაქის გამგებელმა ალა ად-დოვლემ მორჩილება გამოუცხადა მათ, ცხენები, ტანსაცმელი და სანოვაგე მიართვა და მათ მიერ დანიშნული შეკნეც მიიღო (ჯ უ ვ ე ი ნ ი, I, გვ. 115).

8. გერთის ციხე ჩრდილოეთ ლირისთანშია, დღევანდელი ხორემაბადის სამხრეთით.

9. ხამუში აზერბაიჯანის ათაბეგის უზბეგის (1210 – 1225) შვილი იყო. იგი ყრუ-მუნჯი იყო და თვითონ არ ყოფილა ათაბეგად. რა-

61

შიდ ად-დინის ცნობით, როდესაც ჯებე და სუბუდაი თავრიზს მიადგნენ, იქაური გამგებელი ათაბეგი უზბეგი დაიმალა, მონღოლებს კი კაცი გაუგზავნა, ზავი შესთავაზა და დიდძალი ფული და საქონელი მიართვა (P a შ ი დ-ა დ-დ ი ნ, Сборник летописей, I, 2, გვ. 227).

10. შირვანში შესვლამდე მონღოლები ხელმეორედ შეებრძოლნენ ქართველებს და კვლავ დაამარცხეს ისინი (ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, III, თბ., 1965, გვ. 14 შმდ; ბ. ს ი ლ ა გ ა ძ ე, XII – XIII სს. საქართველოს ისტორიის ზოგიერთი საკითხი., გვ. 132 – 135). შემდეგ მათ შირვანის მთავარ ქალაქს. შემახას შემოარტყეს ალყა და აიღეს იგი, მოსახლეობა კი გაჟლიტეს ან ტყვედ წაიყვანეს (P a შ ი დ-ა დ-დ ი ნ, Сборник летописей, I, 2, გვ. 228).

11. რაშიდ ად-დინი მოგვითხრობს, რაკი დარუბანდისკენ გასვლა შეუძლებელი იყო, მონღოლებმა შეუთვალეს შირვანშაჰს. რამდენიმე კაცი გამოგზავნე რომ ზავი დავდოთო. შირვანშაჰმა ათი კაცი გაუგზავნა თავის დიდებულთაგან. მონღოლებმა ერთი მათგანი იქვე მოკლეს, დანარჩენებს კი უთხრეს, დარუბანდის გზას თუ გვიჩვენებთ, შეგიწყალებთ, თუ არა და ყველას ასე დაგხოცავთო. იმათაც საკუთარი თავის გადასარჩენად უჩვენეს გზა და მონღოლები დარუბანდისკენ გავიდნენ (P a შ ი დ-ა დ-დ ი ნ, Сборник летописей, I, 2, გვ. 228 – 229).

12. თუში თურქული ფორმაა მონღოლური სახელისა – ჯუჩი- (ჯოჩი). ქართველმა ჟამთააღმწერელმა ამ სახელის ორივე ფორმა

იცის: [ჩინგიზ-ხანს] „ესუა შვილი, რომელსაც ერქუა თუში, რომელსა ქართველნი ჯოჩიდ უწოდდეს“ (ქართლის ცხოვრება, II, გვ. 163. ტექსტში „თუში“-ს ნაცვლად გვხვდება „თუბის“, რაც შინისა და ბანის მსგავსების შედეგად არის მიღებული).

13. როგორც მხედავთ ჯუვეინის სრულებით არა აქვს ნახსენები ადგილი ხანის ამიერკავკასიის ქვეყნების ისტორიის ბევრი მნიშვნელოვანი მოვლენა. კერძოდ, იგი არაფერს ამბობს მონღოლების მიერ ქართველთა ლაშქრის ორჯერ დამარცხებაზე, ხშირად არღვევს მოვლენათა თანამიმდევრობას. ამავე დროს მისი ცნობები ზოგჯერ ეწინააღმდეგება სხვა ისტორიკოსთა (იბნ ალ-ასირი, ნესავი, რაშიდ ად-დინი) თხზულებებში დაცულ ცნობებს.

აკად. ივ. ჯაეახიშვილი ამის გამო შენიშნავს: „სწორედ გასაოცარია, რომ რაშიდ ედ-დინის წინამორბედმა და ერთ-ერთ წყაროთაგანმა სპარსელმა ისტორიკოსმა ჯუვეინიმ (გარდ. 1283 მონღოლთა პირველი შემოსევისა საქართველოში თითქოს არა იცის

62

რა. მისი სიტყვით დამა, ანუ ჯებე ჯერ თავრიზში მივიდა და დაიმორჩილა, მერე მარაღა და ნახჭავანი და მთელი მისი სანახები გაწყვიტა, ათაბაგ ხამუშმა რომ მორჩილება გამოუცხადა, იგი იქითგან რანში წავიდა, ბაილყანი აიღო და შირვანის გზით დარუბანდში მოვიდაო. საქართველოში შესევაზე არა არის რა ნათქვამი, თითქოს იქ არაფერი მომხდარიყოს“ (ი ვ ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, III, თბ., 1949, გვ. 18).

14. უგედეი ყაენი (1229 – 1241) გარდაიცვალა 1241 წ. 11 დეკემბერსა იმ დროს მისი უფროსი ვაჟი გუიუქი ბათოსთან ერთად ყივჩაყთა ველზე სალაშქროდ იყო წასული. გუიუქის უზენაეს ყაენად არჩევამდე (1246 წ.) სახელმწიფო საქმეებს დედამისი თურაქინა განაგებდა.

15. ემელი ქალაქი იყო მდ. ილის აუზში, თანამედროვე ჩუღუჩაყის მახლობლად. ამჟამად არ არსებობს. ჯუვეინის აღნიშნული აქვს, რომ სატახტო ქალაქი უგედეისა, რომელიც ტახტის მემკვიდრე იყო. მამამისის სიცოცხლეში მისსავე იურთში იყო ემელისა და ყობაყის ქვეყნებში. როცა უგედეი ყაენის ტახტზე ავიდა, სადგომი გადაიტანა თავიანთ სამკვიდრო ქვეყანაში, ჩინეთსა და უილურეთს შორის რომ მდებარეობს (ჯ უ ვ ე ი ნ ი, I, .გვ. 31). ქართველ ჟამთააღმწერელსაც აქვს აღნიშნული, რომ ჩინგიზ-ხანმა „მესამესა შვილს. ოქოთას მისცა თვთ მისი ტახტი საჯდომად დჰ ყარაყურუმი, ჩინმაჩინი, ემელისა და ყუთაყისა ქუეყანა და ხატაეთი“ (ქართლის ცხოვრება, II, გვ. 181).

16. ოთეგინი ჩინგიზ-ხანის უმცროსი ძმა იყო.

17. ი ა ს ა – მონღოლთა საადათო სამართალი, რომლის კოდიფიკაცია მოხდა ჩინგიზ-ხანის დროს. ი ა ს ა ს შესრულება სავალდებულო იყო მონღოლთა სახელმწიფოს ყველა მცხოვრებისათვის, მათ შორის თვით ყაენებისთვისაც.

18. ფარვარდინი პირველი თვეა ირანული მზის კალენდრისა, რომლის მიხედვით ახალი წელი 21 მარტს იწყებოდა.

19. სორყოთანი ბიქი ქერაითების ტომის მეთაურის ონხანის

ძმისწული იყო. ქერათების დამარცხების შემდეგ ჩინგიზ-ხანმა ის თავის უმცროს ვაჟს თულის შერთო ცოლად. მისი შვილები იყვნენ მანგუ, ყუბილაი, ჰულაგუ და არილ-ბუქა.

ქუთანი გუიუქის ძმა იყო.

20. ელჩითაი ჩინგიზ-ხანის ძმისშვილი იყო. ჩალათაი ჩინგიზის მესამე შვილი იყო. იესუ და ბაიდარი ჩალათაის შვილები იყვნენ, ხოლო ყარა, ბური და იესუნ-ბოლა მისივე შვილიშვილები.

63

21. მონღოლები და მათ მიერ დაპყრობილი ხალხები ხიტაის ან ხატის (ხატაეთი) უწოდებდნენ ჩრდილოეთ ჩინეთს. შემდგომში ეს სახელწოდება თანამედროვე ჩინეთის მთელს ტერიტორიაზე გავრცელდა.

22. როქნ ად-დინი იმ დროს ჯერ არ იყო სულთანი.

23. როგორც ჩანს, ჯუვეინიმ მეფის აღმნიშვნელი სომხური სიტყვა „თაგავორ“ შეცდომით, ქვეყნის, კილიკიის ანუ მცირე არშენის სახელწოდებად მიიჩნია. ჯ. ბოილის აზრით, აქ უნდა იგულისხმებოდეს არა თვითონ მეფე კილიკიისა ჰეთუმ I, არამედ მისი ძმა სუმბატ კონტაბლი (ჯ. ბოილი I, გვ. 250, შენ. 6).

24. იგულისხმებიან დავით ლაშას ძე და დავით რუსუდანის ძე.

25. იგულისხმება ეიუბიანთა დინასტიის წარმომადგენელი ნასირ სალაჰ ად-დინ იუსუფი, რომელიც ალექსოსა (1236 – 1260) და დამასკოში (1250 – 1260) მბრძანებლობდა (C. Л е н - П у л ь, Мусульманские династии, გვ. 60. К. Б о с в о р т, Мусульманские династии, გვ. 95).

26. ბედრ ად-დინ ლუ'ლუ მოსულის ათაბეგი იყო 1233 – 1259 (კ. ბოსვორტის მიხედვით, 1222 – 1259) წლებში. მან ზენგიანთა დინასტიის უკანასკნელი წარმომადგენლის ნასირ ად-დინ მაჰმუდის სიკვდილის შემდეგ დაიპყრო ხელისუფლება (C. Л е н - П у л ь, დასახ. ნაშრომი, გვ. 136 – 138; კ. ბოსვორტი, დასახ. ნაშრომი, გვ. 169 – 170).

27. არზრუმის სულთნის აქ მოხსენიება აშკარა ანაქრონიზმია, რადგან არზრუმის სელჩუკიანი გამგებელი როქნ ად-დინ ჯაჰანშაჰი ტახტიდან გადმოაგდეს და სიკვდილით დასაჯეს 1230 წელს, შამისა და რუმის გაერთიანებული ლაშქრის მიერ ხორეზშაჰ ჯალალ ად-დინის დამარცხების შემდეგ. მისი ტერიტორია თავის სახელმწიფოს შეუერთა მისმავე ნათესავმა ალა ად-დინ ქეიყოზად I-მა, რომელიც რუმის სასულთნოს განაგებდა 1219 – 1236 წლებში (ჯ. ბოილი I, გვ. 250, შე. 10).

28. ალა ად-დინი ისმაილიანთა ალამუთის სახელმწიფოს მბრძანებელი იყო (1221 – 1255).

29. სირამუნი – უგედეი ყაენის შვილიშვილი, გუიუქის ძმის, ქუჩუს უფროსი ვაჟი.

30. მანზი სამხრეთ ჩინეთს ერქვა,

31. იგულისხმება ადგილობრივი ბინადარი, მუსლიმანი მოსახლეობა.

32. მულჰიდი ურწმუნოს, ერეტიკოსს ნიშნავს, მაგრამ თითქმის მხოლოდ ისმაილიანთა მიმართ იხმარებოდა (И. П. П е т-

Р у ш е в с к и й, Ислам в Иране, М., 1966, გვ. 298). ჟამთააღმწერელიც აღნიშნავს, რომ ალამუთის ბინადარნი „არიან კაცის მკლველნი მიპარვითა, რომელთა მულიდად უწოდიან“ (ქართლის ცხოვრება, II, გვ. 208).

33. მ. ყაზვინის მიერ გამოცემულ სპარსულ ტექსტშია „დიარბექრი“. ჯ. ბოილი „თაგავორს“ ანუ მცირე არმენიას ამჯობინებს, რადგან ზოგიერთ ხელნაწერში გვხვდება *تاوران* (ჯ. ბოილი, I, გვ. 257, შენ. 29).

34. ხორეზმელი ვაჭარი მაჰმუდ იალავაჩი ადრევე მიემხრო მონღოლებს და დიდ გავლენასაც მიაღწია მათ კარზე და ურიცხვი სიმდიდრე შეიძინა. ჩინგიზ-ხანმა და უგედიმ მას მავერანნაჰრის მხარე მისცეს საგამგებლოდ. 1238 წელს მაჰმუდ იალავაჩი გადაყენებულ იქნა თანამდებობიდან და გაემგზავრა ყარაყორუმს, სადაც მალე ჩრდილო ჩინეთის (ხატაეთის) გამგებლის თანამდებობა მიიღო უგედიეი ყაენისგან. მავერანნაჰრის გამგებლად კი მისი ვაჟი მას'უდ-ბეგი დაინიშნა.

35. ფ ა ი ზ ა ოქროს, ვერცხლის, ბრინჯაოს ან ხის ფირფიტა იყო. ეძლეოდა მონღოლთა სამსახურში მყოფ ცალკე პირებს. ადგილობრივი მოსახლეობა ვალდებული იყო სანოვაგით, ცხენებით, ბინით უზრუნველყოფა ფაიზის მფლობელი და ყოველნაირად მომსახურებოდა მას,

36. იგულისხმება იზ ად-დინ ქეიქაუს II, რუმის სასულთნოს სელჩუკიანი გამგებელი (1245 – 1257). როქნ ად-დინ ყილიჩ არსლანი დამოუკიდებელი გამგებელი გახდა მხოლოდ მისი ძმის იზ ად-დინის გარდაცვალების შემდეგ, მანამდე კი ისინი ერთად განაგებდნენ ქვეყანას (С. Л е н - П у л ь, Мусульманские династии, გვ. 128; К. Б о с в о р т, Мусульманские династии, გვ. 178).

37. ყიზ-მალიქი – „ქალ-მეფე“. საქართველოს მეფე რუსუდანი (1222 – 1245).

38. ჰიჯრის 621 წელი ჩვენი წელთაღრიცხვით 1224 წლის 24 ინვარს დაიწყო.

39. შეჰაბ ად-დინ სოლეიმან-შაჰი ჰამადანის მახლობლად მდებარე ბაჰარის ციხის პატრონი იყო. შემდეგში მან მონაწილეობა მიიღო მონღოლთა მიერ გარემოცული ბაღდადის დაცვაში.

40. შაბურ-ხასთი აწინდელი ხორემაბადის, ლურისტანის მთავარი ქალაქის, ადგილზე მდებარეობდა.

41. აბასელი ხალიფა ნასირ ად-დინი (1180 – 225).

42. მოზაფარ ად-დინი (1190 – 1232) უკანასკნელი წარმომადგენელია ბეგთეგინიანთა დინასტიისა, რომელიც ირბილში ბატონობდა. იგი უძეოდ გარდაიცვალა და თავისი სამფლობელო აბასელ ხალიფებს უანდერბა (С. Л е н - П у л ь, Мусульманские династии, გვ. 139).

43. მოზაფარ ად-დინ უზბეგი (1210 – 2225) აზერბაიჯანის ილ-

დეგიზიან ათაბეგთა დინასტიის უკანასკნელი წარმომადგენელია.

44. იგულისხმება თოდრულ III (1177 – 1194), ერყის უკანასკნელი სელჩუკიანი გამგებელი.

45. ფ ე თ ვ ა – მუსლიმან სასულიერო პირთა მიერ რაიმე იურიდიულ საკითხთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილება.

46. სიტყვების თამაში: „ხოი“ (خوي) ხასიათს, განწყობილესა და ნიშნავს და ქალაქის სახელწოდებაც არის.

47. ჰიჯრის 622 წელი ჩვ. წელთაღრიცხვის 1225 წ. 13 იანვარს დაიწყო და 1226 წ. 1 იანვარს დამთავრდა.

48. იბნ ალ-ასირის ცნობით, ათაბეგ უზბეგს ერთხელ დაუფიცნია, თუ ესა და ეს მონა მოვკალი, ცოლს გავყერებო. შემდგომ მაინც მოაკვლევინა ის კაცი. რაკი მან დაარღვია ფიცი, ცოლთან განქორწინებაც მოუხდა (Ибн ал-Асир, Тарих ал-камилъ, перевод П. Жузе, Баку, 1940, გვ. 158).

49. ალინჯის ანუ ალინჯაყის ციხე აზერბაიჯანშია, ქ. ნახჭევანის აღმოსავლეთით.

50. სპარსულ ტექსტშია: خوارزم (ხვარვზ), რაც სიტყვა-სიტყვით „სამინებელ ადგილს“ ნიშნავს.

51. სპარსულ ტექსტშია كرى; ასევე აქვთ გადმოცემული ეს ტოპონიმი ნასავის და რაშიდ ად-დინს ჟამთააღმწერლის ცნობით, „დაებანაკა ხუარაზმელთა სოფელსა, რომელსა ჰქვან გარნისი“ (ქართლის ცხოვრება, II, გვ. 169). სომეხი ისტორიკოსებიც აღნიშნავენ, რომ ბრძოლა ქართველებსა და ხორეზმელებს შორის გარნისთან მოხდა (К и р а к о с Г а н д з а к е ц и, История, перевод с древнеармянского Т. Т е р - Г р и г о р ь я н а, Баку, 1946, გვ. 115; Армянские историки о монголах, перевод А. Г. Г а л - с т я н а, М., 1962, გვ. 24, 33, 70).

გარნი ან გარნისი სომხეთშია, ერევნიდან 27 კმ აღმოსავლეთით.

52. ადის ტომი არაბული მოდგმის ძველი ხალხი იყო, რომელიც ხშირად იხსენიება ყურანში. ადის ტომი მეტად ძლიერი და, ამის გამო, მედიდური ყოფილა. მართლა არსებობდა თუ არა ეს ხალხი და სად ბინადრობდა იგი, ჯერაც არ არის გამორკვეული

66

(ჯ. ბოილი, I, გვ. 169. იქვე მოცემულია ვრცელი ბიბლიოგრაფია).

53. ზ უ ლ-ფ ა ყ არ ი („ხერხემლის ძალების გამკვეთი“) წინასწარმეტყველ მუჰამედის სიძის, მეოთხე ხალიფა ალის (656 – 661) ხმლის ეპითეტია.

ნესავის ცნობით, ათაბეგ უზბეგის ერთ-ერთ ჰაჯიბს, რომელიც ელჩად იყო გაგზავნილი საქართველოში, უამბნია მისთვის, რომ შალვამ კარგად მიიღო თურმე ის, მაგრამ თითქოს დაიტრაბახა: მინდოდა ჩემს დროში ეცხოვრა მართლმორწმუნეთა ამირს, ალის. მე ვუჩვენებდი იმას ჩემი მკლავის ძალასო (З. М. Б у н и я т о в, Сведения ан-Нисави о Грузии, „ქართული წყაროთმცოდნეობა“, III, თბ.,) 1971, გვ. 161; ა ნ-ნ ა ს ა ვ ი, Жизнеописание султана-джалал ад-дина Манкбурны. Перевод с арабского З. М. Б у-

ნიკოლა, Баку, 1973, გვ.158).

54. მარანდი, სალმასი, ურმია და უმნუ ურმიის ტბის აუზის ქალაქები ირანის აზერბაიჯანში.

55. ირანელმა მეცნიერმა ა. ქესრავიმ ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ სხვა წყაროები (გარდა რაშიდ ად-დინისა, რომელიც ჯუვეინის თხზულებით სარგებლობს. იხ. Рашид-ад-дин, Сборник летописей, I, 2, გვ. 243) მხოლოდ შალვას დატყვევებაზე მოგვითხრობენ (جهل مقاله كسروی، تهران، ۱۳۳۵ – გვ. 174 – 175. ცნობა მოგვაწოდა გ. ბერაძემ), მართლაც ხესავი და იბნ ალ-ასირი შალვას ტყვედ ჩავარდნას აღნიშნავენ, მის ძმას ივანეს კი საერთოდ არ ახსენებენ გარნისის ბრძოლის აღწერის დროს (Насави, Жизнеописание, 158 – 159; Ибн-Алир, გვ. 157). ჟამ თააღმწერლის მიხედვითაც, ხორეზმელებს შალვა შეუპყრიათ, ხოლო „ივანე, გარნისისა კლდეთა შელტოლვილი, ზენაკერძო მოტყევებულითა ქვითა მოიკლა“ (ქართლის ცხოვრება, II, გვ. 170).

ქესრავის აზრით, ჯუვეინის ერთმანეთში უნდა არეოდა ایوانی (ივანე) და ایوانی (ივა'ი), რაც ერთ-ერთი თურქმანული ტომის იმას წევრს ნიშნავს. მაგრამ ჯუვეინის თხზულებაში ივას ტომი საერთოდ არ იხსენიება და ამ ტომის მეომართა გარნისის ბრძოლაში მონაწილეობაც არ დასტურდება წყაროებით. ამიტომ ივანეს და ივა'ის აღრევის შესაძლებლობა ჩვენ გამორიცხულად მიგვაჩნია უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ივა-ს თურქმანებს საერთოდ მტრული ურთიერთობა ჰქონდათ ჯალალ ად-დინთან (იხ. Насави, Жизнеописание, გვ. 172, 373, 374 – 375).

XVII ს-ის ქართველ ისტორიკოსს ფ. გორგიჯანიძესაც აქვს ცნობა გარნისის ბრძოლის შესახებ. მისი „საქართველოს ცხოვრ-

ბის“ ე. წ. მეორე ნაწილი, რომელშიც XII ს-ის მიწურულისა და XIII ს-ის ისტორიაა გადმოცემული, ძირითადად „ისტორიათა და აზმათა“ და ჟამთააღმწერლის თხზულების მიხედვით არის შედგენილი. მაგრამ, ამავე დროს, გორგიჯანიძე სხვა წყაროებითაც სარგებლობდა. როგორც ჩანს, გარნისის ბრძოლის აღწერის დროსაც მას ხელთ ჰქონია რომელიღაც წყარო (შესაძლებელია ჯუვეინის ან რაშიდ ად-დინის თხზულება), სადაც ივანეს დატყვევებაზე იყო საუბარი. „და გამოიქცნენ ქართველნი, – მოგვითხრობს გორგიჯანიძე, – და დაირჩინეს შალვა და ივანე, ძმა მისი, და გარნისის კლდე მათსზედ წამოაქცივეს“ (საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტი. ხელნაწ. H – 2140, ფ. 39v – 40r). როგორც ვხედავთ, ტექსტი ამ ადგილას არ არის კარგად გამართული. შეიძლებადა გვეფიქრა, რომ გორგიჯანიძემ ვერ გაიგო ჟამთააღმწერლის თხზულების შესაბამისი ადგილი და ასე წარმოიქმნა ცნობა ივანეს დატყვევების შესახებ. მაგრამ ამავე თხრობაში გვხვდება ერთი საყურადღებო დეტალი, რომელიც, ჩვენი აზრით, ადასტურებს ფარსადანის მიერ სხვა წყაროს გამოყენების ფაქტს. ჟამთააღმწერლის ცნობით, შალვა რომ ჯალალ ად-დინს წარუდგინეს, „მან არა მოკლა, არამედ თვსთა თანა იპყრა დიდითა პატივითა, და მიანიჭნა ქალაქნი ადარზად აგანისანი“ (ქართლის ცხოვრება, II,

გვ. 171 ხაზგასმა ჩვენია). ფ. გორგიჯანიძე კი მოგვითხრობს, რომ სულთანმა ჯალალ ად-დინმა შალვა „აღარ მოაკვდინა და დიდის პატივით ინახევდა. ს ა ლ მ ა ს ი დ ა ხ ო ი ს ქ ა ლ ა ქ ი ს ა მ ა მ უ-ლ ო თ უ ბ ო მ ა“ (დასახ. ხელნაწერი, ფ. 40r. ხაზგასმა ჩვენია). როგორც ვხედავთ, ჟამთააღმწერლის ზოგადად ნათქვამი – „ქალაქ-ნი ადარბადაგანისანი“, გორგიჯანიძემ დააკონკრეტა – „სალმასი და ხოის ქ ა ლ ა ქ ი“, „ქართლის ცხოვრების“ არცერთ ხელნაწერში ეს ქალაქები არ იხსენიება. სამაგიეროდ, ჯუვეინის და რაშიდ ად-დინს შესაბამის ადგილას დასახელებული აქვთ მარანდი, სალმასი, ურმია და უშნუ (გორგიჯანიძის მიერ აქ ხოის ხსენება აშკარა შეცდომაა, რადგან ეს ქალაქი ათაბეგ უზბეგის ცოლყოფილ მალიქას ეკუთვნოდა).

ა.ქესრავი ფიქრობს, ჯალალ ად-დინი არავითარ შემთხვევაში არ უბოძებდა შალვასა და ივანეს ამ ქალაქებს, რადგან ისინი ისლამის მტრები იყვნენო. მაგრამ ჯუვეინი და რაშიდ ად-დინი ხაზგასმით აღნიშნავენ რომ ხორეზმ-შაჰი ამას აკეთებდა პოლიტიკური მიზნით, რათა შემდეგში საქართველოს დაპყრობის საქმეში ბამოეყვნებინა ტყვე სარდლები.

68

56. სიტყვების თამაშია: „ხარიდე“ (خَرِيدَة) ქალიშვილს, ქალსაც ნიშნავს (იგულისხმება ათაბეგ უზბეგის ცოლყოფილი მალიქა) და ნასყიდსაც

57. აბუ ბაქრ აბდალაჰ იბნ ოსმანი – პირველი მარიულმორწმუნე ხალიფა (632 – 634).

58. ალბათ იგულისხმება ყიზ-მალიქი, მეფე რუსუდანი.

59. ჯ. ბოილის აზრით, ამ თათბირის დროს ჯალალ ად-დინი, როგორც ჩანს, უნდ მდგარიყო ბამბაკის მთების სამხრეთით, ალბათ ბამბაკის ხეობაში. იქიდან უმოკლესი გზა თბილისისაკენ ბორჩალოს (დებედას) ხეობაზე გადის. შესაძლებელია, სწორედ ამ გზასა და ხეობას უწოდებს ჯუვეინი „არქაბს“ (ჯ. ბ ო ი ლ ი, II, გვ. 429, შენ. 15).

60. ჟამთააღმწერლის ცნობით, „შემდგომად წელიწდისა ერთისა [შალვა] მოიკლა სულტნისა მიერ არა დატევებისავის სჯული-სა“ (ქართლის ცხოვრება, II, გვ. 171). ვახტანგის „სწავლულ კაც-თა“ მიერ შესწორებულ-შეესებულ ტექსტში უფრო ვრცელი თხრობა არის ჩართული: „აიძულებდა დატევებასა სჯულისასა, და უქად-გებდა ნიჭთა და პატივთა უმეტესთა. ხოლო მან არა უსმინა, არცა აღირჩია წუთ ჟამისა ამის პატივი, არცა უარყო სახელი ქრისტესი. კუალად სულტანი ლიქნიდა და ეტყოდა უარყოფასა ქრისტესსა, არამედ იგი გარემიაქცევდა სიტყუათა მისთა. კუალად სულტანი უქადოდა მრავალფერითა სატანჯველითა და აშინებდა, არამედ იგი მტკიცედ ეგო სარწმუნოებასა ზედა. ხოლო შემდგომად მრავალთა ტანჯვათა მწართა სიკუდილითა განიყვანა საწუთოსაგან წმიდა შალვა, და მოწამობისა გვრგვნითა შემკული აღვიდა წნაშე ქრისტესა“ (იქვე, გვ. 171, „ჩანართი“).

რაშიდ ად-დინის ცნობით, შალვამ თითქოს თავისი სურვილით აღიარა ისლამი, მაგრამ შემდეგში ორივემ (შალვამ და ივანემ) სულ-

თნის ღალატი გადაწყვიტეს და ამის გამო ჯალალ ად-დინმა ისინი დაახოცვინა (Рашид-ад-дин, Сборник летописей, I, 2, გვ. 243. იხ. აგრეთვე, ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, III, გვ. 55 – 56; З. М. Б у н и я т о в, Сведения ан-Нисави о Грузии, გვ. 162; ა ნ-ნ ა ს ა ვ ი, Жизнеописание, გვ. 167).

61. იგულისხმება ბამბაკის მთები.

62. ალიაბადის ციხე, რომელიც მდ. მტკვრის სამხრეთით, დებედას მიდამოებში მდებარეობდა, ნესავის ცნობით, ეკუთვნოდა დედოფალ (მალიქა) თამთას (З. М. Б у н и я т о в, Сведения ан-Нисави о Грузии, გვ. 165; ა ნ-ნ ა ს ა ვ ი, ., ა ნ-ნ ა ს ა ვ ი султана Джалал ад-дина, გვ. 226). ივ. ჯავახიშვილის აზრით, ეს თამთა

69

ივანე ათაბაგის ასულია (ქართველი ერის ისტორია, III, გვ. 73). ზ. ბუნიატოვი ფიქრობს, რომ ალიაბადის ციხე ეკუთვნოდა სხვა თამთას, ივანე ათაბაგის დას (З. М. Б у н и я т о в, დასახ. ნაშრ., გვ. 171., ა ნ-ნ ა ს ა ვ ი, ., ა ნ-ნ ა ს ა ვ ი გვ. 396). ზ. ბუნიატოვი აქ იმეორებს კირაკოს განმაკეცის თხზულების მთარგმნელის ტ. ტერ-გრიგორიანის შენიშვნას (К и р а к о с Г а н д з а к е ц и, История, გვ. 256, შენ 544), რომელიც, თავის მხრით, ემყარება მ. ბროსეს ვარაუდს, რომ სტეფანოს ორბელიანის მიერ მოხსენიებული და ივანესი, თამთი, უნდა იყოს იგივე ხორიშაპი, ვახტანგ ხაჩენელის მეუღლე (Additions et éclaircissements, გვ. 273). ნ. ბერძენიშვილს დასაშვებად არ მიაჩნია ასეთი გაიგივება (ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორიის საკითხები, III, თბ., 1966, გვ. 83, შენ 20ა).

63. მოჰარამი და საფარი მუსლიმანური მთვარის კალენდრის პირველი და მეორე თვეებია. შეესაბამება 1226 იანვარსა და თებერვალს.

غره ნიშნავს მთვარეს, მთვარის განახლებას, მთვარის თვის პირველ დღეს. 623 წ. რაბი ალ-ავალის პირველი რიცხვი შეესაბამება 1226 წ. 2 მარტს.

64. კირაკოს განმაკეცის ცნობით, ორხანი, რომელსაც სულთნის დედა ჰყოლია ცოლად, ძალიან ავიწროებდა განჯის მცხოვრებთ, ქრისტიანებსაც და მუსლიმებსაც. იგი მულჰიდებს მოუკლავთ იმავე ქალაქში (К и р а к о с Г а н д з ა კ ე ц и, История, გვ. 116, 276, შენ. 722). ნესავისაც აქვს აღნიშნული ორხანის მოკვლა ასასინების მიერ (1226 წ.), მაგრამ: ამავე დროს, ჯუვეინის მსგავსად 1231 წ. ამბებში ისიც კვლავ იხსენიებს ორხანს (ა ნ-ნ ა ს ა ვ ი, Жизнеописание, გვ. 179, 293 – 294). ჯ. ბოილის აზრით, შესაძლებელია, აქ ორი სხვადასხვა პიროვნება იგულისხმებოდეს (ჯ. ბ ი ო ლ ი, II, გვ. 409, შენ. 50).

65. ტექსტში: **حيدون** – ჯეიჰუნი, ამუ-დარია. ეს სიტყვა აქ ზოგადად მდინარის მნიშვნელობით არის ნახმარი. იგულისხმება მდ. მტკვარი.

66. ამ შემთხვევაში „აფხაზ“ მთელს დასავლეთ საქართველოს ნიშნავს.

67. ტექსტში: **كشتهها** – სინაგოგები, კერპთაყვანისმცემელთა ტაძრები'

68, აქაც სიტყვები თამაშია: „ბარაყ“ ადამიანის სახელია, „ბურავ“ ნიშნავს ზეციურ რაშს, რომლითაც წინასწარმეტყველმა მუჰამედმა იერუსალიმსა და ზეცაში იმოგზაურა, ხოლო „ბარყ: ელეაა.

70

69. აქ ჯუვეინის მთლიანად აქვს მოტანილი ქემალ ად-დინ ისმაილის (XIII ს-ის პირველი ნახევარი) ვრცელი ყასიდა; რომლის ბოლო ბეითებში პოეტი მიმართავს ჯალალ ად-დინს:

که بود جز تو ز شاهان روزگار که داد
قضیم اسب ز تفریس و آب از عمان

ვინ იყო, შენს გარდა, საწუთროს ხელმწიფეთაგან,

ვინც თავის ცხენს თბილისის ქერი აჭამა და ინდოეთის ოკეანის წყალი ასვა?

70 ტექსტშია: **یلدرجی** – რაშიდ ად-დინი მას შამს ად-დინ იულდუზჩის უწოდებს (P a ш и д-а д-д и н, Сборник летописей, II. М., 1960., გვ. 28, 30). ჯ. ბოილის ცნობით, მისი სრული სახელი იყო შარაფ ალ-მულქ ალი ბ. აბულ-ყასემ ალ-ჯანდი (ჯ. ბოილი, II გვ. 435, შენ. 35). ი. პეტრუშევსკი ფიქრობს, რომ შარაფ ალ-მულქმა, რომელიც ჯალალ ად-დინის უკანასკნელი ვაზირი იყო, ტრაგიკული როლი ითამაშა ხორეზმშაჰის ცხოვრებაში და ხელი შეუწყო მის დაღუპვას (И. П. П е т р у ш е в с к и й, Вазир Шараф ал-мулык, сб. „Ближний и Средний Восток“, М., 1962, გვ. 34).

71. აშრავ მოზაფარ ად-დინ მუსა ეიუბიანთა დინასტიის წარმომადგენელია. სხვადასხვა დროს მბრძანებლობდა დიარბექრსა (1210 – 1220) და დამასკოში (1229 – 1237).

72. ტექსტშია: **غوغا** (ლოულა). ამ ტერმინის მნიშვნელობის გამო იხ. ვ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, ქალაქ თბილისის სოციალური ისტორიიდან. „ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ქალაქების ისტორიიდან“, I, თ., 1966, გვ. 157 – 158.

73. თომასი და თაინალი მონღოლი მხედართმთავრები იყვნენ. ტექსტშია: **نايماس** (ნაიმას). ჯ. ბოილი ამჯობინებს „თაიმასს“ თაინალი შეიძლება იყოს გრიგოლ აკნეცისთან მოხსენიებული თენალ ნოინი (გ რ ი გ ო ლ ა კ ა ნ ე ლ ი, მოისართა ტომის ისტორია, სომხური ტექსტი ქართული თარგმანით და კომენტარით გამოსცა ნ. შ ო შ ი ა შ ვ ი ლ მ ა, თბ., 1961, გვ. 16, 183).

74. სახელი გამოტოვებულია ტექსტში.

75. ჰიჯრის 625 წელი დაიწყო 1227 წ. 12 დეკემბერს და დამთავრდა 1228 წ. 29 ნოემბერს.

76. ჯუვეინის ქართული სიტყვა „მინდორი“ (**مندور**) აქვს ნახმარი სპარსულ ტექსტში. ჟამთააღმწერლის ცნობით, „სულტანი დაბანაკებულ იყო სომხითს, ჯევსა ბოლნისისასა“ (ქართლის ცხოვრება, II, გვ. 183). შესაძლებელია „მინდორი“ ბოლნისის მახლობლად მდებარე რომელიმე ადგილის სახელწოდება იყო. ყოველ შემთხვევაში. თ. ჟორდანიას მიერ გამოცემულ ამირეჯიბების გუჯრების ერთ

ნაწყვეტში ამავე მოვლენასთან დაკავშირებით იკითხება: „მინდორს შევიბენით და ამოვწყვიტეთ“ (თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, II, ტფ. 1897, გვ. 210).

77. ჯუვეინი ალბათ გულისხმობს ივანე მხარგრძელს საქართველოს სამეფოს ამირსპასალარსა და ათაბაგს. ჟამთააღმწერლის ცნობით, გარნისის ომის (1225 წ.) „შემდგომად ორისა წლისა მიცვალა ივანე ათაბაგი და მთავარ ყვეს ძე მისი ავაგ და უბოდეს მას ამირსპასალარობა“ (ქართლის ცხოვრება, II, გვ. 171).

78. მუნქარი სახელია ანგელოზისა, რომელიც მეორე ანგელოზთან, ნაქირთან ერთად საფლავში დაჰკითხავს მიცვალებულებს მათი ცხოვრებისა და რწმენის შესახებ.

79. ჰუჯირი „შაჰ-ნამეს“ გმირია. იგი დამცველი იყო დიზ-ე საფიდისა (თეთრი ციხის), რომელსაც თავს დაესხა სოჰრაბი თურანელებთან ერთად.

80. თ ა ქ ბ ი რ ი – წარმოთქმა სიტყვებისა: الله اكبر – „დიდ არს ალაჰი“.

81. აშქაბუსი თურანელი მეომარი იყო, იგი როსტომმა მოკლა ბრძოლაში („შაჰ-ნამე“).

82. აბასელი ხალიფა მუსტანსირი (1226 – 1242).

83. იზ ად-დინ აი-ზეგი ხლათის გამგებლად დაინიშნა შერისხული ჰაჯიბ ალის ნაცვლად.

84. XIII ს-ის პირველ ათეულში ქართველთა ლაშქარმა ზაქარია და ივანე მხარგრძელების სარდლობით ალყა შემოარტყა ხლათს. ქალაქის კედლების დასათვალიერებლად გამოსულ ივანეს ცხენს მოულოდნელად ფეხი თხრილში ჩაუვარდა და ხლათელებმა დაატყვევეს ივანე, რომელიც იძულებული შეიქნა თავის გამოსასყიდად თავისი ასული თამთა მალიქ აუჰადისათვის (200 – 1210) მიეთხოვებინა. შემდეგ კი თამთა მალიქ აშრაფის მეუღლე გახდა. (თამთას შესახებ იხ. К и р а к о с Г а н д з а к е ц и, История, გვ.87 – 88, 116, 146; აგრეთვე, ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, II, თბ., 1965, გვ. 280 – 282. ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორიის საკითხები, III, გვ. 83).

85. ე.ი. ჰაჯიბ ალიმ, როგორც ჯუვეინის ადრე ჰქონდა აღნიშნული.

86. მშვიდობის ქალაქი აბასელთა სახალიფოს დედაქალაქ ბაღდადის ეპითეტია.

87. მანასკერტი ხლათის ჩრდილოეთით მდებარეობს; ხართაბირთი (აწინდელი ჰარფუთი) დიარბექრის ოლქშია.

72

88. მისი სახელი იყო როქნ ად-დინ ჯაჰანშაჰი.

89. რუმის სასულთნოს სელჩუკიანი გამგებელი ალა ად-დინ ქეიყობად I (1219 – 1236).

90. მუშის ველი ვანის ტბის დასავლეთით მდებარეობს.

91. გერანის ციხე მდ. არაქსის მარჯვენა ნაპირზეა..

92. ე. ი. უგედეი ყაენის.

93. შდრ. ჟამთააღმწერელი: ჯალალ ად-დინმა „წარმართა მოცი-

ქული ხლათის სულტანსა და ხალიფას. ბაღდადის მპყრობელსა, რათა შეეწივნენ მასცა და თავთაცა <და> მათთაცა. ეგრეთვე ერაცის სულტანსა მიუმცნო: „უკეთუ თვთ თავითა არა გნებავს ბრძოლა თათართა, ლაშქარნი წარმოავლინენით და ებრძოდე, რამეთუ ვიცი წყობა მათი. თუ არა ისმენთ ჩემსა, ვიდრე მე წინა არა აღუდგები, თქვენ ვერ შემძლებელ ხართ“. ვითარ მივიდა მოციქული სულტანისა და არა ინებეს ბრძოლა თათართა“ (ქართლის ცხოვრება, II, გვ. 182).

94. აქ ავტორს აშკარა ანაქრონიზმი აქვს დაშვებული, რადგან ჩინგიზ-ხანი, როგორც ცნობილია, 1227 წელს გარდაიცვალა.

95. ჰიჯრის 628 წელი დაიწყო 1230 წ. 9 ნოემბერს და დამთავრდა 1231 წ. 28 ოქტომბერს.

96. აფრასიაბი და გურგინი „შაჰ-ნამეს“ გმირებია.

97. რაშიდ ად-დინთან – ჰაქქარის მთები (P a ш и д-а д-д и н, Сборник летописей, II, გვ. 31).

98. როგორც ცნობილია, ქართველ ჟამთააღმწერელსაც მოეპოვება ჯალალ ად-დინის სიკვდილის საკმაოდ ვრცელი აღწერა (ქართლის ცხოვრება, II, გვ. 185 – 186).

ამჟამად გამორკვეულია. რომ ჟამთააღმწერელი იცნობდა ჯუვეინის თხზულებას და გამოუყენებია კიდევ იგი თავისი საისტორიო ნაწარმოების შედგენის დროს. სამწუხაროდ, ჯერჯერობით ძნელია თქმა, სარგებლობდა თუ არა ქართველი ავტორი „ქვეყნის დამპყრობის ისტორიით“ ჯალალ ად-დინს შემოსევებთან დაკავშირებული ამბების თხრობის დროს. საქმე ის არის, რომ ამ ორი წყაროს თხრობაში მრავალ მსგავს ადგილთან ერთად არსებითი განსხვავებებიც გვხვდება, რაც იმაზე უნდა მიგვანიშნებდეს, რომ ჟამთააღმწერელს ხორეზმშაჰ ჯალალ ად-დინის ამბების აღწერისას სხვა წყაროც შეიძლებოდა ჰქონოდა ხელთ.

99. ბ ი თ ი ქ ი (თურქ.) – მდივანი, მწერალი.

100. გურგუზი წარმოშობით უიღური იყო, უგედის მბრძანებლობის ბოლო წლებში ყაენის სახელით განაგებდა ხორასანს და მდ. ამუ-დარიის დასავლეთით მდებარე ოლქებს. მან გარკვეული

73

ღონისძიებები ჩაატარა გაპარტახებული ქვეყნების აღდგენისა და გადასახადების გაწერა-აკრევის საქმის მოსაწესრიგებლად; რამდენიმეჯერ მოუხდა ყაენის წინაშე თავის მართლება მის წინააღმდეგ წამოყენებულ ბრალდებათა გამო (ჯ უ ვ ე ი ნ ი, II, გვ. 139 – 147;

V. B. B a p t o л ь д, Туркестан в эпоху монгольского нашествия. Соч., т. I, М., 1963, გვ. 552 – 553; A. A. A л и - з а д е, Социально-экономическая и политическая история Азербайджана XIII – XIV вв. Баку, 1956, გვ. 114 – 116).
ნაიოჰოთი

101. ბ ა ს კ ა კ ი ის მოხელე იყო, რომელსაც მონღოლები ცალკეულ ოლქსა თუ ქალაქში დანიშნულ გამგებელს მიუყენებდნენ ხოლმე თვალყურის სადევნებლად, რათა მას ზუსტად შეესრულებინა თავისი მოვალეობანი. გარკვეულ შემთხვევებში ბ ა ს კ ა კ ს ხალხის აღწერა და გადასახადთა გაწერაც ევალებოდა (И. Б е р е з и н, Очерк внутреннего устройства Улуса Джучиева, Труды Вос-

точного отделения русского археологического общества, VIII, СПб., 1864, გვ. 441, 452, 453: Б. Д. Г р е к о в, А.Ю. Я к у б о в-с к и й, Золотая Орда и ее падение, М – Л., 1950, გვ. 31– 53; А. Н. Н а с о н о в, Монголы и Русь, М – Л., 1940, გვ. 14 – 16, 21, 145 – 146; А. А. С е м е н о в, К вопросу о золотоордынском термине „баскак“, Известия АН СССР, 1947, т. VI, Вып. 2; რ. კ ი ვ ნ ა ძ ე, ქალაქები ილხანთა ირანში, „ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან“, გვ. 197).

102. ნ უ ქ ე რ ი (მონღ. – მეგობარი, ამხანაგი) თავისუფალი მეომარი იყო, რომელიც საკუთარი ნებით ემსახურებოდა მონღოლ ნოინს ან უფლისწულს. ომის დროს ნ უ ქ ე რ ი მეომარი იყო, მშვიდობიანობის დროს კი დაახლოებული პირი, მსახური, თანაშემწე.

103. ულულ-ეფი (თურქ. „დიდი სახლი“) ჩალათაის მემკვიდრეთა სადგომი იყო (В. В. Б а р т о л ь д, Очерк истории Семиречья. Соч. т. II, ч. 1, М., 1963, გვ. 60).

104. შარავ ად-დინი ხორეზმელი ტვირთის მზიდველის შვილი იყო. იგი მონღოლთა სამსახურში დაწინაურდა და ულულ-ბითიქჩის (მთავარი მდივნის) თანამდებობას მიაღწია. იგი მეტად მკაცრი და ანგარებიანი პიროვნება იყო და მრავალ უსამართლობასა და სისასტიკეს ჩადიოდა გადასახადთა გაწერა-აკრეფის დროს (ჯ უ ვ ე ი-ნი II, გვ. 262 – 268; А. А. А л и - з а д е, Социально-экономическая и политическая история Азербайджана, გვ. 258 – 259).

105. ჰიჯრის 641 წელი 1243 წ.21 ივნისს დაიწყო და 1244 წ. 8 ივნისს დამთავრდა.

106. გ ა დ ა ს ა ხ ა დ ი ს ნ ა რ ჩ ე ნ ი (سقا - ბ ა ყ ა ი ა). რო-

74

გორც ირკვევა, გაწერილი გადასახადების ოდენობა იმდენად დიდი ყოფილა, რომ მოსახლეობას უჭირდა მათი გაღება და ყოველთვის ვალში რჩებოდა. ამის გამო „ბაყაია“ ფაქტიურად დამატებით მუდმივ გადასახადად იქცა. მისი აკრეფის საბაზით მონღოლი მოხელეები მრავალგვარ ბოროტებას ჩადიოდნენ (А. А. А л и - з а д е, Социально-экономическая и политическая история Азербайджана, გვ. 241.)

107. მ ო თ ა ს ა რ ი ფ ი საფინანსო უწყების მოხელე იყო, რომელიც ამა თუ იმ ოლქის ან მხარის ფინანსებს განაგებდა. საფიქრბელაია, რომ მას პირველ რიგში სახელმწიფო თანხების ხარჯვის ანგარიშები ეკითხებოდა.

108. ა მ ი ლ ი საფინანსო უწყების მოხელე იყო, მას უშუალო კავშირი ჰქონდა გადასახადების აკრეფასთან.

109. მონღოლებს წესად ჰქონდათ სახელმწიფოს ფულად ვალდებულებათა განაღდება ადგილობრივი ხაზინების სახელზე გამოწერილი ასიგნოებებით. ამა თუ იმ პირს კუთვნილი გასამრჯელოს ნაცვლად ეძლეოდა ასიგნობა (ბ ა რ ა თ ი, ჰ ა ე ა ლ ე) რომელიმე ოლქის შემოსავლიდან განსაზღვრული თანხის მისაღებად. ასიგნობათა გაცემის უფლება ჰქონდა სახელმწიფო დივანს, მაგრამ ეს წესი ხშირად ირღვეოდა. ჯუვეინის ზემოთ მოტანილი ცნობიდან ჩანს, რომ ცალკეული უფლისწულებიც იძლეოდნენ ბარათებს. რამდენადაც არც საფინანსო მოხელეებს და, მით უმეტეს, არც მონ-

ლოლ დიდებულთ ზუსტი წარმოდგენა არა ჰქონდათ ამა თუ იმ მხარის შემოსავალზე, არცთუ იშვიათად იმდენ ბარათს სწერდნენ ერთ ოლქზე, რომ მთელი შემოსავალი არ კმაროდა მათ გასანაღდებლად და აუცილებელი ხდებოდა გადასახადების ხელახალი გაწერა. ამის გამო მოსახლეობაც მძიმე მდგომარეობაში ვარდებოდა და ხშირად ბარათის მფლობელიც ხელცარიელი რჩებოდა (დაწვრილებით იხ. P a ш и д-а д-д и н, Джами ат-таварих, III, Составитель научно-критического текста ра персидском языке А. А. А л и-з а-д е. Перевод с персидского А. К. А р е н д с а, Баку, 1957, სპარსული ტექსტი, გვ. 453 – 457, რუსული თარგმანი, გვ. 256 – 259).

110. ჰიჯრის 649 წ. ჯუმადა აღ-ასირის თვე შეესაბამება 1251 წლის 21 აგვისტოს – 18 სექტემბერს.

111. თარაზი (თალასი, გვიანდელი აულიე-ათა) მდინარე თალასის მარცხენა ნაპირზე მდებარე მნიშვნელოვანი სავაჭრო ცენტრი და სიმაგრე იყო. ამჟამად ყაზახეთის სსრ საოლქო ცენტრი ქ. ჯამბული.

75

112. მანგუ მონღოლთა სახელმწიფოს ყაენად არჩეულ იქნა 649 წ. რაბი აღ-ახირის თვის 9 რიცხვში ანუ 1251 წლის 1 ივლისს (ჯ უ ვ ე ი ნ ი, III, გვ. 29). რაშიდ აღ-დინი ამ ამბავს 1251 იანვართებერვლით ათარიღებს (P a ш и д-а д-д и н, Сборник летописей, II, გვ. 132).

113. ტექსტშია 649 წ. საფარი, რაც 1251 წლის მაისის თვეს შეესაბამება ეს აშკარა შეცდომაა, რადგან, როგორც ვნახეთ, არ-ლუნმა 1251 წ. აგვისტო-სექტემბერში გადაწყვიტა ყაენის ასარჩევად მოწვეულ ყურულთაიზე წასვლა. ჯუვეინის ქვემოთ აღნიშნული აქვს, რომ არლუნ ამირი 650 წ.საფარის 20-ში, ე. ი. 1252 წლის 2 მაისს მივიდა ყაენის კარზე (იხ. აქვე, სპარს. ტექსტი, გვ. 31 – 32: ქართული თარგმანი, გვ. 53. შდრ. P a ш и д-а д-д и н, II, გვ. 149).

114. ყ ო ფ ჩ უ რ ი თავდაპირველად საბალახე გადასახადს აღნიშნავდა და მას მომთაბარე მეჯოგეები იხდიდნენ – ას სულ საქონელზე ერთ სულს (იხ. აქვე, სპარს ტექსტი. გვ. 33, თარგმ., გვ. 55. M. M i n o v i and V. M i n o r s k y, Nasir ad-din Tusi on finance. BSOAS, vol. X, ht. 3, 1940, გვ. 761). როცა მონღოლებმა თავიანთი უზარმაზარი სახელმწიფო შექმნეს, მათ დაპყრობილი ქვეყნების სოფლისა და ქალაქის ბინადარ მოსახლეობაზე გაწერილ პირდაპირ გადასახადებზეც გაავრცელეს მათთვის ცნობილი საგადასახადო ტერმინი. ამიერიდან ყ ო ფ ჩ უ რ ი სულად გადასახადად იქცა და მისი გამოღება დაეკისრა როგორც არამუსლიმან, ისე მუსლიმან მოსახლეობასაც (მანამდე მუსლიმანები სულად გადასახადს არ იხდიდნენ). მისი ოდენობა, როგორც ჯუვეინის ცნობებიდანაც ჩანს, არ იყო ზუსტად განსაზღვრული და დამოკიდებული იყო ამა თუ იმ ოლქის ხაზინის გასავალზე (დაწვრილებით იხ. P a ш и д-а д-д и н, Джами ат-таварих, III, სპარსული ტექსტი, გვ. 453 – 462; რუსული თარგმანი, გვ. 256 – 262; В. В. Б а р т о л ь д, Персидская надпись на стене анийской мечети Мануче. Сочинения, т. IV, М., 1966, გვ. 330 – 332 А. А. А л и-з а д е, Социальноэкономи-

ческая и политическая история Азербайджана, გვ. 198 – 210;
И. П. П е т р у ш е в с к и й, Земледелие и аграрные отношения
в Иране XIII – XIV веков, Ленинград, 1960, გვ. 360 – 369;
ვ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, მახლობელი აღმოსავლეთის სოციალურ-ეკონომიური ისტორიის მასალები ჟამთააღმწერლის თხზულებაში, კრებ. „მახლობელი აღმოსავლეთის სოციალურ-ეკონომიური ისტორიის ნარკვევები თბ., 1968, გვ. 57 – 58).

115. ჰ ა შ ა რ ი. ამ ტერმინით მონღოლური ხანის წყაროებში ჩვეულებრივ აღინიშნება დაპყრობილი ქვეყნების დატყვემეთელი

76

მოსახლეობა (უპირატესად მამაკაცები), რომელსაც მონღოლები ყველაზე მძიმე და სახიფათო საქმეზე იყენებდნენ ქალაქების ალყის დროს. ამ შემთხვევაში ჯუვეინი ჰაშარში ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენელთაგან შედგენილ რაზმებს გულისხმობს.

ი ა მ ი. მონღოლები სამხედრო სტრატეგიული მიზნით დიდ ყურადღებას აქცევდნენ სახელმწიფოში მიმოსვლის საშუალებათა მოწესრიგებას. ამ მიზნით, უგედეი ყაენმა 1236 წელს ბრძანა გზებზე საფოსტო სადგურების – იამების დაარსება. თვითეული ასეთი სადგურის ზედამხედველს (იამჩის) მუდმივად უნდა ჰყოლოდა იამში ოცი ცხენოსანი გამყოლი, საკმარაოდენობით ცხენები, ხარშებმული ურმები და აუცილებელი სანოვაგე. ყველაფერი ეს, რა თქმა უნდა. ადგილობრივ მოსახლეობას უნდა გაეღო (С. А. К о з и н, Сокровенное сказание, Юан чао би ши, I, М. – Л. 1941, გვ. 197 – 198; Р а ш и д-а д-д и н, Сборник летописей, II, გვ. 36; В. В. Бартольд, Туркестан в эпоху монгольского нашествия, გვ. 536 – 537; История Монгольской народной республики, М., 1967, გვ. 118).

116. ამ გადასახადების რაობა არ არის გარკვეული. ლექსიკონების მიხედვით „ყ ი ს მ ა თ“ ნიშნავს გაყოფას, განაწილებას, წილს. ხოლო „დასთანდაზ“ – მმარცველს, მჩაგვრელს, ხელმყოფს. ჯ. ბოილი ყისმათსა და დასთანდაზს „უკანონო მოთხოვნებად“ თარგმნის (ტ. II, გვ. 517). „ყისმათ“ შეიძლება დაკავშირებული იყოს „ყასამათთან“, რომლის ეტიმოლოგია და მნიშვნელობა ასევე გაურკვეველია (იხ. И. П. П е т р у ш е в с к и й, Земледелие и аграрные отношения в Иране, გვ. 381 – 382).

დასთანდაზი XV – XVII სს. სპარსულ დოკუმენტებშიც გვხვდება (A. K. S. L a m b t o n, Landlord and Peasant in Persia, London, 1953, გვ. 102: ჩვენთვის საინტერესო ტერმინი დამოწმებულია ალვანდ აყ-ყოიუნლუს 1498/9 წ. სასოიურდლო ფირმანში: Персидские документы Матенадарана, составил А.Д. П а п а з я н. Указы, вып. I, Ереван, 1956, № 8, 9, 10, 18: вып. II, Ереван, 1959, № 5 სპარსული ისტორიული საბუთები საქართველოს წიგნთსაცავებში, I, 1, გამოსცა ვლ. ფ უ თ უ რ ი ძ ე მ, თბ., 1961, № 26). დასთანდაზი იხსენიება აგრეთვე სიმონ I-ისა და როსტომის ორენოვანი წყალობის წიგნების სპარსულ ტექსტებშიც (ქართულ-სპარსული ისტორიული დოკუმენტები, გამოსცა ვ. ფ უ თ უ რ ი ძ ე მ, თბ., 1955, N 45, 190; Персидские документы Матенадарана, I, № 23). ყველა დასახელებულ დოკუმენტში, რომელთა

ბის ბომბებს ეხება, დასთანდაზი თითქმის ყოველთვის თარჰ-თან ერთად იხსენიება („ალაფე და ულუფე, ბეგარი და შეგარი, თარჰი და დასთანდაზი“ და ა. შ.).

ა. ფაფაზიანის აზრით, დასთანდაზის სახით საქმე გვაქვს ზოგიერთ გადასახადთან, რომლებსაც ყოველგვარი საბაზით იღებდნენ რაიათებიდან სახელმწიფო მოხელენი, როცა ისინი ხელყოფდნენ მათს ავლა-დიდებას და ცდილობდნენ წაერთმიათ ფული და ძვირფასი ნივთები (Персидские документы Матенадарана, I, გვ. 228 – 229, s. v. „Дастандаз“).

ლ. ტიგრანოვის განმარტებით, XIX ს-ის ირანში დასთანდაზი ავარიზის სინონიმი ყოფილა და გულისხმობდა ყოველი გლეხის კომლის მოვალეობას, მიერთმია მიწის პატრონისათვის (მულქდარისთვის) გარკვეული რაოდენობის სანოვაგე (ცხვარი, ქათამი, კვერცი, ერბო, ყველი და სხვ.). ამ სანოვაგის რაოდენობა ხშირად ბევრად აღემატებოდა მულქდარის მოთხოვნილებას და ბაზარზე გადიოდა გასასყიდად. გლეხებს ევალეზობდათ აგრეთვე რომ ასეთივე სანოვაგე მიეწოდებინათ მუზაშირისა და სხვა მოხელეებისათვის (Л. Ф. Т и г р а н о в, Из общественно-экономических отношений в Персии, Тифлис, 1905, გვ. 43 – 44),

ო. ეფენიევის აზრით, დასთანდაზი სხვადასხვა პირთათვის ფეხის ქირად მიცემული გასამრჯელო იყო (О. А. Э ф е н д и е в, Образование азербайджанского государства Сефевидов, Баку, 1961, გვ. 44).

117. ჩინგიზ-ხანის უმცროს შვილს თულის სულ ათი ვაჟი ჰყოლია მათგან ოთხი (მანგუ, ყუბილაი, ჰულაგუ და არიდ-ბუქა) უფროს ცოლთან, სორყოთან ბიქისთან შეეძინა. მუგა თულის მერვე ვაჟიშვილი იყო (Р а ш и д - а д - д и н, Сборник летописей, II, გვ. 103 – 106).

118. შამს ად-დინ მოჰამედი ქართვების (ან, როგორც ადრე კითხულობდნენ, ქორთების, ქერთების) დინასტიის პირველი წარმომადგენელია (1245 – 1278). ქართვების ფეოდალური სახელმწიფო 1245 – 1389 წლებში არსებობდა ღურის მთიანეთში. სახელმწიფოს დედაქალაქი ჰერათი იყო. ქართვები ილხანთა ვასალებად ცნობდნენ თავს, მაგრამ ყოველთვის როდი იჩენდნენ მორჩილებას.

119. ჰიჯრის 651 წ. რაჯაბის თვე შეესაბამება 1253 წლის 27 აგვისტოს – 25 სექტემბერს.

120. როქნულ დინარს ჯუვეინი სხვა დროსაც ახსენებს თავის თხზულებაში (ტ. I, გვ. 16; ტ. II, გვ. 238). ჯ. ბოილი ფიქრობს, რომ უნდა იგულისხმებოდეს როქნ ად-დინად წოდებული

რომელიმე მბრძანებლის მიერ მოჭრილი მონეტა (ჯ. ბოილი, I, გვ. 23, შენ. 1). ვ. ბარტოლდის აზრით, დინარ-ე როქნი სელჩუკური მონეტა იყო (В. В. Б а р т о л ь д, Персидская надпись на стене

анийской мечети Мануче. გვ. 325, შენ. 64). ამასვე ადასტურებს ვახუშტი ბაგრატიონიც. იგი წერს, რომ როდესაც როქნ ად-დინი (ნუქარდინი) საქართველოს წინააღმდეგ საომრად ემზადებოდა, მან „განსცა როქნი“ (ვახუშტი, საქართველოს ისტორია, დ. ბაქრაძის გამოც., ტფილისი, 1885, გვ. 211). როგორც ჩანს, ეს მონეტა ოქროსი უნდა ყოფილიყო. ყოველ შემთხვევაში, იაგელოს არაბულ-სპარსულ-რუსულ ლექსიკონში **رکتی** განმარტებულია როგორც „წმინდა ოქრო“.

121. სიტყვების თამაშია: შასთ (**شست**) ცერ თითსაც ნიშნავს ნავს და სამოცსაც. გრაფიკულად ასევე გამოსახება ამავე წინადადებაში ნახმარი სიტყვა სოსთ (**سست** – სუსტი)

122. ამიერკავკასიის ქვეყნებში 1254 წ. ჩატარებული აღწერის შესახებ სხვა წყაროებშიც მოიპოვება ცნობები (გ რ ი გ ო ლ ა კ ა ნ ე ლ ი, მოისართა ტომის ისტორია, გვ. 31 – 32; აგრეთვე, გვ. 127 – 30; К и р а к о с Г а н д з а к е ц и, История, გვ. 183 – 184; История монголов по армянским источникам, I СПб., 1873, გვ. 9, 41; Армянские источники о монголах, გვ. 26, 35; Р а ш и д-а д-д и н, Сборник летописей, II, გვ. 141, 150). საინტერესოა აღნიშნოს, რომ რაშიდ ად-დინის აზრით, ეს არ ყოფილა პირველი აღწერა (შდრ. ვ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, მახლობელი აღმოსავლეთის სოციალურ-ეკონომიური ისტორიის მასალები, გვ. 52).

123. ტექსტშია. **گیتو** – მაგრამ თვითონ ჯუვეინის ც; ნობით, არღუნს ქემთან (**گیش**) შეეგება ჰულაგუს (იხ. აქვე, სპარსული ტექსტი, გვ. 36, ქართული თარგმანი, გვ. 58. შდრ. აგრეთვე. ; Р а ш и д-а д-д и н, Джами ат-таварих, III, სპარსული ტექსტი, გვ. 25; რუსული თარგმანი, გვ. 23). ქეში გვიანდელი შაჰრესაბზია.

124. 656 w. რამაზანის თვე 1258 წლის სექტემბერს შეესაბამება.

125. ჯუვეინის ზემოთ აღნიშნული ჰქონდა რომ მისი სრული სახელი იყო იზ ად-დინ თაჰერი. **طاهر** (თაჰერ) ადამიანის სახელიც არის და სუფთას, წმინდას, უმწიკველოს ნიშნავს.

126. მონღოლთა ბატონობის ხანაში მ ა ლ ი ორგვარი მნიშვნელობით იხმარებოდა: 1. უფრო ხშირად, საერთოდ ყოველგვარი გადასახადისა და 2. შედარებით იშვიათად, მიწაზე დაწესებული გადასახადის (ხარაჯის სინონიმად). ჯუვეინი პირველი მნიშვნელობით, საერთოდ გადასახადების აღსანიშნავად უნდა ხმარობდეს ამ ტერ-

მინს (მალის შესახებ იხ. А. А. А л и-з а д е, Социально-экономическая и политическая история Азербайджана, გვ. 240;

И. П. П е т р у ш е в с к и й, Земледелие и аграрные отношения в Иране გვ. 373 – 374).

127. ამგვარად, ირკვევა. რომ არღუნ ამირს მეორედაც ჩაუტარებია საქართველოს აღწერა. უკვე ჰულაგუ-ხანის დროს, 1258 წლის ბოლო თვეებში ან 1259 დამდეგს. აღსანიშნავია, რომ ქართველი ჟამთააღმწერელიც მონღოლთა მიერ ბაღდადის აღების შემდეგ მოგვითხრობს საქართველოს აღწერის შესახებ (ქართლის ცხოვრება, II, გვ. 234 – 235). ბაღდადი ჰულაგუს ლაშქარმა აიღო 1258 წ. თე-

ბერვალში (Р а ш и д-а д-д и н, Джами ат-таварих, III, სპარსული ტექსტი, გვ. 59; რუსული თარგმანი, გვ. 43 – 44). მართალია, ჟამთააღმწერელს ზოგიერთი უზუსტობაც აქვს დაშვებული თხრობაში. მაგალითად, აღწერის ჩატარების ინიციატივას ის ბათოს მიაწერს, თუმცა ეს უკანასკნელი იმ დროს ცოცხალიც არ არის (გარდაიცვალა 1255 წელს). შეიძლება ქართველი ავტორის შეცდომა იმით აიხსნას, რომ 1254 წელს არღუნი ბათოს ულუსიდან მოვიდა საქართველოში აღწერის ჩასატარებლად. გამორიცხული არ არის აგრეთვე, რომ ჟამთააღმწერელს ერთმანეთში არეოდა ახლო ხანებში ჩატარებული ორი აღწერა და შერწყმულად გადმოსცა ეს ამბავი. ასეა თუ ისე, ვფიქრობთ, არღუნ ამირის დაახლოებული პირისა და ერთ-ერთი თანაშემწის ჯუვეინის ცნობა, საქართველოში აღწერის ორწყებად ჩატარების შესახებ, ანგარიშგასაწევია (ვ. გაბაშვილიც აღნიშნავს რომ ხალხის აღწერა 1254 წლიდან 1260 წლამდე გაგრძელდა. იხ. ვ. გაბაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 53).

128. მონღოლთა სახელმწიფოში ყოველდღე მრავალი ელჩი და შიკრიკი მგზავრობდა სხვადასხვა მიმართულებით მათი მომსახურებისათვის გზებზე დაარსებული იყო საფოსტო სადგურები – იამები, სადაც მუდმივად უნდა ჰყოლოდათ გამზადებული სამგზავრო და სატვირთო ცხენები ანუ ულალღი. იამებისათვის ცხენების მიწოდება ადგილობრივ მოსახლეობას ევალებოდა.

129. დავით რუსუდანის ძის აჯანყების შესახებ დაწვრილებით იხ. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, III, გვ. 152 – 157.

130. ჰიჯრის 657 წ. რამაზანის დამლევი 1259 წლის სექტემბრის შუა რიცხვებს შეესაბამება.

131. ჯუვეინის ამ ცნობის ბამო ივ. ჯავახიშვილი შენიშნავს: „მეტად საყურადღებოა სპარსელ თანამედროვე ისტორიკოსის ჯუვეინის ცნობა: თუმცა არც მისი აღწერილობაა გრძელი და სრული.

80

სამწუხაროდ, ამ ადგილას ხელთნაწერებში ამ ამბავის ბოლო უნდა დაკარგული იყოს ისე, რომ მოთხრობა ისტორიკოსს დაუმთავრებელი რჩება“ (ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, III, გვ. 161).

132. ჯუვეინის ცნობით, რაკი ჩინგიზ-ხანის მზრძანებლობის დროს მისი სახელმწიფოს საზღვრები ძალიან გაიზარდა, მან ყველას განუსაზღვრა საცხოვრებელი ადგილი, რომელსაც იურიტს უწოდებენ. „უფროს ვაჟს თუმის (ჯუჩის, ბათოს მამას) უბოძა ქვეყანა ყაიალიდიდან და ხორეზმიდან ვიდრე საყსინისა და ბოლღარის უმორეს კიდემდე და იმავე მიმართულებით იქამდე, საცა კი თათართა ცხენს ფეხი დაუდგამს“ (ჯუვეინი, I, გვ. 31).

საყსინი მდ. ვოლგის ქვემოწელში, მის შესართავთან მდებარე სავაჭრო ქალაქი იყო. ამ შემთხვევაში ჯუვეინი გულისხმობს არა მარტო ქალაქს, არამედ მთელ მის მიმდებარე ტერიტორიასაც. ბოლღარის სამეფოც ვოლგისპირეთში მდებარეობდა. (იხ. Б. Д. Греков, А. Ю. Якубовский, Золотая Орда и ее падение, გვ. 25).

133. ქალაქი ყაიალიდი მდ. ილის აუზში მდებარეობდა, თანა-

მედროვე კოპალის მახლობლად. გუილიომ რუბრუკვისი მას კაილაკს უწოდებს (გ. რ უ ბ რ უ კ ვ ი ს ი, მოგზაურობა აღმოსავლეთის ქვეყნებში, თარგმანი ფრანგულიდან გ. ქ ი ქ ო მ ი ს ა, „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“, V, 1942, გვ. 71, 87).

ალაყამაყის მდებარეობა არ არის ცნობილი. როგორც ჩანს, ის ალათაუს მთების მახლობლად უნდა ყოფილიყო (В. В. Б а р т о л ь д, Туркестан в эпоху монгольского нашествия, გვ. 558).

134. 1248 წ. გაზაფხულზე გუიუქ-ხანი ბათოს წინააღმდეგ გაემზადა და დიდი ლაშქრით დასავლეთისკენ დაიძრა. სორყოთანი ბიქის მიერ დროულად გაფრთხილებული ბათოც მის შესახვედრად წამოვიდა. მაგრამ გუიუქმა მონღოლეთის ფარგლებიდან გამოსვლაც ვერ მოასწრო. გზაში გარდაიცვალა. (ჯ უ ვ ე ი ნ ი, I, გვ. 215 – 216; Р а ш и д - а д - и н, Сборник летописей, II, გვ. 121; შდრ. აგრეთვე, В. В. Б а р т о л ь д, Туркестан в эпоху монгольского нашествия, გვ. 557).

135. მონღოლთა სახელმწიფოს დედაქალაქი ყარაყორუმი მდინარე ორხონის ნაპირზე იდგა. მისი მშენებლობა ჩინგიზ-ხანის დროს დაიწყო და 1235 წელს დამთავრდა. ყარაყორუმი შედარებით მცირე ხანს იყო მონღოლი ყაენების რეზიდენცია (1260 წლამდე). ამჟამად დაქცეულია (В. В. Б а р т о л ь д, Каракорум, Сочинения, т. III,

81

М., 1965, გვ. 443 – 444; История Монгольской народной республики, გვ. 119).

კათოლიკე ბერმა გ. რუბრუკვისმა პირადად ინახულა ყარაყორუმი მანგუ ყაენის დროს და მისი აღწერილობაც დაგვიტოვა. მისი სიტყვით, „ქალაქში ორი უბანია, ერთი სარკინოზებისა, სადაც არის ბაზრები და მრავლად იმყოფებიან ვაჭრები, რაიცა ერთი მხრივ სასახლის სიახლოვეთ აიხსნება, ხოლო მეორე მხრივ ელჩების სიმრავლით. მეორე უბანი ეკუთვნის ჩინელებს, რომელნიც გამოუკლებლივ ხელოსნები ადრიან. ამ სასახლეს გარდა იქ რამდენიმე დიდი პალატია. სადაც სასახლის მდივნები ცხოვრობენ. ქალაქში თორმეტი ტაძარია. შეწირული სხვადასხვა ერის კერპებისადმი, ორი მეჩითი, სადაც მაჰმადის რჯულს იცავენ და ერთი ქრისტიანული ეკლესია ქალაქის განაპირის. ქალაქი მიწის გაღავნითაა შემორტყმული და მას ოთხი კარიბჭე აქვს. აღმოსავლეთით ფეტვითა და სხვა ხორბლეულით ვაჭრობენ, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ხორბლეული იშვიათია; დასავლეთით ცხვრებისა და თხების აღებ-მიცემობა ხდება, სამხრეთით – ხარებისა და ფორნებისა; ხოლო ჩრდილოეთით – ცხენებისა“ (გ. რ უ ბ რ უ კ ვ ი ს ი, მოგზაურობა აღმოსავლეთის ქვეყნებში, გვ. 133 – 134).

136. გუიუქის გარდაცვალების შემდეგ მონღოლ უფლისწულთა შორის მძაფრი ბრძოლა გაჩაღდა ყაენის ტახტისათვის. უგედის სახლის მიმართ მტრულად განწყობილმა ბათომ მხარი დაუჭირა თულის ვაჟიშვილს მანგუს, 1251 წლის ყურულთაიში ძირითადად ჯუჩისა და თულის ულუსების წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. ყაენად არჩევის შემდეგ მანგუ სასტიკად გაუსწორდა მოწინააღმდეგეებს – უგედისა და ჩალათაის შთამომავალთ (ჯ უ ვ ე ი ნ ი, III,

გვ. 16 – შმდ: *Р а ш и д-а д-д и н*, Сборник летописей, II, გვ. 129 – 139; *В. В. Б а р т о л ь д*, Туркестан в эпоху монгольского нашествия, გვ. 558 – 560; История Монгольской народной республики, გვ. 121).

137. ბ ა უ რ ჩ ი ა ნ უ „ჭამა-სმის თადარიგის დამჭერი“ (ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, III, გვ. 91) მაღალი თანამდებობის მოხელე იყო მონღოლთა სამეფო კარზე (იხ. *С. А. К о з и н*, Сокровенное сказание, § 124; *В. В. Б а р т о л ь д*, Туркестан в эпоху монгольского нашествия, გვ. 447). ჰულაგუ-ხანის ერთ-ერთი გამოჩენილი სარდლის ქიდ-ბუღა ნოინის შესახებ დაწვრილებით იხ. *Р а ш и д-а д-д и н*, *Джами ат-таварих*, III.

138. ჰიჯრის 650 წ. ჯუმადა აღ-სავალის შუა რიცხვები 1252 წლის ივლისის ბოლო კვირას შეესაბამება.

82

139. ძველი გეოგრაფები მსოფლიოს დასახლებულ ნაწილს შვიდ კლიმატურ სარტყლად ჰყოფდნენ ეკვატორის პარალელური წარმოსახვითი ხაზებით. მათი წარმოდგენით, ჩრდილო განედის 50⁰-ის ჩრდილოეთით და ეკვატორის სამხრეთით მდებარე რაიონები საერთოდ დაუსახლებელი იყო.

140. აღბათ იგულისხმება უგედეი ყაენი, რომელმაც პირველმა დანიშნა მას'უდ-ბეგი მავერანნაჰრის გამგებლად.

141. ჰიჯრის 650 წ. საფარის თვის 20 რიცხვი 1252 წლის 2 მაისს შეესაბამება.

142. 650 წ. რამაზანის 20 რიცხვი 1252 წლის 24 ნოემბერს შეესაბამება. ზემოთ ჯუვეინის აღნიშნული ჰქონდა, რომ არღუნის წასვლის შემდეგ ის და სირაჯ ად-დინ შოჯა'ი რამდენიმე დღით დარჩნენ ყარაყორუმში და 651 წ. რაჯაბის თვეში (1253 წ. 27.VIII – 25. IX) ისინიც დასავლეთისკენ დაიძრნენ. (იხ. გვ. 49 და შენ. 119).

143. საქარავნო-სატრანზიტო ვაჭრობა აღმოსავლეთის ქვეყნებში მსხვილი მუსლიმანური სავაჭრო კომპანიების ხელთ იყო. ამ კომპანიების წევრებს ო რ ტ ა ლ ე ბ ი ეწოდებოდათ. მონღოლთა არისტოკრატია მჭიდროდ იყო დაკავშირებული საქარავნო ვაჭრობასთან. ორტალები ხშირად ფეოდალური არისტოკრატის წარმომადგენელთა კონტრაგენტებად გამოდიოდნენ და მათგან მიღებული თანხით აწარმოებდნენ ვაჭრობას. ცნობილია აგრეთვე, რომ თვითონ მონღოლი ყაენებიც მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებული მუსლიმანურ სავაჭრო კომპანიებთან (*А. Ю. Я к у б о в с к и й*, Восстание Тараби в 1238 г. Труды ИВ АН СССР, т. XVII, 1936, გვ. 112).

144. საგანგებო გადასახადს ანუ ა ვ ა რ ი ზ ს (**عوارض**) სახელმწიფო ფულით კრეფდა ქალაქისა და სოფლის მოსახლეობაში. იგი გამიზნული იყო გაუთვალისწინებელი ხარჯების დასაფარავად. მართალია, ა ვ ა რ ი ზ ი მონღოლთა სახელმწიფოში საგანგებო გადასახადად ითვლებოდა, მაგრამ ფაქტიურად მუდმივ გამოსაღებად იყო ქცეული (*И. П. П е т р у ш е в с к и й*, Земледелие и аграрные отношения в Иране გვ. 382).

145. ს ე ი დ ე ბ ი წინასწარმეტყველ მუჰამედის შთამომავლებად ითვლებიან და განსაკუთრებულ პრივილეგიებულ წოდებას შეადგენენ.

146. ჟამთააღმწერელიც აღნიშნავს, რომ „ხუცესთა და მონა-ზონთა და საეკლესიოთა განწესებათა არა შეაგდო საზღავი, არცა ყალანი, ეგრეთვე შიხთა, და დავრეშთა, და ყოვლისა სჯულისა დცნი საღმრთოდ განჩენილნი განათავისუფლნა“ (ქართლის ცხოვრება, II, გვ. 235).

147. 650 წელი 1252 წ. 14 მარტს დაიწყო და 1253 წ. 2 მარტს დამთავრდა.

148. ჟამთააღმწერლის ცნობით მანგუ ყაენს ყუბილაი თითქოს დასავლეთში საღამქროდ დაუნიშნავს, ხოლო ჰულაგუ – აღმოსავლეთში, „გარნა ძნელად აღუჩნდა ყუბილ ყაენს წარმოსლვა დასავლეთით, ულოს წარსლვა ინდოეთის კერძოთა. მაშინ ევედრა ულო ძმასა, რათა განცვალონ ლაშქრობა და ულო დასავლეთით კერძო მოვიდეს და ყუბილ ყაენი ინდოეთს. ვითარ ცნა ყუბილ ყაენმან, სიხარულით შეიწყნარა სიტყვა ულოსი და განცვალეს ლაშქრობა“. (ქართლის ცხოვრება, II, გვ. 221).

149. რაშიდ ად-დინი ამ უფლისწულს სონთაის (سنثای) უწოდებს (P a ш и д-а д-д и н, Джами ат-таварих, III. სპარსული ტექსტი, გვ. 24, 25; რუსული თარგმანი, გვ. 22, 23), თულის შვილების ჩამოთვლის დროს კი უმცროსად სუბუთაის იხსენიებს P a ш и д-а д-д и н, Сборник летописей, II, გვ. 106). ასეთი სხვაობა წერტილების არასწორად დასმით უნდა აიხსნას.

150. ეს მონღოლი უფლისწულები ჟამთააღმწერელთანაც არიან მოხსენიებული (ქართლის ცხოვრება, II, გვ. 223, 251, 254; შდრ. აგრეთვე, გ რ ი გ ო ლ ა კ ა ნ ე ლ ი, მოისართა ტომის ისტორია, გვ. 33, 41 – 42, 133 – 137). უნდა აღინიშნოს, რომ ქართველ ავტორს ბალაღაი („ბოლღა“), თუთარ და ყული სხვადასხვა ულუსების წარმომადგენლებად მიაჩნია (ამის შესახებ იხ. რ. კ ი ვ ა ძ ე, ჟამთააღმწერლის თხზულების ერთი ადგილის შევსებისათვის, „მაცნე“, ისტორიის სერია. 1971, № 4, გვ. 119, შენ. 23).

151. ტექსტშია **کوه شهاب** – ჯ. ბოილის აზრით, იგულისხმება ხანგაის ქედი (ჯ. ბ ო ო ლ ი, II, გვ. 609. შენ. 9).

152. ქ. ბიშბალიდი უიღურთა სახელმწიფოს მთავრის – იდი-ყუთის რეზიდენცია იყო. იგი მდებარეობდა ტიან-შანის ქედის ჩრდილო კალთაზე, მონღოლეთიდან დასავლეთისაკენ მომავალ დიდ სავაჭრო გზაზე (В. В. Б а р т о л ь д, Бишбалык, Соч. т. III, М., 1965, გვ. 374 – 377).

153. ამ წინადადებაში ავტორი გარითმულ სიტყვებს ხმარობს: ალაფხზრ (სამოვარი) – ხზრ (აქ: წახდენილი), მარლზჰრ (მდელო) – აზჰრ (აქ: ზიანი. ვნება).

154. ყურანი, II. 33.

155. ჯუვეინი აქ ხაზს უსვამს სხვადასხვა მნიშვნელობის მქონე კიტყვების გრაფიკულ მსგავსებას. მცენარეულობა (გიჰჰ – گیاه) და დანაშაული (გონჰჰ – گناه). აგრეთვე, სიმწვანე (საზჰო –

سبزی) და სიმამღრე (سڀرڀ – سڀرى) არაბული გრაფიკით ერთნაირად იწერება, განსხვავება მხოლოდ დიაკრიტიკულ წერტილებშია.

156. უ ლ უ ფ ე (ءلؤفه). ამ ტერმინით ჯუვეინი აღნიშნავს ერთი ადამიანის გამოსაკვებად აუცილებელ საზრდოს ან, საერთოდ სურსათ-სანოვაგეს, ხოლო ა ლ ა ფ ე ს (ءلفه) საქონლის საკვების აღსანიშნავად ხმარობს. ასეთივე მნიშვნელობით შემოვიდა ეს ტერმინები ქართულშიც (ულუფა და ალაფი). რაშიდ ად-დინსა და, სხვა ისტორიკოსებთან ულუფეს და ალაფეს საპირისპირო მნიშვნელობა აქვთ (ულუფე – საქონლის საკვები; ალაფე – სანოვაგე). ა. ალი-ზადეს აზრით, ეს შეიძლება იმით აიხსნებოდეს, რომ ჯუვეინი ამ ტერმინებს მონღოლთა შემოსევების წინარე ხანაში გავრცელებული მნიშვნელობით ხმარობს (А. А. Али-заде, Социально-экономическая и политическая история Азербайджана, გვ. 233). ჟამთააღმწერლის განმარტებით. „ულუფა... არს ძლენი მიმავალთა გზად“ (ქართლის ცხოვრება, II, გვ. 234). ულუფეს როგორც ნატურალური გადასახადის შესახებ დაწვრილებით იხ. А. А. Али-заде, დასახ. ნაშრომი, გვ. 233 – 236; И. П. Петрушевский, Земледелие и аграрные отношения в Иране გვ. 384 – 386).

157. თ ა ლ ა რ ი ორგვარი მნიშვნელობით გვხვდება წყაროებში. ის აღნიშნავდა მარცვლეულის საწყაო ერთეულსაც (უდრიდა ას მანს) და ლაშქრის გამოსაკვებად მოსახლეობაში აკრეფილ ნატურალურ გადასახადსაც (დაწვრილებით იხ. А. А. Али-заде, Социально-экономическая и политическая история Азербайджана, გვ. 230 – 232; И. П. Петрушевский, Земледелие и аграрные отношения в Иране გვ. 383 – 384).

158. „სიასეთ-ნამეში“ (XI ს.) თ ა რ ლ უ ძვირფასი ქსოვილის მნიშვნელობით იხმარება (Сиасет-намэ. Перевод, введение в изучение памятника Б. Н. Захоева, М. – Л., 1949, 154, 332, შენ. 267). სპარსული ლექსიკონებით თ ა რ ლ უ ნიშნავს წითელი აბრეშუმის ქსოვილს, ასეთი ქსოვილისაგან შეკერილ ტანსაცმელს, ხოლო ლ. ბუდაღოვის ლექსიკონით – საჭმელ-სასმელს, სანოვაგეს (Л. З. Будагов, Сравнительный словарь турецко-татарских наречий, I, გვ. 350).

ა. ალი-ზადეს აზრით, თ ა რ ლ უ, შედგებოდა სხვადასხვა ძვირფასი ნივთების, ტანსაცმლის, ქსოვილისა და სხვა საგნებისაგან, რაც ოლქების გამგებლებს უნდა მიერთმიათ ყაენის, ხათუნების, უფლის-წულებისა და სხვა წარჩინებულ პირთათვის (А. А. Али-заде, დასახ. ნაშრომი, გვ. 241). ჯ. ბოილი ფიქრობს, რომ თ ა რ ლ უ

(თოზლუ) არაბული ნუზლის ეკვივალენტია და ნიშნავს მოგზაურთათვის მირთმეულ საგზალს (ჯ. ბოილი, I, გვ. 142, შენ. 1). რაშიდ ად-დინის „ისტორიათა კრებულში“ თარლუ მისართმეველს აღნიშნავს და ზოგჯერ ფემქაშთან ერთად გვხვდება. ა. არენდსი რუსულ თარგმანში რიგ შემთხვევებში უთარგმნელად სტოვებს ამ ტერმინს (Рашид-ад-дин, Джамии ат-таварих, III, გვ. 23, 26, 153, 263, 293), ზოგჯერ კი თარგმნის როგორც „სამასპინძლოს“ (Подношениеж; იქვე, გვ. 59, 77).

ჯუვეინის თხზულებაში თ ა რ ლ უ სანოვაგის აღმნიშვნელი

ტერმინი ჩანს, მაგრამ იყო თუ არა ის ნუზლის სინონიმი, ამის გადაჭრით თქმა ძნელია. შესაძლებელია, ჩვენი ავტორი გარკვეულ განსხვავებასაც ხედავდეს მათ შორის. ყოველ შემთხვევაში, იგი აღნიშნავს, ამირები და მხარეთა გამგებლები რომ თარღუს და ნუზლის დამზადებას შეუდგნენ, ნუზლს გზადაგზა სადგომებში (მანუელელებში) ათავსებდნენო, თარღუს კი აღარ იხსენიებს.

ნ უ ზ ლ ი (არაბ. – მასპინძლობა, სტუმართმოყვარეობა, ძღვენი, საჩუქარი) ა. ალი-ზადეს განმარტებით, ნატურალური გადასახადი იყო, რომელსაც ქალაქისა და სოფლის მოსახლეობა დიდებულთათვის მისართმევი ნაირნაირი ძღვნისა და საჩუქრის სახით იხდიდა (A. A. A л и - з а д е, დასახ. ნაშრომი, გვ. 241). საინტერესოა სულხან-საბა ორბელიანის განმარტებაც: „ნუზლი ესე არს მოყვარემან რა მოგზაურს საზრდო მიუძღვანოს“ (ს უ ლ ხ ა ნ - ს ა ბ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, თხზულებანი, ტ. IV, 1, თბ., 1965, გვ. 600).

159. ფ ა რ ს ა ნ გ ი (ფარსახი) მანძილის საზომი ერთეულია, 6 – 7 კილომეტრს უდრის.

160. ჰიჯრის 650 წელი 1252 წ. 14 მარტს დაიწყო. ამდენად, აქ საუბარია 1252 წლის გაზაფხულზე.

161. სიტყვების თამაშით: „ჯამებს სცლიდნენ (ჯამჰჰ ნუშრდანდ) და „ტანსაცმელს იცვამდნენ“ (ჯამჰჰჰ ფუშრდანდ) არაბული გრაფიკით ერთნაირად გამოისახება (جامها پوشیدند), განსხვავება დიაკრიტიკულ წერტილებსა და გახმოვანებაშია.

162. ჰიჯრის 651 წლის რაბი აღ-ავალის ორი რიცხვი 1253 წ. 2 მაისს შეესაბამება.

163. ჰიჯრის 651 წ. მა'ზანის 24 1253 წლის 18 ოქტომბერს უდრის.

164. ჯუმადარი ჰულაგუს მეორე ვაჟი იყო. რაშიდ ად-დინის ცნობით, დედამისი გუიუქ-ხათუნი ოირათის ტომის მეთაურის ასული ყოფილა. გუიუქ-ხათუნის მამა თურალჩი-გურგენი იყო, ხოლო

86

დედა – ჩინგიზ-ხანის ასული ჩეჩექენი (P а ш и д - а д - д и н, Джами ат-таварих, III. სპარსული ტექსტი, გვ. 8; რუსული თარგმანი გვ. 16).

165. ჰულაგუ-ხანს სულ 21 შვილი ჰყოლია მათგან თოთხმეტი ვაჟი და შვიდი ქალი. აბალა მისი უფროსი ვაჟიშვილი იყო., ხოლო იაშმუთი – მესამე (P а ш и д - а д - დ и н, Джами ат-таварих, III, სპარსული ტექსტი. გვ. 8 – 10; რუსული თარგმანი, გვ. 16 – 17).

166. აღმალელი მდ. ილის აუზში მდებარეობდა აღმოსავლეთ აზიიდან დასავლეთში მომავალ მნიშვნელოვან სავაჭრო გზაზე. მონღოლთა დროს აღმალელი ჩაღათაის სამფლობელოს ცენტრი გახდა (B. B. Б а р т о л ь д, Отчёт о поездке в Среднюю Азию с научною целью, Сочинения, т. IV, გვ. 79).

167. ურყინე-ხათუნი ჩაღათაის შვილიშვილის ყარა-ჰულაგუს (ჯუვეინისთან – ყარა) ცოლი იყო. ყარა-ჰულაგუს გარდაცვალების შემდეგ ჩაღათაის ულუსი მანგუ ყაენმა უბოძა მის მცირეწლოვან შვილს. რომლის სახელითაც ურყინე-ხათუნი განაგებდა სამფლობელოს 1251 – 1261 წლებში (ჯ უ ვ ე ი ნ ი, I. გვ. 181; С. Лен-Пуль,

Мусульманские династии, გვ 200; К.Б о с в о р т, Мусульманские династии, გვ. 197).

168. ჰიჯრის 653 წელი 1254 წ. 21 თებერვალს დაიწყო და 1255 წ. 11 იანვარს დამთავრდა. ე. ი. იგულისხმება 1254 წლის ზაფხული.

169. 653 წლის შა'ბანის თვე შეესაბამება 1255 წ. სექტემბერს – 3 ოქტომბერს.

170. იგულისხმება მდ. ჯეიჰუნი (ამუ-დარია).

171. რაშიდ ად-დინის ცნობით, ჰულაგუს ლაშქარმა 653 წ. ზულ-ჰიჯჯეს პირველში ანუ 1256 წლის 1 იანვარს გადალახა ამუ-დარია (P а ш и д-а д-и н, Джами ат-таварих, III, სპარსული ტექსტი, გვ. 26; რუსული თარგმანი, გვ. 24).

172. შაბურღანი ამუ-დარიის მარცხენა ნაპირზეა, ბალხის დასავლეთით თანამედროვე შიბირყანი (ავღანეთში).

173. მსხვერპლს შეწირვის დღესასწაული (ეიდ-ე აზჰა ან ეიდ-ე ყურბან) ისლამის ერთ-ერთი დიდი დღესასწაულია. იგი უკავშირდება წინასწარმეტყველ აბრამის მიერ ქაბის ტაძრის აშენებასა და

87

გაბრიელ მთავარი ანგელოზისაგან „შავი ქვის“ მიღებას. ეს დღესასწაული აღინიშნება ზულ-ჰიჯჯეს თვის 10 რიცხვში (; И. П. П е т р у-ш е в с к и й, Ислам в Иране, გვ. 78 – 79). 1256 წელს მსხვერპლის შეწირვის დღესასწაული 10 იანვარს ყოფილა.

174. ე. ი. ჰულაგუ-ხანის.

175. ამის შემდეგ ჯუვეინის აღწერილი აქვს ჰულაგუ-ხანის ირანში შესვლა და ისმაილიანთა ციხე-სიმაგრეების დაპყრობა, მაგრამ ამ ბრძოლებში ქართველთა მონაწილეობის შესახებ არაფერს ამბობს.